სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ავთანდილ ხურციძე

# სამხრეთ ევრაზიის რეგიონული უსაფრთხოება (კავკასია, ცენტ. აზია, სამხ. აზია): არალეგალური მიგრაციის გამოწვევები.

საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო უსაფრთხოების

**სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა**

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია **საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის** აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ვახტანგ მაისაია, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი

თბილისი - 2024

განაცხადი

როგორც ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომში გამოყენებული მასალა ციტირებული და დამოწმებულია სათანადო წესების შესაბამისად.

ავთანდილ ხურციძე

ნაშრომის წარდგენის თარიღი: 28.06.2024

## ანოტაცია

სამაგისტრო კვლევა სახელწოდებით - “სამხრეთ ევრაზიის რეგიონული უსაფრთხოება (კავკასია, ცენტ. აზია, სამხ. აზია): არალეგალური მიგრაციის გამოწვევები” ემსახურება ცენტრალურ ევრაზიაში მიმდინარე ისტორიული და თანამედროვე პროცესების, მათ მიერ პროვოცირებული არალეგალური მიგრაციის პრობლემატული საკითხების წარმოდგენას, აღწერას და გაანალიზებას რეგიონალური უსაფრთხოების დინამიკასთან მიმართებაში.

ცენტრალური ევრაზია დღეს ერთ-ერთ ყველაზე რთულ რეგიონს წარმოადგენს მსოფლიო და რეგიონალური უსაფრთხოების სისტემაში. ის ხასიათდება პოლიტიკური, კულტურული, ეთნიკური და სოციალური მრავალფეროვნებით, სადაც ურთიერთობათა ბადე დაკავშირებულია ისტორიულ მეხსიერებასა და მტკივნეულ ემოციურ მემკვიდრეობა/გამოცდილებასთან. რეგიონი მდებარეობს უმნიშვნელოვანესი გეოპოლიტიკური კვანძების გზაგასაყარზე, რომლებსაც განსაკუთრებული როლი უჭირავთ მსოფლიო სავაჭრო-ეკონომიკური, კონტინენტთაშორისი და საერთაშორისო სატრანზიტო დერეფნის ფუნქციონირების ფორმატში. მსგავსი ორმხრივი მოცემულობა სამხ. ევრაზიის რეგიონის უსაფრთხოებას დღემდე რთული გამოწვევების წინაშე აყენებს.

ერთ-ერთი მთავარ საკვლევ მიმართულებად არალეგალური მიგრაციისგან მომავალი საფრთხეების პოტენციალის შეფასებისას, წარმოადგენს საერთაშორისო და რეგიონალური აქტორების, ტრანსნაციონალური კრიმინალური ქსელების, ტერორისტული და ექსტრემისტული ორგანიზაციების როლის შესწავლა/შეფასება. მოცემული ქსელები ხშირად სარგებლობენ ე.წ. „ფოროვანი საზღვრებით“, სუსტი სამართალდამცავი სისტემებით, კორუფციით და მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნიან სამხ. ევრაზიის უსაფრთხოებას და ხელს უწყობენ არალეგალურ მიგრაციის განვითარებას.

კვლევაში ჩვენ ვისაუბრებთ კავკასიას, ცენტრალურ აზიასა და სამხრეთ აზიაში მიმდინარე პროცესების შესახებ, რომელიც გახდა არალეგალური მიგრაციის მაპროვოცირებელი რეგიონში. შევეხებით მიმდინარე ქაოტური მიგრაციით განპირობებულ საფრთხეებსა და რისკებს; მიმოვიხილავთ როგორც ზოგად, ისე

რეგიონისთვის დამახასიათებელ სპეციფიურ ნიშან-თვისებებს, მის ადრეულ და თანამედროვე მახასიათებლებს; განვსაზღვრავთ თუ რა სოციალურ და პოლიტიკურ საფრთხეებს შეიცავს არალეგალური მიგრაცია რეგიონული უსაფრთხოების ხედვითი არეალიდან; გავეცნობით/შევაფასებთ სხვა ქვეყნების მიერ დაგროვილ გამოცდილებებს და მათზე დაყრდნობით გავაკეთებთ გარკვეულ პროგნოზებს.

ბოლოს ჩამოვაყალიბებთ რეგიონში შექმნილ მიგრაციულ რეალობასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების ჰიპოთეზას, წარმოვადგენთ არგუმენტებს, მტკიცებულებებს, გავაკეთებთ დასკვნებს და დავაგენერირებთ გარკვეულ რეკომენდაციებს.

## Annotation


### Regional Security of South Eurasia (Caucasus, Central Asia, South Asia): Challenges of Illegal Migration.

The Master's research entitled - "Regional security of South Eurasia (Caucasus, Central Asia, South Asia): challenges of illegal migration" serves to present, describe, and analyze the historical and contemporary processes in Central Eurasia, the problematic issues of illegal migration provoked by them, about the dynamics of regional security.

Today, Central Eurasia is one of the most difficult regions in the world and regional security system. It is characterized by political, cultural, ethnic, and social diversity, where the web of relationships is linked to historical memory and painful emotional legacies/experiences. The region is located at the crossroads of the most important geopolitical nodes, which play a special role in the functioning format of the world economic, intercontinental, and international transit corridor. Similar two-sided situation The security of the Eurasian region still faces difficult challenges.

One of the main research directions in assessing the potential of future threats from illegal migration is the study/assessment of the role of international and regional actors, transnational criminal networks, and terrorist and extremist organizations. These networks often use the so-called "porous borders", weak law enforcement systems, and corruption and pose a significant threat to the security of Eurasia and contribute to the development of illegal migration.

In the study, we will talk about the processes taking place in the Caucasus, Central Asia, and South Asia, which became the provocateur of illegal migration in the region. We will touch on the dangers and risks caused by the current chaotic migration; We review both the general and the specific features characteristic of the region, its early and modern features; We determine what social and political threats illegal migration contains from the perspective of regional security; We will get to know/evaluate the experience gained by other countries and make some predictions based on them.

Finally, we will formulate a security hypothesis related to the migration reality created in the region, present arguments, and evidence, make conclusions, and generate certain recommendations.



**Avtandil Khurtsidze**

# შინაარსი

შესავალი ........................................................................................................................- 6 -

თავი 1. სამხრეთ ევრაზიის რეგიონის გეოპოლიტიკური რაობა, მისი პოლიტიკური და ისტორიული კონტექსტი ...........................................................................................- 17 -

1.1 სამხრეთ ევრაზიის მიგრაციული პროცესები, მათი თეორიული და ისტორიული საფუძვლები................................................................................................................ - 21 -

1.1.1. უძველესი მიგრაციული პროცესები სამხ. ევრაზიის რეგიონში................. - 24 -

1.1.2. სამხ. ევრაზიის რეგიონი და მიგრაცია ფეოდალიზმის ეპოქაში ................ - 25 -

1.1.3. ახალი მიგრაციული პერიოდი სამხ. ევრაზიის რეგიონში .......................... - 26 -

1.1.4. რუსიფიკაცია და საბჭოთა კავშირი: მიგრაციის ახალი სახეები სამხ. ევრაზიაში ........................................................................................................................ - 28 -

1.2 სამხ. ევრაზიის რეგიონალური უსაფრთხოების კონტურები და მისი გეოპოლიტიკური იდენტიფიკაცია........................................................................................ - 29 -

1.3 პოსტ-ბიპოლარული პერიოდი: სამხ. ევრაზიის დემოგრაფია და ეროვნული საზღვრების გეოპოლიტიკური ფორმირება ..................................................................... - 42 -

თავი 2. სამხ. ევრაზიის რეგიონული უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევები და მათი დაძლევის გზები ..................................................................................................................- 54 -

2.1. არალეგალური მიგრაციით გამოწვეული საფრთხეების ანალიზი რეგიონული უსაფრთხოების კონტექსტში.................................................................................................. - 59 -

2.2. რეგიონული უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელების მრავალმხრივი მიდგომები. .............................................................................................................................. - 74 -

2.2.1. „ცივი ომის“ შემდგომი რეგიონული უსაფრთხოების ინიციატივები სამხ. ევრაზიაში ........................................................................................................................ - 74 -

2.2.2. რეგიონული უსაფრთხოების თანამედროვე მოდელები სამხ. ევრაზიაში ...... - 76 -

2.2.3. ჩინეთის ევრაზიული ინტეგრაციის ინიციატივები........................................... - 78 -

2.3. ავღანეთის ფაქტორი და მისი გავლენა რეგიონში მიმდინარე არალეგალური მიგრაციის პროცესზე (case-study)........................................................................................ - 87 -

დასკვნა..............................................................................................................................- 99 -

გამოყენებული ლიტერატურა ..................................................................................- 105 -

დანართი..........................................................................................................................- 112 -

# შესავალი

## თემის აქტუალობა

მიგრაციას ზედაპირული შეფასებით, მხოლოდ ირიბი ზეგავლენა გააჩნია ქვეყნის თუ რეგიონის განვითარების პროცესზე. ეს უმეტესწილად განპირობებულია იმით, რომ რეალურად გაზომვადი შედეგების დანახვა შესაბამისი წინასწარი პრევენციული მომზადების სქემების გარეშე, წლების მანძილზე თითქმის შეუძლებელია. მისგან მიღებული შედეგები კი შესაძლებელია იყოს არაპროგნოზირებადი და შეუქცევადი, მოახდინოს უდიდესი დემოგრაფიული ცვლილება რეგიონში, შეცვალოს ეკონომიკური და კულტურული მოცემულობა.

შეგვიძლია გამოვყოთ არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებული 2 ტიპი:

- **ომთან ან ბუნებრივ კატაკლიზმებთან დაკავშირებული მიგრაცია:** იგი ხასიათდება მომენტალური, ქაოტური ხასიათით სადაც რთულია მოსალოდნელი საფრთხეების წინასწარი იდენტიფიცირება. ადამიანთა ჯგუფებს არ აქვთ დოკუმენტები, ფინანსები და ეძებენ ნებისმიერ საშუალებას გადარჩენისათვის.
- **მშვიდობიანი პერიოდის სტაბილური მიგრაცია:** ხასიათდება მშვიდი და მონოტონური მიმდინარეობით, რომელიც გრძელდება მუდმივ ფორმატში და მიმღები ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებასა და მშვიდობის ხარისხთან ერთად იცვლება. განსაკუთრებულ საფრთხეს მსგავსი ფორმის მიგრაციის სახეები პატარა ქვეყნებს და მცირე ერებს უქმნიან. მათ რომლებსაც ახალგაზრდა, შედარებით სუსტი სახელმწიფო ინსტიტუციები გააჩნიათ და აქვთ პოლიტიკურ მმართველობის მცირე გამოცდილება.

სამხრეთ ევრაზიის რეგიონალური უსაფრთხოება, მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას არალეგალური მიგრაციის გამო. ამ საკითხმა მზარდი აქტუალობა შეიძინა ბოლო წლებში რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული ფაქტორის გამო:

*1. გეოპოლიტიკური არასტაბილურობა და კონფლიქტები* - როგორიცაა ავღანეთში მიმდინარე კონფლიქტი, პერიოდული დაძაბულობა კავკასიაში, რომლებიც ქმნიან პირობებს არალეგალური მიგრაციული ნაკადებისთვის. ინდივიდები და ოჯახები ეძებენ თავშესაფარს მეზობელ ქვეყნებში ან უფრო შორს.

მსგავსი მდგომარეობა მიგრაციის მართვის პროცესს ართულებს, წარმოქმნის ძნელად პროგნოზირებად რისკებს, საფრთეების შემცველია მიმღები ქვეყნებისთვისაც.

2. *ეკონომიკური უთანასწორობა და შესაძლებლობების ნაკლებობა* - სამხრეთ ევრაზიის გარკვეულ ქვეყნებში იგი უბიძგებს მოსახლეობას არალეგალური მიგრაციისკენ უკეთესი საარსებო საშუალებებისა და პერსპექტივების ძიებაში. სიღარიბე, უმუშევრობა და არსებობისთვის აუცილებელ სერვისებზე ხელმიუწვდომლობა აიძულებს მათ განახორციელონ სარისკო მოგზაურობები, რასაც ხშირად ხელს უწყობენ ადამიანებით მოვაჭრეები და კონტრაბანდისტთა ქსელები.

3. *სუსტი მმართველობითი სტრუქტურები და სასაზღვრო კონტროლის მექანიზმები* - ხელს უწყობს არალეგალური მიგრაციის მარშრუტების ფორმირებასა და არალეგალური გადამყვანი საქმიანობის შეუზღუდავ გავრცელებას. მსგავსი ქსელები ქმნიან ნოყიერ ნიადაგს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის, მათ შორის ადამიანებით ვაჭრობის, ნარკოტიკების კონტრაბანდისა და ტერორიზმისთვის.

4. *უკონტროლო და არალეგულირებული მიგრაციის პროცესი* - ცვლის ქვეყნების დემოგრაფიულ მდგომარეობას/კანონიკას. იქმნება ახალი ეთნიკური და რელიგიური კომუნები და დასახლებები უცხო ქვეყნებში. ახალ სოციუმში მსგავსი ტიპის დასახლებებში მცხოვრები ადამიანების წილობრივი ზრდა, პროვოცირებას უკეთებს ჰუმანიტარული დისბალანსის კოეფიციენტს მიმღებ ქვეყანაში. კულტურული და რელიგიური განსხვავება, ქცევითი ნორმებისა და ტრადიციების შეჯახება, მიმღები ან გამტარი ქვეყნებისთვის ეკონომიკური და ფინანსური სისტემების შევიწროვება, ახალი ტერიტორიული დავების და დაპირისპირებების მიზეზიც შეიძლება გახდეს.

სამხრეთ ევრაზიის რეგიონის არალეგალური მიგრაციის გამოწვევების მოგვარება მოითხოვს კომბინირებულ, მულტიდისციპლინარულ მიდგომას, რომელიც პრიორიტეტად აქცევს რეგიონის ქვეყნებს შორის თანამშრომლობას, საზღვრების მართვისა და სამართალდამცავი ძალების გაძლიერებას, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინიციატივებს, ადამიანის უფლებათა და ლტოლვილთა საერთაშორისო სამართლის პატივისცემას. ამ გამოწვევების

ეფექტურად გადაჭრისთვის პირველ რიგში საჭიროა შესაბამისი კონტროლის, მართვისა და რეგულაციის სქემების ჩამოყალიბება; მოსალოდნელი საფრთხეების შეფასებისი აქტიური და ფუნქციონალური ფილტრების შექმნა, რაც დაეხმარება რეგიონის სახელმწიფოებს სწორი რეგიონალური უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვასა და მის პრაქტიკულ განხორციელებაში.

## კვლევის მიზნები

**კვლევის მიზნებია** გამოავლინოს იმ ქმედითი, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი უსაფრთხოების კომპონენტები, რომლებიც რეალობასთან მიმართებაში დაგვანახებს სამხ. ევრაზიის რეგიონში არსებული, განვითარებადი უსაფრთხოების სისტემის აქტუალურ პრობლემებსა და გამოწვევებს, რომლებიც დაკავშირებულია არალეგალურ მიგრაციასთან. თავის მხრივ რეგიონის სხვადასხვა თეორიული მეთოდოლოგიების შესწავლა/გაანალიზება, წარმოქმნილი არალეგალური მიგრაციის მართვის და მისი რეგიონალურ დონეზე რეგულირების გარკვეული ასპექტების გამოკვეთის საშუალებას მოგვცემს. მსგავსი სახის ერთობლიობას შეიძლება დაეფუძნოს მიგრაციული პროცესების კონტროლის, მისგან მომავალი საფრთხეების იდენტიფიცირების, შესწავლისა და რეგიონულ დონეზე სტრატეგიული სამოქმედო გეგმების შემუშავება.

## კვლევის ამოცანები

კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებელია ფართო მეცნიერული, სტატისტიკური და პრაქტიკული მასალების შესწავლა, დამუშავება და მათი ანალიზი.

**კვლევის ამოცანები** გამომდინარეობს ნაშრომის მიზნებიდან:

- არალეგალური მიგრაციის მართვისთვის საკვანძო ელემენტების დადგენა.
- რეგიონალური უსაფრთხოების კომპლექსური კვლევის მეთოდების შემუშავება.
- არალეგალური მიგრაციის შეფასების და პროგნოზირების მოდელის შექმნა ეროვნული და რეგიონალური უსაფრთხოების პრიზმიდან გამომდინარე.
- რისკების იდენტიფიცირების მოდელის, პრევენციული ღონისძიებებისა და საფრთხეების გამოვლენის ზოგადი და სპეციფიური ნორმების შემუშავება.

- რისკის ანალიზის, მონიტორინგისა და რეგულაციების პრაქტიკაში გატარების საკვანძო მიდგომების ჩამოყალიბება.

## საკვლევი კითხვები

წარმოდგენილი კვლევის მთავარი საკვლევი კითხვებია:

1. როგორ იმოქმედა ისტორიულმა ფაქტორებმა, მათ შორის კონფლიქტებმა და გეოპოლიტიკურმა ძვრებმა, სამხ. ევრაზიის რეგიონში არალეგალური მიგრაციის მოდელებისა და მათი მამოძრავებელი ფაქტორების ჩამოყალიბებაზე?
2. როგორია არალეგალური მიგრაციის მიმდინარე ტენდენციები სამხ. ევრაზიაში და როგორია მათი გავლენები რეგიონულ უსაფრთხოებაზე?
3. რამდენად ეფექტურია სამხ. ევრაზიული რეგიონალური ინტეგრაციის მოდელები არალეგალური მიგრაციის გამოწვევების გადასაჭრელად და როგორია რეგიონული თანამშრომლობის როლი ტრანსსასაზღვრო გადაადგილების უსაფრთხოებაში?

## ჰიპოთეზა

**ჰიპოთეზა #1:** რეგიონებში, რომლებსაც აქვთ ხანგრძლივი კონფლიქტის ისტორია, ისინი აჩვენებენ მოსახლეობის გადაადგილების უფრო მაღალ დონეს და არალეგალური მიგრაციის განვითარებას.

**ჰიპოთეზა #2:** არალეგალური მიგრაციის მიმდინარე ტენდენციები სამხ. ევრაზიაში პირდაპირ გავლენას ახდენს რეგიონულ უსაფრთხოებაზე, ხელს უწყობს სოციალურ-პოლიტიკურ არასტაბილურობას, ეკონომიკურ დაძაბულობას და შეიცავს ტრანსსასაზღვრო კონფლიქტების განვითარების პოტენციალს.

## კვლევის საგანი და ობიექტი

**კვლევის საგანს** წარმოადგენს სამხ. ევრაზიის რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო უსაფრთხოების კომპონენტები; რეგიონული ტიპის კონფლიქტები; ტერორისტული და რადიკალური მოძრაობების აქტივობები და ა.შ. ზოგადად მიმდინარე პროცესები, რომლებიც ახდენენ არალეგალური მიგრაციის განვითარების ქაოტურ ხელშეწყობას და პროვოცირებას.

**კვლევის ობიექტია** არალეგალური მიგრაცია, რეგიონის უსაფრთხოების სისტემაში წარმოდგენილი სახელმწიფოები, რეგიონალური და საერთაშორისო გავლენის აქტორები, ტრანსნაციონალულური ორგანიზაციები, რეგიონალური ინტეგრაციის ინიციატივები, ეთნიკური ჯგუფები, არალეგალურ მიგრაციაში ჩართული სხვა ჯგუფები, გამოკვეთილი საფრთხეები, პრობლემები და მათთან დაკავშირებული გამოწვევები.

## კვლევის თეორიული ჩარჩო

წინამდებარე სამაგისტრო კვლევაში გამოყენებულია შემდეგი თეორიული საფუძვლები:

- **რეალიზმის თეორია - „ძალისა და იძულების როლი"** რომელიც აღიარებს ძალას და იძულებას როგორც ინსტრუმენტებს, რომლებიც სახელმწიფოებმა შეიძლება გამოიყენონ თავიანთი ინტერესების განსახორციელებლად და მიზნების უზრუნველსაყოფად.
- **„რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსური თეორია"** - რომელიც აღწერს ძალაუფლების გარკვეულ მერყევ სპექტრს ზესახელმწიფოებსა და რეგიონულ ძალებს შორის საერთაშორისო სისტემის სტრუქტურაში, სადაც გლობალური ძალების შეზღუდულ ჯგუფს საერთაშორისო სისტემის ძლიერი აქტორები ერთად ქმნიან.
- **„სუპრანაციონალიზმის (ზენაციონალური) თეორია"** - იგი ეხება პერსპექტივას საერთაშორისო ურთიერთობებსა და პოლიტიკურ მეცნიერებაში, რომელიც ფოკუსირებულია ზენაციონალური ინსტიტუტების გაჩენასა და ფუნქციონირებაზე. ზენაციონალური ინსტიტუტები არიან ერთეულები, რომლებსაც აქვთ ცალკეულ ეროვნულ სახელმწიფოებზე უფრო მაღალი უფლებამოსილება და გადაწყვეტილების მიღების უფლება.
- **„კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია"** - მის ავტორებად გვევლინებიან **რ. კიოჰენი და ჯ. ნაი** წიგნით: **„ძალაუფლება და ურთიერთდამოკიდებულება"**. თეორიის მიხედვით, სახელმწიფოთა როლი საერთაშორისო ურთიერთობებში მუდმივად მცირდება. საერთაშორისო

ორგანიზაციების, ტრანსნაციონალური კორპორაციების, არასამთავრობო ორგანიზაციების, სხვადასხვა მოძრაობათა და პიროვნებათა როლი კი იზრდება.

- **„სექიურითიზაციის კონცეფცია“** - უსაფრთხოების კვლევების კოპენჰაგენის სკოლა, რომელიც ასოცირდება **ოლი ვივერის, ბარი ბუზანის** და სხვ. სახელებთან კონსტრუქტივიზმის თეორიის წიაღში. თეორიის თანახმად, უსაფრთხოება არ არის გარკვეული ობიექტების ან მოვლენების თანდაყოლილი მახასიათებელი, არამედ ის სოციალური და პოლიტიკური კონსტრუქციაა.
- **ჰალფორდ მაკინდერის "ჰართლენდის თეორია"** - გულისხმობს, რომ ევრაზიის კონტინენტის დომინირების გასაღები „ჰართლენდის“ კონტროლია. თეორიის მიხედვით ჰართლენდი არის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის უზარმაზარი რეგიონი, რომელიც მოიცავს დღევანდელ რუსეთს, ყაზახეთს, უზბეკეთს და უკრაინისა და ჩინეთის ნაწილებს.
- **სოციალური კონსტრუქტივიზმის თეორია** - საერთაშორისო ურთიერთობების სკოლა, რომლის მიხედვითაც, მსოფლიო პოლიტიკური პროცესების განმსაზღვრელია საერთაშორისო საზოგადოების წესები და ნორმები, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობების მონაწილეთა ინტერესებს განაპირობებს.

## კვლევის მეთოდები

სამაგისტრო კვლევაზე მუშაობისას გამოყენებული მეთოდოლოგია ძირითადად ეფუძნება ემპირიული კვლევის მეთოდებს, სამეცნიერო ლიტერატურას და ისტორიულ წყაროებს.

<u>*თვისებრივი კვლევის მეთოდები*</u>

- ისტორიულ-აღწერილობითი;
- მონაცემთა ანალიზი;
- პოლიტიკური კვლევის ანალიზი;
- სოციალური კვლევის მეთოდები;
- კონტენტ ანალიზი

კვლევის მიზნების განსახორციელებლად გამოყენებულ იქნა თვისობრივი კვლევის მეთოდოლოგია, კერძოდ კი **სიღრმისეული ინტერვიუები**. სამიზნე

ჯგუფის შერჩევა მოხდა დარგის ადგილობრივ და უცხოელ სპეციალისტებთან, მიგრაციისა და უსაფრთხოების სფეროს ექსპერტებთან.

- **შედარებითი ანალიზის მეთოდი** - გვეხმარება არსებულ კანონზომიერებათა ერთიანი სურათის დანახვაში.
- **SWOT ანალიზი** - გამოყენებულია დამატებითი გადამოწმების ინსტრუმენტად შედარებითი ანალიზის დროს.
- ფაქტობრივი და დოკუმენტური მასალის შესწავლა-ანალიზი.
- შემთხვევების გარჩევა, სიტუაციის ანალიზი Case study - დაგვეხმარა რეალური ფაქტებისა და კანონზომიერებების დადგენა/გაანალიზებაში;

გამოყენებული მეთოდოლოგიის მთავარი დანიშნულებაა საკითხების მრავალმხრივი შესწავლა და ობიექტური პროდუქტის შექმნა. საერთო ჯამში, კვლევების მეთოდოლოგია მოიცავს შემდეგი კომპონენტების თანმიმდევრობას: 1. ინფორმაციის მოპოვება; 2. მოვლენათა კლასიფიკაცია; 3. სიტუაციური ანალიზი; 4. ისტორიული ანალიზი.

ჩამოთვლილი მეთოდების გამოყენება გვაძლევს საშუალებას გავაკეთოთ სწორი დასკვნები, მრავალმხრივი ხედვითი არეალიდან შევაფასოთ არალეგალური მიგრაციის პროცესი, გამოვავლინოთ არსებული საფრთხეები და შევიმუშავოთ გარკვეული კომპონენტები სამხრეთ ევრაზიის რეგიონალური უსაფრთხოების კონტექსტში.

## კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

აღნიშნული სამაგისტრო კვლევა საინტერესო იქნება იმ ადამიანებისთვის, სტუდენტებისთვის და ახალგაზრდა მკვლევარებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სამხ. ევრაზიის რეგიონში მიმდინარე გეოპოლიტიკური პროცესებით და მისი რეგიონული უსაფრთხოების საკითხებით; რეგიონში შემავალი ქვეყნების საგარეო პოლიტიკით როგორც რეგიონულ, ისე გლობალურ აქტორებთან ურთიერთობის დონეზე. კვლევის საფუძველზე მიღებული ცოდნა და გაკეთებული დასკვნები მნიშვნელოვანი იქნება სამხ. ევრაზიის რეგიონში განვითარებული არალეგალური მიგრაციის პროცესების შესწავლისა და მისი როლის განსაზღვრაში რეგიონალური უსაფრთხოების კონტექსტში, დარგის თეორიულ-პრაქტიკული განვითარების შესწავლაში. იგი გამოაგება სფეროს

ექსპერტებს, იმ პირებს და სტრუქტურებს, რომლებიც რეგიონალური უსაფრთხოების საკითხების შესწავლითა და კვლევით, უახლესი პოლიტიკური რეალობის ფორმირებითა და დაგეგმვით არიან დაკავებულნი. კვლევა დაეხმარება მათ, სწორად დაინახონ და განსაზღვრონ ის ორიენტირები, რომლებიც დაკავშირებულია ზოგადად მიგრაციის მართვის კომპლექსურ პროცესთან და სპეციფიკასთან; მის მიერ პროვოცირებულ მოსალოდნელ საფრთხეებთან ახლო/შორეულ პერსპექტივაში. კვლევის პრაქტიკული რეკომენდაციები და წინადადებები მიზანშეწონილია გათვალისწინებულ იქნას შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტების, განსაკუთრებით მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიისა და სახელმწიფო უსაფრთოების სამსახურის ანალიტიკური სამსახურის მიერ; კვლევა ასევე გამოადგება შესაბამისი მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს.

კვლევის გამოყენება მიზანშეწონილია უმაღლესი სასწავლებლების, სოციალურ მეცნიერებათა სასწავლო პროგრამების და სამეცნიერო პროექტების/კვლევების განხორციელებელი ორგანიზაციებისთვის. ასევე საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში.

## სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

ცენტრალური ევრაზიის უსაფრთხოების მიმართულებით, ხელმისაწვდომია სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო და სამეცნიერო მასალები, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად ეხება ჩვენს საკვლევ თემას. არსებული მასალები იძლევა ანალიზის გაკეთების საშუალებას რათა მოხდეს მათში შესწავლილი და გამოკვლეული მონაცემების კონვერტაცია მიგრაციის საკითხების და მათი გავლენის კუთხით რეგიონული უსაფრთხოების კონტექსტში. კონკრეტული სალიტერატურო წყაროების მიმოხილვისას შესაძლებელია განვიხილოთ ისეთი სახის მასალები, რომელსაც გააჩნია ჩვენი კვლევის თემატიკასთან უშუალო შეხება და კავშირი:

1. *მაისაია ვახტანგ, გუჩუა ალიკა - „ნატო და არასახელმწიფოებრივი აგრესიული რელიგიური ფაქტორები“, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, 2020* - ნაშრომი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს კვლევით ნაშრომს სამხედრო მეცნიერებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების თემაზე. მონოგრაფია ეხება

მეოთხე თაობის ომის კონცეფციას და სტრატეგიას, არასტანდარტული წესით წარმოადგენს აკადემიური, პრაქტიკული, ანალიტიკური და პუბლიცისტური სახის კვლევებს. ნაშრომი ემსახურება სამხედრო უსაფრთხოებისა და გეოსტრატეგიული თემების ადაპტაციას პრაქტიკული კუთხით. ამკვიდრებს სამხედრო კვლევების, როგორც გლობალურ, რეგიონალურ და ლოკალურ შესწავლის ანალიზის დონეებზე შესწავლად. კვლევა ემსახურება არასახელმწიფოებრივი სამხედრო აქტორების რეალური არსის წარმოჩენას, რომლებიც პირდაპირ კავშირშია მეოთხე თაობის ომების სტრატეგიასთან.

2. *ისმაილოვი ელდარ, პაპავა ვლადიმერ - „ცენტრალური ევრაზია“: ახლებური გეოპოლიტიკური გააზრება“, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2012* - მონოგრაფია წარმოადგენს ცენტრალური ევრაზიის გეოპოლიტიკური პრობლემების კვლევას. ავტორები გვათავაზობენ პრინციპულად ახალ, ფართოდ გავრცელებული დოქტრინებისაგან ძირეულად განსხვავდებულ გეოპოლიტიკურ მიდგომას მოცემული რეგიონისადმი. ცენტრალური ევრაზია, ევრაზიის ამ კონტინენტის გეოპოლიტიკური თავისებურებებისა და თავისი გეოგრაფიული საფუძვლების გათვალისწინებით განისაზღვრება როგორც ცენტრალური ევროპისა და ცენტრალური აზიის და მათი დამაკავშირებელი რეგიონის ცენტრალური კავკასიის ერთიანობა. ამის პარალელურად ცენტრალური კავკასიისა და ცენტრალური აზიის ერთიანობა განისაზღვრება როგორც „ცენტრალური კავკასია“, გეოპოლიტიკის ასეთი გააზრების საფუძველზე წიგნი მკითხველს შესაძლებლობას აძლევს „ძველი“ პრობლემების თანამედროვე მიდგომების შესაბამისი ხედვების ჩამოყალიბებაში.

3. *ისმაილოვი ელდარ, პაპავა ვლადიმერ - „ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიკის ნარკვევები“, კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი, თბილისი, 2007* - წიგნი ეძღვნება კავკასიის რეგიონში მიმდინარე უახლესი პოლიტიკურ მოვლენებსა და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს. სსრკ-ს დაშლის შემდეგ მსოფლიო გეოპოლიტიკასა და გეოეკონომიკაში გამოიწვეულ ცვლილებებს; პოსტიმპერიულ-პოსტსაბჭოურ სივრცეში ახალი ქვეყნების ჩამოყალიბებას და მათ მისწრაფებებს; პოსტ-საბჭოთა პოზიციებიდან დანახულ/შეფასებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ხედვებს სახელმწიფო და რეგიონალური ინტერესების პოზიციებიდან; ახალი დამოუკიდებელი

სახელმწიფოების ტრანსფორმაციას ახალი პოლიტიკური წყობების განვითარების პროცესსა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადაწყობას; მათი გლობალურ პროცესებსა და სტრუქტურებში ინტეგრირებას და გავლენებს რეგიონალური უსაფრთხოების ჭრილში. ავტორების მიერ ხდება პოსტსაბჭოურ სივრცეში რეგიონების ახლებურად გაცნობიერება, რაც ახალ შინაარსსა და ფორმებს იღებს. ყოველი ახალი პოსტსაბჭოური სახელმწიფო უკვე ვითარდება არა როგორც უზარმაზარი ტოტალიტარული იმპერიის ნაწილი, არამედ როგორც საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის ორგანული კომპონენტი. შესაბამისად, ამ მოვლენების ფონზე იცვლება მათი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მისწრაფებების კონტექსტი.

4. *დარჩია თამარ, ალავერდოვი ემილია, ოთხოზორია ნინო, ლაცაბიძე ნათია - „მიგრაციული პროცესები თანამედროვე მსოფლიოში: გამოწვევები და პერსპექტივები", თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების აქტუალური პრობლემები, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი, 2019, გვ. 301-459 -* მოცემული მეცნიერული კვლევა საინტერესოდ აღწერს თანამედროვე მსოფლიოში მიგრაციული პროცესების ზრდის აქტუალურ საკითხებს. მასში განხილულია მიგრაცია, როგორც გლობალიზაციის ეპოქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომელიც სერიოზულ პოლიტიკურ, სამართლებრივ, სოციალურ-ეკონომიკურ თუ დემოგრაფიულ პრობლემებს ქმნის. წარმოდგენილია მიგრაციის სხვადასხვა ფორმათა ანალიზი, ნებაყოფლობითი მიგრაცია სხვა ადგილას დასახლების მიზნით, მისი ხელშემყობი ფაქტორიები, ტექნოლოგიების განვითარება, შრომის ბაზრის მრავალფეროვნება და ცვლილებების სურვილი. გამოწვევების წინაშე დადგა ევროკავშირიც, ლტოლვილთა კრიზისის ასევე საერთაშორისო უსაფრთხოების კუთხით.

5. *Black Richard, Jones Larissa, Pantiru Maria Cristina, Sabates-Wheeler Rachel, Skeldon Ronald, Vathi Zana – „Understanding migration as a driver of poverty reduction in Europe and Central Asia", Development Research Centre on Migration, Globalisation and Poverty; University of Sussex, 2007* - ნაშრომი ასახავს 2006 წელს სასექსის მიგრაციის კვლევის ცენტრის მიერ აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის სამ რეგიონში მიგრაციისა და სიღარიბის შესახებ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებს. კვლევა მოიცავდა ხელმისაწვდომი ლიტერატურის

მიმოხილვას და საველე დონეზე დისკუსიებს პოლიტიკის შემქმნელებთან ოთხ ქვეყანაში (მოლდოვა, ტაჯიკეთი, კოსოვო და საქართველო). სამივე რეგიონიდან (დასავლეთ ბალკანეთი, „ევროპის სამეზობლო“ და ცენტრალური აზია) ნაშრომი იკვლევს სიღარიბისა და განვითარების კონტექსტს და მიგრაციის ზოგად ტენდენციებს, ყურადღებას ამახვილებს მიგრაციის მართვაზე ორიენტირებულ პოლიტიკასა და მიგრაციის ფართო ზემოქმედებაზე.

6. *Дергачев В.А. „ГЕОПОЛИТИКА“, Издательство ВИРА-Р, Киев, 2000, ст. 225-397* - წიგნში წარმოდგენილია XX საუკუნეში დაბადებული, კომპრომისული ტიპის გეოპოლიტიკა. წარმოდგენილია ავტორისეული სასაზღვრო კომუნიკაციის კონცეფცია და მის საფუძველზე გაანალიზებულია სახელმწიფოს გეოსტრატეგიის ძიების პროცესები რეალურ გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ სივრცეში. მთავარი შეკითხვები რაზეც ავტორი ცდილობს გასცეს არის: სად არის სახელმწიფოს გზა სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობისკენ? როგორ შეიძლება მთლიანად არ დაკარგო წინა თაობების მიერ შექმნილი დოვლათი? რა გაკვეთილები უნდა გვახსოვდეს წარსულიდან? რა არის გეოპოლიტიკური საზღვრები მტრობას, მშვიდობას, გეოეკონომიკურ ომებს შორის და როგორ გამოვიდეთ მათში გამარჯვებული? წიგნი შეიცავს ამ და სხვა კითხვებზე შესაძლო პასუხებსაც.

# თავი 1. სამხრეთ ევრაზიის რეგიონის გეოპოლიტიკური რაობა, მისი პოლიტიკური და ისტორიული კონტექსტი

სამხრეთ ევრაზიის რეგიონი მოიცავს ევრაზიის კონტინენტის სამხრეთ ნაწილში მდებარე ქვეყნებს. მათი კლასიფიკაცია შესაძლებელია როგორც გეოგრაფიული ისე გეოპოლიტიკური, რეგიონალური უსაფრთხოების და გავლენის ცენტრების მიხედვით.

რეგიონი ზოგადად ხასიათდება სპეციფიური გეოგრაფიით; კულტურული, ეთნიკური, ენობრივი მრავალფეროვნებით; განსხვავებული ისტორიულ-სტრატეგიული იდენტობებითა და მნიშვნელობით. რეგიონის ქვეყნები იზიარებენ ისტორიულ, კულტურულ და გეოპოლიტიკურ კავშირებს, საერთო გამოწვევებსა და შესაძლებლობებს.

სამხრეთ ევრაზიის ზუსტი საზღვრების განსაზღვრისას შესაძლოა არსებობდეს განსხვავებული ვარიაციები, თუმცა გეოგრაფიული თვალსაზრისით იგი სამი ძირითადი ქვერეგიონისგან შედგება: 1. კავკასია; 2. ცენტრალური აზია; 3. სამხ. აზია.

**კავკასია** (სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო) ფიზიკურ-გეოგრაფიული სივრცის მიხედვით მოიცავს შავი, აზოვის და კასპიის ზღვებს შორის ტერიტორიას. ჩრდილოეთ საზღვარი გადის კუმა-მანიჩის ღრმულზე, ხოლო სამხრეთით საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრამდე. ბუნებრივი პირობების მიხედვით განასხვავებენ დასავლეთ და აღმოსავლეთ კავკასიას: **1. აზოვისა და შავი ზღვის აუზი; 2. კასპიის ზღვის აუზი.** მთლიანად კავკასიის სივრცის საერთო ტერიტორია მოიცავს 436000 კვ.კმ-ს. კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი კავკასიას ყოფს ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიად. მის ძირითად ორთოგრაფიულ ერთეულებს წარმოადგენენ: 1. იმიერკავკასიის ვაკე; 2. კავკასიონი; 3. ამიერკავკასიის ბარი; 4. მცირე კავკასიონი; 5. სამხრეთ კავკასიის ვულკანური მთიანეთი; 6. თალიშის მთები.[1]

მცირე ტერიტორიის მიუხედავად, კავკასია გვევლინება რთულ ფიზიკურ-გეოგრაფიულ რეგიონად. მასში ერთმანეთს ენაცვლება მთიანი სისტემები,

---

[1] ისმაილოვი, ე. პაპავა, ვ. ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიის ნარკვევები, თბილისი, 2007. გვ. 52

დაბლობები, სტეპები, ნოტიო სუბტროპიკები, ალპური ზონები და ნახევარ-უდაბნოები.[2] ეთნო-ლინგვისტური თვალსაზრისით კავკასიის სივრცე იყოფა 3 ჯგუფად: *1. კავკასიური ერები*: აფხაზური, ჩერქეზული, ქართული, დაღესტნური,




ვაინახური; *2. ინდოევროპული ერები*: სომხური, ბერძნული, ირანული, სლავური; *ალტაური ერები*: თურქული, მონღოლური. კავკასია რელიგიური თვალსაზრითითაც მრავალფეროვანია: ქრისტიანები (მართლმადიდებლები, მონოფიზიტები), მუსლიმები (შიიტები, სუნიტები), ბუდისტები, იუდეველები და სხვა *(იხ. დანართი #1 - ეთნო-ლინგვისტური ჯგუფები კავკასიის რეგიონში).*

**ცენტრალური აზია** (ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი და ასევე ავღანეთი) მდებარეობს ევროპასა და შორეულ აღმოსავლეთს შორის აბრეშუმის გზის ცენტრალურ საკვანძო გზაჯვარედინზე. რეგიონის გეოგრაფიული საზღვრები ვრცელდება დასავლეთ ჩინეთის მთებიდან კასპიის ზღვის სანაპიროებამდე. პაკისტანი და ირანი ქმნიან რეგიონის სამხრეთ, ხოლო რუსეთის უზარმაზარი სივრცე ჩრდილოეთ საზღვარს. საერთო ფართობი დაახლოებით 6 მლნ კვ.კმ-ია. ზეგნები და დაბლობები ქმნიან რეგიონის ორ ძირითად იარუსს - *1. საშუალო სიმაღლე 500-1500 მ.* (გობი, ალაშანი, ორდოსი, ჯუნგარის და ტარიმის დაბლობები); *2. 4000-4500 მ.* (ტიბეტის ზეგანი). ისინი გაყოფილი და შემოსაზღვრულია მაღალი ქედებით - ტიან-შანი, კუნლუნი, ნანშანი, ყარაყორუმი და სხვა. რეგიონში ჭარბობს უდაბნოები და ნახევარუდაბნოები, ტიბეტის ზეგანზე გვხვდება - ცივი უდაბნოები. საერთო მოსახლეობა დაახლოებით 75 მილიონია, ავღანეთის ჩათვლით კი 116 მილიონი. ისლამის გავრცელებამდე და ადრეული ისლამურ ეპოქაში ცენტრალური აზია დასახლებული იყო ძირითადად ირანული ტომებით: *ბაქტრიელებით, სოგდიანებით, ქორაზმელებით, ნახევრად მომთაბარე სკვითებითა და დაჰებით.* თურქული ექსპანსიის შემდეგ რეგიონი ასევე გახდა *უზბეკების, ყაზახების, თათრების, თურქმენების, ყირგიზებისა და უიღურების* სამშობლო. თურქულმა ენებმა ძირითადად ჩაანაცვლა ამ მხარეში სალაპარაკო ირანული ენები, გარდა ტაჯიკეთისა და იმ ტერიტორიებისა, სადაც

[2] ჩიქობავა ა. „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია", ტ. 5, თბილისი, გვ. 69, 1980

ტაჯიკურად ლაპარაკობენ *(იხ. დანართი #2 - ეთნო-ლინგვისტური ჯგუფები ცენტრალური აზიის რეგიონში).* გავრცელებული რელიგიებია: სუნიტური ისლამი, შიიტური ისლამი, ვაჰაბიზმი, სალაფიზმი, ტენგრიიზმი და სირიული ქრისტიანობა.

სანამ რეგიონული უსაფრთხოების საკითხების განხილვას დავიწყებდეთ, პირველ რიგში აუცილებლად უნდა განვსაზღვროთ ის გეოპოლიტიკური სივრცე, რომელსაც მოვიხსენიებთ ტერმინით - **სამხრეთ ევრაზია.**

ცენტრალური აზიისგან განსხვავებით, კავკასიის როგორც სამხრეთ ევრაზიის ქვერეგიონის განსაზღვრა მკვეთრად გამოხატული ბუნებრივი და გეოპოლიტიკური საზღვრებიდან გამომდინარე შედარებით მარტივია. იგი მოიაზრებს სამ სუვერენულ სახელმწიფოს (სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო) და 3 რეგიონულ აქტორს (რუსეთი, თურქეთი, ირანი); რაც შეეხება დეფინიციას ტერმინისა „ცენტრალური აზია", მასთან დაკავშირებით ზუსტი და საყოველთაოდ აღიარებული შეთანხმება არ არსებობს. გვაქვს მისი განმარტების სხვადასხვა ვერსიები:

1. საბჭოთა კავშირი რეგიონს ყველაზე შეზღუდულ საზღვრებში მოიაზრებდა. ის განსაზღვრავდა ცენტრალურ აზიას, როგორც ყირგიზეთს, ტაჯიკეთს, თურქმენეთს და უზბეკეთს, ყაზახეთის გამოკლებით.

2. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 1991 წელს, ოთხი ყოფილი საბჭოთა ცენტრალური აზიის რესპუბლიკის ლიდერების შეხვედრაზე ტაშკენტში გაფორმებული შეთანხმების მიხედვით, გაფართოვდა ცენტრალური აზიის განმარტება და თავდაპირველ ოთხ რესპუბლიკასთან ერთად მოიცვა ყაზახეთიც, რომელიც ასევე შედიოდა საბჭოთა კავშირში.[3] ცენტრალური აზიის ყველაზე გავრცელებულ დეფინიციად სწორედ ეს განმარტება იქცა.

3. „დიდი ცენტრალური აზიის" კონცეფცია - რომელიც ასახავს აშშ-სა და ევროკავშირის მიერ გამოხატული რეგიონული მიდგომებისა და მისი განვითარების ხელშეწყობის გეგმას. იგი გულისხმობს ცენტრალურ აზიის რესპუბლიკების დახმარებას გაუმკლავდნენ და გადაჭრან საერთო რეგიონული

[3] Rosset D. Svarin D. - "The Constraints of the Past and the Failure of Central Asian Regionalism, 1991–2004", Slavica Publishers, Journal "Region Regional Studies of Russia Eastern Europe and Central Asia", Volume 3, Number 2, 2014, pg. 245-266

სტაბილურობისა და უსაფრთხოების პრობლემები. ძირითადად კონცეფცია ფოკუსირებულია სადისტრიბუციო ქსელის ფარგლებში ცენტრალური აზიის რესპუბლიკების სამხედრო და ეკონომიკურ თანამშრომლობაზე.[4]

4. 1978 წელს იუნესკომ ცენტრალური აზიის რეგიონის განსხვავებული განმარტება მოგვცა, რომლის მიხედვითაც ცენტრალური აზია წარმოდგენილია როგორც - *"ავღანეთი, ჩრდილო-აღმოსავლეთი ირანი, პაკისტანი, ჩრდილოეთ ინდოეთი, დასავლეთ ჩინეთი, მონღოლეთი და ცენტრალური აზიის საბჭოთა რესპუბლიკები".*[5]

იუნესკოს ცენტრალური აზიის რეგიონის ეს განმარტება, გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული დაკვირვების საფუძველზე შეგვიძლია ჩავთვალოთ რეგიონის ყველაზე ავთენტურ და სრულყოფილ დეფინიციად. მასში გათვალისწინებული და წარმოდგენილია, როგორც ცენტრალური აზიის სუვერენული სახელმწიფოები, ისე ის რეგიონული აქტორები რომლებიც მნიშვნელოვანწილად ქმნიან უსაფრთხოების კლიმატს რეგიონში და ამასთან ერთად წარმოადგენენ საერთაშორისო გავლენის ცენტრებს. შესაბამისად, სამხ. ევრაზიის გეოპოლიტიკური სივრცის ერთიან დეფინიციად შეგვიძლია ვიგულისმოთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის იუნესკოს მიერ განმარტებულ ტერიტორიათა ერთობლიობა. უფრო კონკრეტულად კი სამხ. ევრაზიად შეგვიძლია მოვისაზროთ შემდეგი სივრცე: ***კავკასია: სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, სამხ. რუსეთი; ცენტრალური აზია: ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი + ავღანეთი; მონღოლეთი, ჩრდილო-აღმოსავლეთი ირანი, პაკისტანი, ჩრდილოეთ ინდოეთი, დასავლეთ ჩინეთი.***




მოცემული დეფინიციდან გამომდინარე სრულად იკვეთება სამხრეთ ევრაზიის რეგიონის გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული კონტურები, მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა ისეთ საკითხებში როგორიცაა: გლობალური და რეგიონული უსაფრთხოება; ეკონომიკური განვითარება და კავშირები;

[4] Indeo F. "The concept of a "Greater Central Asia": perspectives of a regional approach", Central Asian Studies Institute, 2011. Pg. 1-2

[5] Dani, A. H. Masson V.M. “The Dawn of civilization, earliest times to 700 B.C.”, History of civilizations of Central Asia, Vol. #1, pg. 8, Paris, UNESCO, 1992

ენერგეტიკული თანამშრომლობა და ა.შ. ეს მოცემულობა აყალიბებს რეგიონში სპეციფიურ მოქმედებათა ტრაექტორიასა და უსაფრთხოების დინამიკას. ასევე დეფინიციდანვე გამომდინარეობს რეგიონალური და გლობალური აქტორების მრავალფეროვანი ჯგუფი, რომლებსაც გააჩნიათ თავისი ინტერესები რეგიონში და რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ რეგიონის გეოპოლიტიკური მდგომარეობის ფორმირებაში, ქმნიან გარკვეული ურთიერთდამოკიდებულების მოცემულობას. იკვეთება ის საერთო ინტერესები და პროექტები, რომლებიც რეგიონალური და გლობალური აქტორების ინტერესებს აკავშირებს ერთმანეთთან.

## 1.1 სამხრეთ ევრაზიის მიგრაციული პროცესები, მათი თეორიული და ისტორიული საფუძვლები

კვლევაში გამოყენებული ისტორიულ-აღწერილობითი ანალიზის მეთოდი დაგვეხმარა განგვესაზღვრა სამხ. ევრაზიის რეგიონში განვითარებული ისტორიულ-სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები. მისი დახმარებით მოვახდინეთ: მიგრაციული პროცესების და მისი ხელშემწყობი ძალისმიერი თუ ბუნებრივი მიზეზების განსაზღვრა; ძირითადი რეგიონალური აქტორებისა და მათი ინტერესების დაკვირვება; მიგრაციული პროცესების კლასიფიკაცია დროისა და სივრცის გათვალისწინებით. ზოგადად რაც შეეხება მიგრაციას, იგი განიხილება როგორც პერმანენტული მოვლენა და მოიცავს რამდენიმე ისტორიულ ეტაპს:

- ადრეული მიგრაცია - დაიწყო ჰომოერექტუსის მოძრაობით, აფრიკის კონტინენტიდან ევრაზიამდე. 150 ათასი წლის წინ ჰომოსაპიენსები ჯერ დასახლდნენ აფრიკაში, 80 ათასი წლის წინ დატოვეს აფრიკა, 40 ათასი წლის წინ აღმოჩნდნენ უკვე დასახლებულნი მთელი ევრაზიისა და ავსტრალიის კონტინენტებზე. ამერიკაში მიგრაცია დაიწყო დაახლოებით 20-15 ათასი წლის წინ და 2 ათასი წლის წინ წყნარი ოკეანეს მიწა უკვე სრულიად იყო დასახლებული.
- ინდო-ევროპული მიგრაცია - პროტო-ინდო-ევროპული ენის მატარებელი, შავი ზღვის ჩრდილოეთში დასახლებული ხალხები (უკრაინა და სამხრეთ რუსეთი), რომლებიც თანდათანობით დასახლდნენ და გაავრცელეს თავიანთი ენა ანატოლიაში, ევროპაში და ცენტრალურ აზიაში, კერძოდ, ირანში და სამხრეთ აზიაში ნეოლითის პერიოდის მიწურულს.

- **ბრინჯაოს ხანის მიგრაცია** - პროტო-ინდო-ირანელების ექსპანსია და მათი დასახლება სირიის დასავლეთით და ფანჯაბის აღმოსავლეთის ტერიტორიებზე (ძვ.წ. II ათასწლეულიდან).
- **რკინის ხანის დასაწყისი პერიოდის მიგრაცია** - დანიელების შეჭრა საბერძნეთში ძვ. წ. XII-IX საუკუნეებში. ირანელმა ხალხებმა, თანამედროვე ირანის ტერიტორია დაიპყრეს, ურარტუელები გააძევეს სომხებმა, მუშკები და კიმერიელები გადასახლდნენ კავკასიიდან ანატოლიაში, რომელიც ცენტრალური ევროპის პროტო-კელტურ სამყაროს უკავშიდება. ამან რკინის ეპოქის დასაწყისი გამოიწვია ევროპაში და კელტური გაფართოება დასავლეთ ევროპასა და ბრიტანეთის კუნძულებზე.
- **დიდი მიგრაცია** - ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების გამიჯვნის პერიოდი ევროპაში. იგი თავის მხრივ იყოფა ორ ფაზად: 1. ყოფილ დასავლეთ რომაულ იმპერიაში გერმანული და სხვა ტომების დამკვიდრება, რამაც არსებითად მისი დაშლა გამოიწვია; 2. სლავური, თურქული და სხვა ტომების გადაადგილება და მათი დამკვიდრება აღმოსავლეთ ევროპაში. თანდათანობით ისინი სლავური დომინაციის ქვეშ გადადიან. პარალელურად კიდევ უფრო მეტი გერმანული ტომი გადაადგილდება ევროპის ფარგლებში.
- **შუასაუკუნის და თანამედროვე ევროპის დასაწყისის მიგრაცია** - იწყება ბარბაროსული ტომების შეტევა რომაულ იმპერიაზე. რომაული იმპერიის დაცემის შემდეგ ყალიბდება რამდენიმე ბარბაროსული სამეფო. თუმცა ამ სამეფოების დაარსების შემდგომაც მიგრაციის ტალღა არ შეჩერებულა. ყველაზე ცნობილი მიგრანტები იყვნენ ვიკინგები. VIII საუკუნის დასაწყისში მათ დაიპყრეს ჩრდილო ატლანტიკის რეგიონები და ისლანდია. დააარსეს ორი კოლონია სამხრეთ-დასავლეთის გრინლანდიაში. ასევე დასახლდნენ რუსეთში და დაიწყეს კონსტანტინოპოლთან და მესოპოტამიასთან ვაჭრობა.
- **ინდუსტრიალიზაციის ხანის მიგრაცია** - XIX საუკუნეში მატულობს მიგრაციის ტალღა და გამოიყოფა მიგრაცის სამი ძირითადი სახეობა: *შრომითი მიგრაცია, ლტოლვილთა მიგრაცია და ურბანური მიგრაცია.* მილიონობით გლეხი ტოვებს სოფელს და გადადის ქალაქში საცხოვრებლად, ურბანიზაციის პროცესი უპრეცედენტო მასშტაბს აღწევს. ეს ტალღა ბრიტანეთში XVIII საუკუნის მიწურულს დაიწყო და თანდათან გავრცელდა მთელს მსოფლიოზე. გლობალურმა ეკონომიკამ

დაიპყრო შრომის ბაზარი. გაუმჯობესებულმა სატრანსპორტო საშუალებებმა, ღია სასოფლო-სამეურნეო საზღვრების და სამრეწველო ცენტრების ჩამოყალიბებამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი მიგრაციული პროცესების განსაკუთრებულ დაჩქარებას.

- მეოცე საუკუნის მიგრაცია - 1846-1940 მასიური, ტრანსნაციონალური მიგრაციის მასშტაბები და სიჩქარე უპრეცენდენტო ხდება. 55 მილიონი მიგრანტი ევროპიდან ამერიკაში გადადის საცხოვრებლად, ხოლო 2.5 მილიონი აზიიდან ამერიკაში. ამ ტრანსატლანტიკური მიგრანციის 65% აშშ იკავებს. წილობრივი გადანაწილება სხვა ქვეყნებზეც: არგენტინა, კანადა, ბრაზილია, კუბა. აღსანიშნავია შიდა კონტინენტური გადასახლებები აზიის ფარგლებში: სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ინდოეთიდან და ჩინეთიდან (50 მილიონი მიგრანტი); ჩრდილოეთ აზიაში (მანჯურია, ციმბირი, ცენტრალურ აზია და იაპონია) ერთიანა 50 მილიონი. აფრიკაში შეინიშნება მიგრაციის მცირე ტალღა. XX საუკუნის დასაწყისში ტრანსნაციონალური ეკონომიკური მიგრაცია აღწევს თავის პიკს. ეკომიგრანტების ძირითად ნაკადს იღებს იტალია, ნორვეგია და ჩინეთი. მიგრაციის ამ ტალღამ დიდი ზეგავლენა მოახდინა ქვეყნებისა და სახელმწიფოების ფორმირების პროცესებზე.[6]

20 საუკუნე განსაკუთრებით ცნობილია იმ მიგრაციის ტალღით, რომელიც გამოწვეული იყო ომით, პოლიტიკური, რელიგიური და ეთნიკური დევნით - მუსლიმები ბალკანეთიდან თურქეთში გადასახლდნენ ოსმალეთის იმპერიის დანგრევის დროს; ქრისტიანები გადაადგილდნენ სხვადასხვა მიმართულებით; 400000 ებრაელი პალესტინაში გადავიდა; რუსეთის სამოქალაქო ომმა 3 მილიონამდე რუსი, პოლონელი და გერმანელი მიგრანტი წარმოშვა; და რა თქმა უნდა, არც მეორე მსოფლიო ომსა და დეკოლონიზაციას ჩაუვლია უკვალოდ. რომელთა მოქმედების სფერო და რელევანტურობა წყვეტს როგორც რეგიონების, ასევე მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. თითოეული ამ კვანძის გასახსნელად კვლევაში გამოვიყენეთ „რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსური თეორია" ზესახელმწიფოებსა და რეგიონულ ძალებს შორის საერთაშორისო სისტემის სტრუქტურაში არსებული კავშირებისა და მისწრაფებების გასაანალიზებლად,

[6] დარჩია თ. ალავერდოვი ე. ოთხოზორია ნ. ლაცაბიძე ნ. - „მიგრაციული პროცესები თანამედროვე მსოფლიოში: გამოწვევები და პერსპექტივები", თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების აქტუალური პრობლემები, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი, 2019, გვ. 306-310

რომელთა იერარქია და ინტერესები ასაზრდოებენ მოსახლეობის გადაადგილების ტენდენციებსა და მათ ცვლილებას მომავალში. ამ თეორიასთან ერთად, საკითხის სიღრმისეულად გაგებისთვის დაგვჭირდა **,,სექიურითიზაციის კონცეფცია“**, რადგან ის დაგვეხმარა შეგვეფასებინა ლოკალურ თუ რეგიონალურ აქტორთა ძალაუფლების დინამიკა და ამ პროცესში დაგვედგინა საზოგადოების მიერ სეკურიტიზირებული საკითხები.

### *1.1.1. უძველესი მიგრაციული პროცესები სამხ. ევრაზიის რეგიონში*

მიგრაციის პირველს ცენტრს დასავლეთ საქართველო წარმოადგენდა. კავკასია დასახლებული იყო სხვადასხვა ტომობრივი ჯგუფებით, მათ შორის *სკვითები, სარმატები და სხვა კავკასიური ტომები.* ეს ჯგუფები მოძრაობდნენ რეგიონის მასშტაბით ნაყოფიერი მიწების, რესურსების საძიებლად ან კონფლიქტებისგან თავის დაღწევის მიზნით. მოგვიანებით გაჩნდა დასახლებები და განვითარებამ შემგროვებლობიდან მიწათმოქმედებისკენ აიღო გეზი. იკლო მიგრაციულმა ნაკადებმა და ჩამოყალიბდა ტომობრივი გაერთიანებები. მიწათმოქმედების, მესაქონლეობის და ხელოსნობის განვითარებამ ხელი შეუწყო ვაჭრობის განვითარებას, რამაც მიგრაციის ახალი სახის - **იძულებითი მიგრაციის** წარმოქმნა გამოიწვია. იგი თავდაპირველად სამხედრო ტყვეებით ვაჭრობას მოიცავდა, შემდგომში კი თემის მაღალი ფენის წარმომადგენლების მიერ რეგულირებულ სავაჭრო ფორმად იქცა. იწყება **ბერძნული კოლონიზაცია** - კოლხეთის ეკონომიკა და ბუნებრივი პირობები ბერძნებისათვის დიდი ინტერესის საგანი ხდება. ძვ.წ. VII-VI საუკუნეებში შავი ზღვის სანაპიროზე დიდი კოლონიები დაარსდა: ტრაპეზუნდი, კერასუნტი, ფაზისი (ფოთი), დიოსკურია (სოხუმი) და პიტიუნტი (ბიჭვინთა) და ა.შ. ახალშენებში ბერძნებთან ერთად ადგილობრივი მოსახლეობაც დასახლდა *(იხ. დანართი #3* - ბერძნული კოლონიზაცია - ძვ. წ. VIII და VI საუკუნეებში*).* ძვ. წ. IV საუკუნის ბოლოს აღმოცენდა ქართლის (იბერია) სახელმწიფო. წარმოიქმნა *ქალაქები: მცხეთა, კასპი, უფლისციხე და სხვა.* იკვეთება განსხვავებები ქალაქებსა და სოფლებს შორის: სოფლებში აქტიურად მისდევენ მიწათმოქმედებას და მეცხოველეობას, ქალაქებში კი ვაჭრობასა და ხელოსნობას.

### *1.1.2. სამხ. ევრაზიის რეგიონი და მიგრაცია ფეოდალიზმის ეპოქაში*

**ადრეული ფეოდალიზმში** გაუმჯობესდა მიწის დამუშავების და მორწყვის ტექნიკები. გაიზარდა საზოგადოების ზედა ფენების მისწრაფებები ახალი მიწების ათვისებისა და მოსახლეობის იძულებითი ან მფარველობითი ფორმით დამორჩილებისა. ტყვედ ჩავარდნილ მონებს თავისუფალ მიწებზე ასახლებდნენ. მოსახლეობის მიგრაცია ფეოდალიზმის დამსახურებით თითქმის შეწყდა, იგი არასასურველი და არამომგებიანიც კი გახდა. VII-დან XI საუკუნის შუა წლებამდე კავკასია გახდა არაბთა შემოსევების მსხვერპლი და თბილისი ერთ-ერთ საამიროდ გადაიქცა. ლაშქრობების ფონზე აქტიურდება - **დროებითი მიგრაცია,** რაც უმეტესწილად გარდაუვალ ხასიათს ატარებდა მოლაშქრის დაღუპვის, სხვა ქვეყანაში საცხოვრებლად დარჩენის ან მისი ტყვედ ჩავარდნის გამო.

**განვითარებული ფეოდალიზმი** (XI-XV სს.) - თურქულ ტომებში დამკვიდრებული მომთაბარულ-მეჯოგური მეურნეობის სტილი უპირისპირდება და ანგრევს განვითარებული ფეოდალური ქვეყნის კულტურულ მეურნეობას, საქალაქო ცხოვრებასა და ვაჭრობა-ხელოსნობა. სელჩუკთა სახელმწიფოს შექმნას მძიმე შედეგი მოჰყვა ამიერკავკასიის ქვეყნებისათვის. პერიოდი საქართველოს ისტორიაში **„დიდი თურქობის“** სახელით მოიხსენიება. დავით აღმაშენებელმა განახორციელა იმ დროისთვის ერთი ძალიან საინტერესო და უნიკალური იდეა - ჩრდილოეთ კავკასიიდან **ყივჩაღების ჩამოსახლება.** ამ გადაწვეტილებამ მიგრაციის დიდი ნაკადი წარმოშვა მთელი საქართველოს მასშტაბით.

ცენტრალურ აზია ამ პერიოდში წარმოდგენილია **თათრულ-ნომადური** ტომებისგან შემდგარი ფეოდალური სამთავროების გაერთიანების სახით, რომლებიც ძირითადად მომთაბარე ცხოვრებას ეწევიან. როგორც წესი ისინი გადაადგილდებოდნენ პატარა ჯგუფებად, ცხოვრობდნენ კლდეებსა და გამოქვაბულებში. მათ საქმიანობას ნადირობა და შემგროვებლობა წარმოადგენს. ცენტრალური აზიის ტერიტორიაზე განსაკუთრებული ცვლილებები თათარ-მონღოლების გამოჩენას და მათ მიერ ჩამოყალიბებულ სახელმწიფოებს უკავშირდება *(იხ. დანართი #4 - მონღოლთა შემოსევების მარშრუტები სამხ. ევრაზიაში) – 1. ოქროს ურდო (Ulug Ulus); 2. დიდი ურდო (Uluğ Orda).*

**გვიან ფეოდალიზმში** (XV-XVI სს), XV-XIX საუკუნეებში კავკასია ჯერ მონღოლების, შემდეგ ირანის და ოსმალეთის შემოსევების ობიექტად იქცა. ასევე

აღსანიშნავია „ლეკიანობა“, რომლებიც საუკუნეზე მეტ ხანს გაგრძელდა. დასუსტდა სახელმწიფო სტრუქტურები. რეგიონი სამეფო სამთავროებად დაიშალა და ტერიტორია შეიკვეცა. XVI საუკუნეში შაჰ-აბასის ბრძანებით მოხდა ათასობით ქართველის იძულებითი გადაასახლება კახეთიდან და **საინგილოდან-ფერეიდანში.** ემიგრაციაში მათ მოახერხეს დიასპორად ჩამოყალიბება. მოგვიანებით, XX საუკუნეში ოსმალთა მიერ თურქეთის ტერიტორიაზე გადასახლებულ ქართველებს იგივე ბედი ეწიათ.[7]

### *1.1.3. ახალი მიგრაციული პერიოდი სამხ. ევრაზიის რეგიონში*

XVIII საუკუნეში კავკასია სხვადასხვა ტიპის ტერიტორიულ სუბიექტებად დაშლილ მდგომარეობაში იმყოფება. აღმოსავლეთ საქართველო წარმოდგენილია ქართლის და კახეთის სამეფოს, ხოლო დასავლეთ საქართველო იმერეთის სამეფოს სახით, რომლისგანაც გამოყოფილია სამეგრელოს (ოდიშის) და გურიის სამთავროები. 1703 წელს ოსმალები იკავებენ გურიის სამხრეთ ნაწილს და ზღვისპირა ქალაქებს, მმართველად ინიშნება ფაშა, საქართველო წყდება შავ ზღვას. უკვე 20-იან წლებში ოსმალები იკავებენ ქუთაისს. იმერეთს არ ემორჩილება არც რაჭა და არც სვანეთი, ქართული სივრციდან გასულია აჭარა, ფოთი და სოხუმი. აფხაზეთი, სამურძაყანოს გამოკლებით ასევე გასულია ქართული სივრციდან. სამცხე-საათაბაგოსგან დარჩენილია მხოლოდ ახალციხის საფაშო, რომელიც სხვა რეგიონებთან შედარებით ყველაზე კარგ მდგომარეობაშია, რადგან ის კავკასიაში **ტყვეებით ვაჭრობის ცენტრად** არის ქცეული. სამხრეთით 1604 წელს ჩამოყალიბდა სპარსეთზე დაქვემდებარებული ერევნის სახანო, სადაც ნაიბებად (ზეგებად) ხშირად ინიშნებიან გამაჰმადიანებული სომხები და ქართველები. განჯის სახანო თავის მხრივ, აზერბაიჯანულ, ნახევრად დამოუკიდებელი ფეოდალური სახელმწიფოს წარმოადგენს. 1747 ნადირ-შაჰის მოკვლის შემდეგ ირანი ანარქიამ მოიცვა. ზოგიერთმა სახანომ, მათ შორის ერევნის სახანომაც, ავტონომია მოიპოვეს.[8]

სწორედ ამ დროს ფიქსირდება კავკასიიდან პირველი გასვლითი სამხედრო ოპერაციები ცენტრალურ აზიაში. ქართლის მეფე გიორგი XI წლების მანძილზე

---

[7] ჯმუხაძე გ. "მიგრაციული პროცესები საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდან დღემდე", ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2019, გვ. 20

[8] Петрушевский И. П. „Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении“, Ленинград, 1949

იბრძოდა ავღანეთში. 1709 წელს მისი სიკვდილის შემდეგ ქართლის მეფე ხდება მისი უფროსი ძმა ქაიხოსრო, რომელიც ასევე აგრძელებს ავღანეთში ბრძოლას თუმცა მალევე 1712 წელს იქვე იღუპება. შემდეგი ქართველების ყოფნა ავღანეთში 1739 წელს ფიქსირდება, როცა სპარსეთის მეფე ნადირ-შაჰის ჯარში 19 წლის ერეკლე II, მცირე ქართულ შენაერთთან ერთად შაჰს ავღანეთისა და ინდოეთის დალაშქვრაში ეხმარებოდა.

ამ პერიოდისთვის ცენტრალური აზიის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა თურქული და თათრული ტომების ერთმანეთში აღრევის პროცესი, რამაც ეთნოგენეზის მიხედვით საბოლოოდ 2 ტომობრივი ჯგუფის ჩამოყალიბება გამოიწვია:

- ***მომთაბარე ტომთა ჯგუფი*** *- უპირატესობას ანიჭებდნენ სტეპებსა და უდაბნოებს შორის გადაადგილებას.*
- ***მუდმივი დასახახლების მქონე ტომთა ჯგუფი*** *- ქმნიდნენ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს, აშებდნენ ქალაქებს (**ხივის, ბუხარას, სამარყანდის** სახანოები, რომლებიც გაჩდნენ XVIII საუკუნის შუა პერიოდში).*

შაჰ-მუჰამედის მიერ 1745 წელს მოხდა დურანისა და ღილზაის ტომთა გაერთიანება, ავღანეთის ტერიტორიის გაერთიანების პროცესი დასრულდა და შეიქმდა **ავღანეთის საემირო**, რომელიც ადგილობრივ ტომთა შორის სახელშეკრულებო/საზავო გაერთიანებას წარმოადგენდა.

სომხები ჯერ კიდევ 1701 წლიდან ცდილობდნენ რუსეთის შემოყვანას კავკასიის გეოპოლიტიკურ სივრცეში და მათი დახმარებით სახელმწიფოებრიობის აღდგენას ფიქრობდნენ. 1720 წელს უკვე გამეფებულ ვახტანგ VI და რუსეთის მეფე პეტრე I შორის მოხდა ერთგვარი ფარული შეთანხმება, საჭიროების შემთხვევაში ქართულ-სომხური სამხედრო შენაერთების ჩართვას გულისხმობდა, სპარსეთის მიმართულებით წამოწყებული სალაშქრო კამპანიის შემთხვევაში. უკვე აშკარად გამოიკვეთა რუსეთის მხრიდან კავკასიის მიმართ დიდი ინტერესი და იწყება კავკასიელი ეთნოსების მიგრაცია რუსეთის მიმართულებით, სადაც ორ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე კავკასიური ერების უმსხვილესი დიასპორები ჩამოყალიბდა.

### 1.1.4. *რუსიფიკაცია და საბჭოთა კავშირი: მიგრაციის ახალი სახეები სამხ. ევრაზიაში*

ცენტრალური აზიის სახელმწიფოების ჩამოყალიბების მთავარი საკვანძო წერტილი მე-19 საუკუნიდან იღებს სათავეს. მთლიან ცენტრალურ აზიის სივრცეს **თურქესტანი** წარმოადგენდა. მისი ტერიტორია მოიცავდა ჩინეთის, ავღანეთისა და რუსეთის იმპერიის ტერიტორიებს, 3 მლნ კმ²-ზე მეტს. ტერმინის დამკვიდრების მიზანი იყო თურქი ხალხებით დასახლებული ტერიტორიების აღნიშვნა, მიუხედავად იმისა, რომ მოცემული რეგიონები დასახლებულნი იყვნენ არათურქი ხალხებითაც. ჰუნების იმპერიის დაშლის შემდეგ აღმოსავლეთ ტერიტორია შეიერთეს ჩინელებმა.

მე-19 საუკუნის შუა პერიოდისთვის რუსეთმა ღრმად შეაღწია და მყარად დამკვიდრდა ახლანდელი ყაზახეთის ტერიტორიაზე, აღმოსავლეთით და დასავლეთით გაატარა ციხესიმაგრეების ხაზი, რომელიც არალის ზღვის ორივე მხარეს გადიოდა. 1850-1880-იან წლებში ეკონომიკურ-სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე რუსეთმა მთელი დასავლეთ თურქისტანი თავის კონტროლქვეშ მოაქცია. ნაწილობრივ დამოუკიდებელი მხოლოდ ბუხარასა და ხივის სახანოები დარჩნენ ტრადიციული მმართველების ქვეშ.

რეგიონი თანაბრად იყო განაწილებული რუსეთისა და ბრიტანეთის გავლენის სფეროებს შორის, რასაც თან ახლდა მათ შორის მნიშვნელოვანი კონკურენცია და დაპირისპირებაც ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების კუთხით. ბრიტანეთისთვის ცენტრალური აზია ინდოეთისა და სამხ. აზიის კოლონიების დამცავ კარიბჭეს წარმოადგენდა. შესაბამისად მას ძირითადად თავდაცვითი ფუნქცია ჰქონდა. რუსეთის იმპერიისთვის კი პირიქით, ის ცენტრალურ აზიაში პირდაპირ ტერიტორიულ-ექსპანსიონისტურ სახეს ატარებდა. მთავარ ამოსავალ წერტილს და მიზანს შორეული აღმოსავლეთის, სპარსეთის ყურისა და ინდოეთის ოკეანის მიმართულებით რუსეთის იმპერიის გაფართოვება წარმოადგენდა. თავისი ექსპანსიონისტური პოლიტიკით რუსეთმა ასევე მიაღწია წარმატებას კავკასიაში. გეორგიევსკში 1783 წელს გაფორმებული ტრაქტატისა და საქართველოს რეგიონების თანმიმდევრობითი ანექსიის მიუხედავად, სამთავროები მეტ-ნაკლებად, გარკვეული დოზით ინარჩუნებდნენ ავტონომიურობას. 1882 წელს იმპერატორ ალექსანდრე III მმართველობის დროს, როდესაც რუსეთი საბოლოოდ

შეიკრა როგორც ერთიანი სახელმწიფო და გატარდა შესაბამისი ადმინისტრაციული რეფორმები, დასრულდა კავკასიის, მათ შორის სამეფო სამთავროებად დაშლილი საქართველოს სრული შეერთების პროცესი რუსეთის იმპერიისთან, რასაც მოჰყვა **რუსიფიკაციის პოლიტიკის პირდაპირი დანერგვა, მთლიანი ეთნიკური და პოლიტიკური ასიმილაციის დაწყება.** ამ ასიმილაციას შეიძლებოდა ქართული, სომხური, აზერბაიჯანული და თათრული ეთნოსების რუსულ ეთნოგენულ სივრცეში სრული გათქვეფა მოჰყოლოდა. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რუსეთი გახდა გარკვეული ფორმით ბიძგის მიმცემი ევროპული განათლების და ღირებულებების შემოსვლა/გავრცელებისა კავკასიაში. ხელმისაწვდომი გახდა როგორც რუსეთის, ისე ევროპის უნივერსიტეტებში სწავლა. განათლების დონის ამაღლებამ საგანმანათლებლო და ეროვნული იდეოლოგიის მქონე ჯგუფების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი, რომლებმაც დაიწყეს კულტურული მემკვიდრეობის შეგროვება და საჭირო მომენტში დამოუკიდებლობის გამოცხადებისთვის მზადება.

## 1.2 სამხ. ევრაზიის რეგიონალური უსაფრთხოების კონტურები და მისი გეოპოლიტიკური იდენტიფიკაცია

მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან რუსეთში ფეხს იკიდებს მარქსისტულ-კომუნისტური იდეები, რასაც 1917 წლის თებერვალში პეტერბურგში მასობრივი გამოსვლები და სახელმწიფოს მმართველი რომანოვების დინასტიის დამხობა მოჰყვა. ბოლშევიკური გადატრიალების პირველივე დღეებში საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებამ წამოიწყო ყოფილი იმპერიის ტერიტორიებისა და ხალხების გასაბჭოების ხანგრძლივი პროცესი. იმპერიის შემადგენელი ამიერკავკასიის გუბერნიების ტრანფორმაციით შეიქმნა **ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა** (საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი). კონფედერაციული რესპუბლიკა დაიშალა 1918 წლის 26 მაისს, როცა საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. 28 მაისს, ფაქტიურად ერთდროულად სომხეთმა და აზერბაიჯანმაც დამოუკიდებლობა გამოაცხადეს.

ჩატარებული **კონტენტ ანალიზის** დროს საინტერესო აღმოჩნდა 1920 წლის 10 აგვისტოს პარიზთან ახლოს, ქალაქ სევრში დადებული ხელშეკრულება, რომელსაც ესწრებოდნენ ანტანტის წევრი ქვეყნები და ოსმალეთი. შეხვედრაზე ფაქტობრივად

გამოიკვეთა და დაფიქსირდა ის ძირითადი ტერიტორიული დავები, რომლებიც კავკასიაში დღემდე დაპირისპირების საგანია.

კონფერენციას გამარჯვებულ მოკავშირეთა მხრიდან სამხრეთ კავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფოებიდან მხოლოდ სომხეთი ესწრებოდა. რეალურად ეს იყო 1916 წელს დადებული გასაიდუმლოებული **საიქს-პიკოს ხელშეკრულების** რეალიზების პროცესის ნაწილი, რომელიც გულისხმობდა დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გავლენის სფეროების განაწილებას ახლო აღმოსავლეთში.[9] კონფერენცია ოსმალთა იმპერიის ლიკვიდაციისა და გამარჯვებული მხარის მიერ მისი ტერიტორიების შემდგომი გაყოფა-გადანაწილების საკითხს ეხებოდა.

თურქეთის შემადგენლობაში რჩებოდა მხოლოდ ანატოლიის ზეგანი და იგი კარგავდა თავისი ტერიტორიის 4/5 ნაწილს. ოსმალეთმა ცნო სომხეთის „თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო" (88-ე მუხლი), რომლის შემადგენლობაში ოსმალთა იმპერიის მნიშვნელოვანი ტერიტორიები უნდა შესულიყო: ბითლისის, ვანის, ტრაპიზონის და არზრუმის ვილაიეთები. ასევე მას უნდა მისცემოდა შავ ზღვაზე გასასვლელი აჭარა-ლაზეთის ზონაში (89-ე მუხლი).[10] ეს იდეა **„დიდი სომხეთის"** პრაქტიკულ რეინკარნაციას ნიშნავდა. ამ ახალი სასაზღვრო პოლიტიკის გატარების უფლებამოსილება აშშ-ს პრეზიდენტმა ვუდრო უილსონმა ითავა.

ხელშეკრულებით სომხური საზოგადოება ეიფორიულ მდგომარეობაში ჩავარდა, რამაც შეცვალა შიდა რეგიონალური ურთიერთობები. მაგალითად შეთანხმების 92-ე მუხლი: „სომხეთს, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის საზღვრები დგინდება ამ ქვეყნებს შორის წარმოებული პირდაპირი მოლაპარაკებების გზით. იმ შემთხვევაში, თუ პირდაპირი მოლაპარაკებით აღნიშნული საკითხი ვერ გადაწყდება, მაშინ ამ სახელმწიფოებს შორის საზღვრების დადგენაში მონაწილეობას მიიღებენ სახელმწიფოები სამოკავშირეო ბლოკიდან,

---

[9] გაჩეჩილაძე რ. „ახლო აღმოსავლეთი. სივრცე, ხალხი, პოლიტიკა", ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2008, გვ. 266-269 https://shorturl.at/emsHP [ბოლო ნახვა 28.06.2024]

[10] The Treaty of Sèvres, 1920 (The Treaty of Peace between the Allied and Associated Powers and Turkey Signed at Sèvres August 10, 1920). https://www.dipublico.org/100760/the-treaty-of-sevres- 1920-the-treaty-of-peace-between-the-allied-and-associatedpowers- and-turkey-signed-at-sevres-august-10-1920 [ბოლო ნახვა 28.06.2024]

რომლებიც დამატებით ადგილზე გაატარებდნენ საჭირო ზომებს აღნიშნულ გადაწყვეტილებების შესასრულებლად“.[11] სომხური შეიარაღებული აგრესიის პირველ სამიზნედ ტაო და ოლთისის ოლქი იქცნენ, მიუხედავად იმისა, რომ ის ისტორიულად საქართველოს, ხოლო იმ მომენტისთვის „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის“ ნაწილად იყო წარმოდგენილი. ახლადშექმნილ ქართულ სახელმწიფოს მათი კონტროლისათვის საჭირო არც ეკონომიკური, არც ადმინისტრაციული და არც სამხედრო რესურსები არ გააჩნდა.

პირველი რესპუბლიკა ამიერკავკასიაში, რომლის იძულებითი ლიკვიდაცია/გასაბჭოებაც მოახდინა თურქულ ქემალისტურ მოძრაობასთან სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსში შესულმა ბოლშევიკურმა რუსეთმა იყო აზერბაიჯანი (1919 წლის აპრილში). ანტანტის ჯარების მიერ ოსმალეთის ოკუპაციითა და სულთნის კოლაბორაციონისტული პოლიტიკით უკმაყოფილო ქემალისტებმა თავის გარშემო ეროვნული ძალების შემოკრება მოახერხეს. ოსმალეთში ორხელისუფლებიანობა ჩამოყალიბდა: 1. ოფიციალური კონსტანტინოპოლის საკანონმდებლო ორგანო - **„მეჯლისი“**; 2. ალტერნატიული პარლამენტი ანკარაში – **„დიდი ეროვნული კრება“** და **„ჩრდილოვანი კაბინეტი“.** ნაციონალისტთა ამ მოძრაობას, გენერალი მუსტაფა ქემალ ფაშა ხელმძღვანელობდა, რომელიც 1923 წელს თურქეთის რესპუბლიკის დამფუძნებელი და პირველი პრეზიდენტი გახდა.[12]

მსვავსი მრავალშრიანი საკითხების შესწავლისა და ანალიზისთვის, სადაც ერთმანეთს ცვლიან ისტორიულ-ემოციური, ფსიქოლოგიურ-ქვეცნობიერი დამოკიდებულებები ეთნოსებსა თუ ერსახელმწიფოებს შორის, ასევე ჩამოყალიბებული ნარატივები და იდეები, რომლებიც მუდმივად ზემოქმედებენ ერთმანეთზე გამოგვადგა **კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია**. ის აქტუალური და გამოყენებადია საერთაშორისო ურთიერთობების ამ დინამიკის გასააზრებლად, განსაკუთრებით ისეთ რეგიონში როგორიცაა სამხ. ევრაზია. იგი დაგვეხმარა კვლევისთვის საჭირო სხვადასხვა ასპექტების გამოვლენაში.

---

[11] ჩაჩხიანი ა. "შტრიხები სომხეთის გასაბჭოების ისტორიისთვის", რუსეთის ექსპანსია კავკასიაში და საქართველო, 2023, გვ. 2 https://gfsis.org.ge/files/library/pdf/Geo-3461.pdf [ბოლო ნახვა 28.06.2024]

[12] Shaw Stanford J. „History of the Ottoman Empire and Modern Turkey“, Cambridge University Press, 1977, pg. 300-302

ობიექტივისტური თეორიებისგან განსხვავებით, რომლებიც ცოდნას განიხილავენ როგორც რეალობას და ამტიკიცებენ, რომ ის ადამიანის აღქმისგან დამოუკიდებლად არსებობს, სოციალური კონსტრუქტივიზმი ხაზს უსვამს სწორედ ინდივიდებისა და სოციალური ჯგუფების აქტიურ როლს ცოდნის, ჩვევების, დამოკიდებულებების, მათ შორის მითების/წარმოდგენების შექმნაში. საერთო ნორმების, იდენტობებისა და აღქმების როლის შესწავლა/გაანალიზება დიდწილად გადაწყვეტილებათა მიღების უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს მოსახლეობის ქცევის, გადაადგილების და იმიგრაციის პროცესში პრიორიტეტების განსაზღვრა/ჩამოყალიბებაში.

კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა **რეალიზმის თეორია**, რომლის მიხედვითაც სამხედრო ძალა განიხილება როგორც გადამწყვეტი ელემენტი პოტენციური მოწინააღმდეგეების შეკავებისა და ეროვნული ინტერესების დასაცავად. სამხ. ევრაზიის რეგიონში ძალთა გადანაწილების ეპიცენტრების გადაადგილება, გაფართოვება და ცვლილება მუდმივად მიმდინარეობდა, იცვლებოდა უსაფრთხოების საზღვრები და პრიორიტეტები. წარმოიქმნებოდნენ და ქრებოდნენ სხვადასხვა სახელმწიფოებრივი თუ ტომობრივი სუბიექტები, რომლებიც გავლენას ახდენდნენ მოსახლეობის გადაადგილებისა და ასიმილირების, განადგურებისა და გადასახლების გადაწყვეტილებებზე.

ცენტრალური აზიის ქვეყნების მიმართ რუსეთის იმპერიის მიდგომა განსხვავებული იყო. ხივის, ბუხარის და სამარყანდის საემიროებს, სუვერენიტეტის სტატუსი გააჩნდათ და რუსეთის იმპერიის სტრატეგიულ პარტნიორებს წარმოადგენდნენ და ასიმილაციის პროცესის დაწყება ცენტრალური აზიის მიმართულებით აქტუალური 1910 წლისთვის ხდება. რუსული მმართველობის დაწესებამ პირველ ეტაპზე დასავლეთ თურქისტანს მშვიდობა და სტაბილურობა მოუტანა. მთავრობა ნაკლებად ერეოდა ხალხის ტრადიციულ ცხოვრების სტილში და დიდწილად უგულებელყოფდა იდეას მათთვის განმანათლებლის ფუნქცია შეესრულებინა. შედეგად 1917 წელს, რუსეთის რევოლუციის დაწყებისას რეგიონში გაუნათლებლობამ მოსახლეობაში დაახლოებით 97% შეადგინა. პ. სტოლიპინის ადმინისტრაციის დროს (1906–1919 წწ.) საგრძნობლად დაჩქარდა თურქისტანის კოლონიზაცია რუსეთის ევროპული ნაწილიდან და უკრაინიდან წამოსული მიგრანტების ხარჯზე. ახალმოსახლეებისთვის მიწისა და წყლის რესურსების

შეღავათიანად სარგებლობის უფლებების მიცემის გამო, 1916 წელს ყირგიზი და ყაზახი ტომების აჯანყება დაიწყო, რასაც დაერთო მთავრობის მიერ სამხედრო მოსამსახურეების ადგილობრივი მოსახლეობისგან აყვანის გადაწყვეტილება. აჯანყებამ რუსეთის იმპერია სერიოზული დილემის წინაშე დააყენა, რამაც გარკვეული თვალსაზრისით პირველ მსოფლიო ომში რუსეთის წარუმატებელ კამპანიაზეც იქონია გავლენა. მას მოუწია სერიოზული სამხედრო ნაწილების მოხსნა დასავლეთის ფრონტიდან და მათი გადასროლა ცენტრალური აზიის მიმართულებით. აჯანყება თებერვლის რევოლუციის შემდეგაც გაგრძელდა. სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა - **ყაზახეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკა** (იგივე ალაშის რესპუბლიკა 1917-1919 წწ.). რესპუბლიკის ლიდერებმა ჩამოაყალიბეს ყაზახეთის მთავრობა (ალაშ ორდა), რომელიც დაკავშირებული იყო თეთრ არმიასთან და იბრძოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ  რუსეთის სამოქალაქო ომში. 1919 წელს, როდესაც თეთრი ძალები კარგავდნენ ძალაუფლებას, მათ ბოლშევიკებთან უკვე დაიწყეს მოლაპარაკებები.[13]

ბოლშევიკებმა 1920 წელს შემოიტანეს ცენტრალური აზიის პირველი ინტეგრაციული მოდელი ტერმინით - **თურქესტანის საბჭოთა რესპუბლიკა** - ადმინისტრაციული ცენტრებით ტაშკენტსა და დუშანბეში. სამხ. კავკასიის კონფედერაციისგან განსხვავებით, ცენტრალურ აზიაში საბჭოთა რუსეთის მიერ ფედერაციული მოწყობის პოლიტიკური ფორმა იქნა შემოღებული. თურქმენულ ტომებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ გათვითცნობიერებული და ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივი გაერთიანების საერთო იდეა და მისი არსი. ბოლშევიკები ფედერაციის შემადგენლობაში მყოფ თითოეულ ეთნიკურ ჯგუფს მომავალში სრული დამოუკიდებლობის მინიჭებას ჰპირდებოდნენ.

თეთრი არმიის დამარცხებამდე ბოლშევიკებმა შეძლეს პოზიციების გამაგრება ავღანეთში, რომელმაც პირველი დამოუკიდებლობა სწორედ 1919 წელს მოიპოვა. ბრიტანეთ-ავღანეთის მესამე ომის დასრულების შემდეგ, ლონდონი იძულებული გახდა შემდეგ ეღიარებინა მისი დამოუკიდებლობა. 1929-1973 წლებში სახელმწიფო - ავღანეთის სამეფოს სახელს ატარებდა. სწორედ ავღანეთის გამოყენებით დაიწყო

[13] Koigeldiev M. “The Alash Movement and the Soviet Government: A Difference of Positions”, Empire, Islam, and Politics in Central Eurasia, Slavic Research Center, #14, 2007, pg. 156-160 https://src-h.slav.hokudai.ac.jp/coe21/publish/no14_ses/06_koigeldiev.pdf [ბოლო ნახვა 28.06.2024]

საბჭოთა რუსეთმა თავისი ექპანსიონისტური პოლიტიკის გატარება ცენტრალურ აზიაში.

თეთრგვარდიული მოძრაობის განადგურების შემდეგ, ანტანტის სახელმწიფოების გარკვეული წამქეზებლური პოლიტიკით რეგიონში დაიწყო ნაციონალისტური მოძრაობების აღზევება საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. ლევ ტროცკის ინიციატივით ცენტრალურ აზიაში ჩამოყალიბდა 2 დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკა: უზბეკეთის და ყაზახეთის საბჭოთა რესპუბლიკები, სადაც ტაჯიკეთი და ყირგიზეთი შევიდნენ პოლიტიკური ავტონომიის მქონე რესპუბლიკების სტატუსით. 1934 წელს ი. სტალინმა სრულიად ხელოვნურად შექმნა ყირგიზეთი, თურქმენეთი და ტაჯიკეთი და ფაქტიურად ჩამოაყალიბა რეგიონის ის მოდელი, რომელიც თანამედროვეობაშიც გულისხმობს 5 სახელმწიფოს ერთიანობას ცენტრალური აზიაში. თუმცა მანამდე, ჯერ კიდევ საბჭოთა არმიის თურქესტანის ფრონტის მეთაურმა მ. ფრუნზემ 1919-20 წწ. მოახდინა ბუხარის, ხივისა და სხვა საემიროების პირდაპირი ინტერვენცია, ოკუპაცია/ანექსია და გაუქმება. ავღანეთი მართალია კონსტიტუციურ-მონარქიული რეჟიმი იყო დამყარებული, მაგრამ ის მაინც ვითარდებოდა საბჭოთა მოდელის მიხედვით, შესაბამისად საბჭოთა კავშირთან სტრატეგიულ-მეგობრული ურთიერთობები აკავშირებდა და მუდმივად ბალანსირებულ პოლიტიკას აწარმოებდა მასთან მიმართებაში. რაც შეეხება დაპირისპირება/კონკურენციას საბჭოთა კავშირისა და აშშ-ს შორის ინვესტიციების განხორციელების კუთხით, ის უკვე 1950-55 წლებიდან ვითარდება.

ინდუსტრიალიზაციის პროცესიის ფონზე დამატებითი მუშახელის მოთხოვნილების გამო, 1920-იანი წლების ბოლოდან იწყება მიგრანტთა მასობრივი ჩამოსვლა კავკასიაში მთელი საბჭოთა სივრციდან. კანადთა შემოსვლა განსაკუთრებით 1930-იან წლებში გაძლიერდა (ძირითადად, რუსები და უკრაინელები), რადგან „განკულაკებისა“ და შემდგომი „კოლექტივიზაციის“ შედეგად უკრაინასა და ყაზახეთში დაიწყო დიდი შიმშილობა. ზოგადად საქართველოსა და მთლიანად კავკასიაში მცხოვრები რუსების რიცხვი 1926-1939 წლებში სამჯერ გაიზარდა. ამ მოვლენამ ადგილობრივი მოსახლეობისა და ეთნიკური ჯგუფების წილი ქვეყნის შიგნით შეამცირა (ქართველთა ხვედრითი წილი საერთო რაოდენობაში 61%-მდე შემცირდა; ჩამოსულ იმიგრანტთა

რაოდენობა, 200 ათასით აღემატებოდა რესპუბლიკიდან გასულთა რიცხვს). გარდა ამისა, კავკასიის ქვეყნების ტერიტორიაზე ბევრმა სამხედრო მოსამსახურემ და მათმა ოჯახებმა მოიყარეს თავი როგორც რუსეთიდან, ისე სხვა საბჭოთა რესპუბლიკებიდან. ისინი ხშირად ოჯახებთან ერთად რჩებოდნენ ადგილზე დასამკვიდრებლად. მოგვიანებით, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მათ რიცხვს დაემატა გერმანნელთა მიერ ოკუპირებული ტერიტორიებიდან ევაკუირებული ათასობით მიგრანტი. ომის დასრულების შემდეგ მათი უმეტესი ნაწილიც ადგილზე დარჩა და დამკვიდრდა.

ამ პერიოდის მიგრაციული პროცესებიდან აღსანიშნავია, რეპრესიების შედეგად იძულებით გადასახლებული უამრავი ადამიანი, რომლებიც ძირითადად პოლიტიკური ნიშნით ირჩეოდნენ, როგორც ტოტალიტარული რეჟიმის მოწინააღმდეგეები და დისიდენტები. რეპრესიული მანქანა შეეხო ასევე ჩვეულებრივ მოქალაქეებსა და მათ ოჯახებს, ეთნიკური ან რელიგიური ნიშნით შერჩეულ ადამიანთა ჯგუფებს, რომელთა ბრალეულობა ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს იყო მოკლებული. სსრკ-ს ისტორიაში ცნობილია **მკვიდრი ხალხების გაძევების** უამრავი შემთხვევაც.

რეგიონალური უსაფრთხოების კონტექსტში კვლავ განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ჰ. ფ. მაკინდერის, შემდგომში კი მისი ოპონენტის, ნ. სპაიკმენის მიერ წამოყენებული კონცეფციები, რომლებშიც განსაზღვრულია ევრაზიის რეგიონალური და გეოპოლიტიკური სტრუქტურიზაციის ცალკეული სივრცობრივი სეგმენტები. თუკი მაკინდერი აცხადებს, რომ გეოპოლიტიკური სუბიექტი, რომელიც **ხელში ჩაიგდებს „ჰართლენდს“ თავისი უდიდესი გეოპოლიტიკური და ეკონომიკური პოტენციალით ის მთელი პლანეტის კონტროლს შეძლებს,** სპაიკმენი უპირისპირებს პოზიციას, რომ **ჰართლენდის მნიშვნელობაზე წარმოდგენები გადაჭარბებულია, რომ ის მხოლოდ გეოგრაფიული სივრცეა, რომელიც კულტურულ-ცივილიზაციური იმპულსების ზემოქმედებას განიცდის „რიმლენდიდან".** სპაიკმენის მოსაზრების მიხედვით რიმლენდის საზღვრები ელასტიურია და მის ხარჯზე იცვლება ჰართლენდის სივრცული ტერიტორიაც. შესაბამისად სწორედ „რიმლენდი“ წარმოადგენს მსოფლიოზე ბატონობის რეალურ გასაღებს. საბოლოოდ ორივე თეორია მაინც ზედაპირული და

ცალმხრივია, რადგან არ იძლევა გლობალური გეოპოლიტიკური პროცესების კანონზომიერების დადგენის საშუალებას.

ბოლო საუკუნეების მანძილზე ჰართლენდის ფაქტობრივი მფლობელი, მსოფლიოს უდიდესი ტერიტორიული სახელმწიფო რუსეთია, რომელიც თავისი გეოპოლიტიკური აზროვნების მდიდარ მემკვიდრეობასაც ფლობს. სხვადასხვა მეცნიერის აზრით, სწორედ ამ მემკვიდრეობის დროებით დავიწყებამ შეასრულა თავის დროზე მნიშვნელოვანი როლი სსრკ-ს დაშლის პროცესში. ამ დიდი ტრადიციებიდან მინიმუმ ერთი დღესდღეობით დაკარგულია, რომლის დაბრუნებასაც ყველა ხერხით ცდილობს დღეს რუსეთი: **„დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ხიდის როლის შემსრულებელი ფუნქციები“.** თუ კიევის რუსეთი ჩამოყალიბდა ზღვიდან-ზღვამდე სავაჭრო გზის გასწვრივ, რუსეთის იმპერია გახდა მთავარი საკომუნიკაციო ღერძი ბალტიასა და წყნარ ოკეანეს შორის. რუსულმა ეთნოსმა, რომელიც ძირითადად აღმოსავლეთ ევროპის ნაწილში ცხოვრობდა, 19-ე საუკუნეში ფაქტიურად „ღერძული რეგიონის“ სრული სივრცე დაიკავა: *1. ცენტ. ევროპა, კავკასია, ცენტ. აზია; 2. სანაპირო ზოლი დასავლეთში - ბალტიის ზღვის სანაპირო, ფინეთი; 3. აღმოსავლეთით - სახალინი, კამჩატკა, ალასკა; 4. ჩრდილო ყინულოვანი ოკეანის სანაპირო.*

ამ გაფართოვებით მან 3 ოკეანეზე მოიპოვა გასასვლელი და **სახმელეთო საზღვაო სახელმწიფო** გახდა, ჩამოყალიბდა როგორც ერთდროულად „ჰართლენდის“ და „რიმლენდის“ გეოპოლიტიკური სივრცის მოთამაშედ.[14]

XX საუკუნის 20-იან წლებში რუსეთის იმპერია გარდაიქმნა საბჭოთა კავშირად და მემკვიდრეობით მიიღო მისი ტერიტორიის გეოპოლიტიკური შესაძლებლობებიც. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მან სოციალისტური მისწრაფებების მქონე ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის სახელმწიფოებისა და აზიური ქვეყნების ხარჯზე, კიდევ უფრო გააფართოვა „ღერძული რეგიონის“ საზღვრები (პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, ალბანეთი, იუგოსლავია და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა; ცენტრალურ აზიაში კი - მონღოლეთი და ავღანეთი). მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირში

[14] ისმაილოვი ე. პაპავა ვ. - „ცენტრალური ევრაზია: ახლებური გეოპოლიტიკური გააზრება“, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2012, გვ. 119

გეოპოლიტიკა, როგორც მეცნიერება აკრძალული იყო, ჰართლენდის სივრცე, როგორც კვლევის ობიექტი მაინც არსებობდა. დისციპლინის რეაბილიტაცია მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოხდა, მაგრამ ამ რეამილიტაციამ რუსეთში უკვე განსხვავებული **„ევრაზიონისტური“** ფორმა მიიღო. ამ მოცემულობის მიუხედავად სწორედ საბჭოთა კავშირმა შეძლო ჰართლენდის გაფართოვება თავის მაქსიმალურ საზღვრებში.

„ატლანტიზმის“ გეოპოლიტიკური კონცეფციისგან განსხვავებით, რომელიც „თალასოკრატიის“ (საზღვაო ძალაუფლების) იდეოლოგიას ეფუძნება, „ევრაზიულობა“ „ტელუროკრატიას“ (კონტინენტური ძალაუფლების) პრინციპებს ავითარებს. იდეები „ევრაზიული“ კულტურის განსაკუთრებული ტიპის შესახებ, ძირითადად, ემყარებოდა **ნ.ი დანილევსკის** კულტურულ-ისტორიული ტიპების თეორიას.[15] მის ჩამოყალიბებაზე უშუალო გავლენა მოახდინა მესიანურმა - „რუსეთის მაღალი ისტორიული როლის“ - იდეამ, რომელიც შეიმუშავეს პან-სლავმა მოღვაწეებმა *(ა.ხომიაკოვი, ი.კირეევსკი, ს.აქსაკოვი და სხვ.)*, სოციოლოგებმა და ფილოსოფოსებმა *(ნ. დანილევსკი, კ.ნ. ლეონტიევი და ლ. კარსავინა)*. მოძრაობამ თავდაპირველად ყველაზე ფართო გავრცელება ემიგრირებულ რუსულ დიასპორაში მოიპოვა, რომლებიც ნაციონალური აზროვნების შესანარჩუნებლად ეძებდნენ საბჭოთა კომუნიზმისგან განსხვავებულ, ალტერნატიულ იდეოლოგიურ კონცეფციას.

რუსული ევრაზისტული კონცეფცია ეფუძნება გეოპოლიტიკური გავლენების და წარმოდგენების ერთობლიობას „ევრაზიის განსაკუთრებულ კონტინენტზე“, რომელიც მდებარეობს განსაზღვრული ინტეგრალური, კულტურულ-გეოგრაფიული სივრცისა და საზღვრების გარეთ. თავდაპირველად აღმოსავლეთისკენ მრავალსაუკუნოვანი გადაადგილების შედეგად რუსეთმა მოახდინა ბევრი ადგილობრივი ხალხების ასიმილაცია და მოიპოვა ახალი სოციალურ-კულტურული იდენტობა. მაგრამ ის არც ევროპულ და არც აზიურ ქვეყანად არ შედგა, არამედ ჩამოყალიბდა, როგორც **ევრაზიული სუპერეთნოსი** სახელმწიფო.

---

[15] Дергачев В.А. „ГЕОПОЛИТИКА“, Издательство ВИРА-Р, Киев, 2000, ст. 71

დიდი ევრაზიული სტეპი სამჯერ გააერთიანა ჯერ თურქულმა, შემდეგ მონღოლურმა და ბოლოს რუსეთის იმპერიებმა. ყოველ ჯერზე სასაზღვრო კომუნიკაციის ფუნქციების დაკარგვა პროვოცირებას უკეთებდა იმპერიების დაღუპვას. მონღოლთა იმპერია უზრუნველყოფდა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის სავაჭრო კომუნიკაციების განვითარებას ხან-ბალიკიდან (პეკინი) - სარაის გავლით (ოქროს ურდოს დედაქალაქი) - შავი ზღვის სავაჭრო პუნქტამდე - სადაც გენუელი და ვენეციელი ვაჭრები, შუამავალ რგოლად გვევლინებოდნენ ევროპასთან ვაჭრობაში. შესაბამისად გეოპოლიტიკური ამოცანები წარსულში, განპირობებული იყო გეოეკონომიკური ფუნქციით - სატრანზიტო სავაჭრო ურთიერთობების შენარჩუნებით აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. გარკვეულწილად ამ სტრატეგიული აზროვნების ტრადიციის სამართალმემკვიდრე გახდა ჯერ საბჭოთა კავშირი, შემდეგ კი როგორც დღეს უკვე ნათლად გამოიკვეთა რუსეთი.

მიუხედავად ამისა, ევრაზიონიზმი მხოლოდ რუსეთის იდეოლოგიურ ტრადიციას არ წარმოადგენს და არც წარმოადგენდა. მის მიმართ თავისი სპეციფიური წარმოდგენები გააჩნია თურქეთსაც. ამ იდეების ჩასახვა თურქულ მსოფლმხედველობაში მართალია XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო, მაგრამ ჩამოყალიბებული ფორმა მხოლოდ XX საუკუნის მიწურულს მიიღო. ამ დრომდე, თურქეთის ინტერესი ცენტრალური აზიის ხალხების მიმართ, მიუხედავად მათი საერთო ეთნიკურ-კულტურული წარმომავლობისა უმნიშვნელო იყო.

თურქეთის ორიენტაცია ცენტრალურ აზიასა და აზიის სხვა ნაწილებზე, მათ შორის კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში ცივი ომის შემდგომ შეიცვალა. მის საგარეო პოლიტიკაში ასეთი ცვლილება ცნობილია როგორც - **„აღმოსავლეთისკენ შემობრუნება“**. თურქეთის მხრიდან ასეთი პოზიცია მანამდელ პერიოდში წახალისებული იყო შეერთებული შტატებისა და დასავლეთ ევროპის მიერ. ისინი იმედოვნებდნენ, რომ ის იკისრებდა გარკვეული ბუფერული ზონის ფუნქციას საბჭოთა გავლენის წინააღმდეგ. 1989-1991 წლებში საბჭოთა საფრთხის დასრულებასთან ერთად დასავლეთსა და თურქეთს შორის არსებული პარტნიორული ურთიერთობა შედარებით გაფუჭდა. შესაბამისად, თურქეთმა დაიწყო ალტერნატიული რეგიონალური კავშირების ძიება. ცენტრალური აზიის

ქვეყნები კი, თავიანთი კულტურული კავშირებით მისთვის ყველაზე პერსპექტიული და მისაღები პარტნიორები აღმოჩნდნენ.

თურქეთის საგარეო პოლიტიკური ელიტა 1990-იან წლიდან სულაც არ თვლიდა, რომ ეს შემობრუნება, ტრადიციული ქემალისტური დასავლური ორიენტაციისგან გადახვევას გულისხმობდა. იგი განიმარტებოდა როგორც - *„გლობალურ ასპარეზზე დაბრუნებული უფრო ძლიერი თურქეთი“*. მოცემული კონცეფცია თურქული ევრაზიანიზმის საფუძვლად იქცა, რაც რეგიონში თურქეთის პოლიტიკური, უსაფრთხოებისა და ეკონომიკური ინტერესების ზრდასთან არის დაკავშირებული. თურქული ევრაზიონისტული იდეა თავის მხრივ წარმოდგენილია 4 პოტენციური გაგებით:

1. **დასავლურზე ორიენტირებული** - კონცეპტუალიზაციას უკეთებს თურქეთს, როგორც ხიდს ევრაზიის სხვადასხვა ქვერეგიონებს შორის და საშუალებას აძლევს პოტენციური მოდერნიზაცია-ვესტერნიზაციის როლი შეასრულოს ცენტრალურ აზიასა და მის ფარგლებს გარეთ. ეს „ცივილიზაციური“ კონცეფცია პოპულარულია საერო ელიტებში.
2. **რუსულზე ორიენტირებული** - ყველაზე ნაკლებად გავლენიანი და ყველაზე ანტიდასავლური მიმართულება, რომელიც ევრაზიას განიხილავს, როგორც გზას თურქეთისთვის, რომ დატოვოს დასავლური ალიანსის სისტემა და გაატაროს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა. დღესაც ზოგიერთი მემარცხენე პარტია მხარს უჭერს ამ მოსაზრებას (დოღუ პერინჩეკის მუშათა პარტია, რომელსაც ახლა სამშობლოს პარტია ეწოდა).
3. **ნეო-ოსმალისტური ევრაზიონიზმი** - შედარებით პრაგმატული გაგება, რომელიც: 1. არ ცდილობს რუსეთთან დაპირისპირებას; 2. ინარჩუნებს დასავლურ ორიენტაციას, პოლიტიკას და პარტნიორებს. ამასთანავე იგი ხაზს უსვამს არა მხოლოდ რასობრივ-კულტურულ იდენტობებს, არამედ რელიგიას (ისლამს), როგორც ევრაზიული სოლიდარობის საფუძველს. ისლამისტური ელიტები და პარტიები, მათ შორის AKP *(Turkish: Adalet ve Kalkınma Partisi – English: The Justice and Development Party)* ამგვარ გაგებას ემხრობა.
4. **პანთურქისტული** - თვლის, რომ ევრაზიის ხმელეთის ბირთვი ძირითადად დასახლებულია თურქი ხალხებით, რომლებიც უნდა იყვნენ მხარდაჭერილი და გაერთიანდნენ სხვა პოლიტიკურ-კულტურული პრეტენდენტების, მათ შორის

რუსეთის წინააღმდეგ. ეს გაგება ეხმიანება პანთურქისტულ და ულტრანაციონალისტურ ჯგუფებს.[16]

ევრაზიულობის თითოეული ეს გაგება განსხვავებული და შესაძლოა ერთმანეთთან შეუთავსებელი ინტერპრეტაციებია, მაგრამ ისინი მაინც ერთიანდებიან თავიანთი აქცენტით უფრო ფართო ევრაზიულ გეოგრაფიაზე, სადაც დიდ ადგილს იკავებს ცენტრალური აზია, როგორც თურქეთის ინტერესების სივრცე.

საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის ომმა (1979-1989), მცირე ხნით შეაფერხა თურქული გავლენების გავრცელება ცენტრალურ აზიაში, თუმცა პარალელურად საფუძველი ჩაუყარა რადიკალური ისლამისტური იდეოლოგიების აღზევებას რეგიონში, რომელთა მემკვიდრეებმა სრულად შეცვალეს გლობალური უსაფრთხოების სისტემა და მისი გაგება პოსტ-ბიპოლარულ სამყაროში. საბჭოთა კავშირი შეიჭრა ავღანეთში, რათა მხარი დაეჭირა ქაბულის კომუნისტური მთავრობისთვის მოჯაჰედი აჯანყებულების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ საბჭოთა რეჟიმს. მოჯჰედებს სხვადასხვა ქვეყნიდან დროთა განმავლობაში ისლამური ექსტრემისტები შეუერთდნენ. ათასობით უცხოელი მებრძოლი, მათ შორის სალაფისტური და ვაჰაბისტური იდეოლოგიებით შთაგონებული ჯიჰადისტები გაემგზავრნენ ავღანეთში საბჭოთა ძალების წინააღმდეგ საბრძოლველად. ისინი ამ ომს აღიქვამდნენ, როგორც - **ჯიჰადს** - წმინდა ომს, საბჭოთა ძალების წინააღმდეგ. მოჯაჰედებმა მხარდაჭერა მიიღეს ისეთი ქვეყნებისგან, როგორებიცაა შეერთებული შტატები, საუდის არაბეთი და პაკისტანი.

საბჭოთა კავშირი-ავღანეთის ომმა და მისმა შედეგებმა ისლამისტური ექსტრემიზმის განვითარებისთვის მსუყე საფუძველი შექმნა; დატოვა ძალადობის, არასტაბილურობისა და რადიკალიზაციის მემკვიდრეობა მთლიანად რეგიონში. ომის ფონად ხელი შეეწყო იარაღის უკანონო ვაჭრობა/გავრცელების განვითარებას, მილიონობით ავღანელის იძულებით მიგრაციას, ინფრასტრუქტურის განადგურებას. 1989 წელს ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გასვლის შემდეგ,

[16] Alrmizan M. “Turkish Foreign Policy in Central Asia in the Era of Erdoğan: The Convergence of Pan-Turkism, Pragmatism, and Islamism”, King Faisal Center for Research and Islamic Studies, Dirasat, #64, 2022, pg. 10-11

კონფლიქტი სამოქალაქო ომში გადაიზარდა, სადაც მოჯაჰედთა სხვადასხვა ფრაქციები აგრძელებდნენ ბრძოლებს ძალაუფლებისთვის. სწორედ ამ ქაოსიდან აღმოცენდა ისლამისტური მოძრაობა - **თალიბანი**, რომელმაც 1990-იანი წლების შუა პერიოდისთვის ხელში ჩაიგდო ავღანეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი. იმავდროულად, ოსამა ბინ ლადენმა და სხვა ჯიჰადისტმა ლიდერებმა შექმნეს **ალ-ქაიდა**, რომელიც განაგრძობდა ტერორისტული თავდასხმების ორკესტრირებას მთელ მსოფლიოში. ათწლეულების შემდეგ, 21-ე საუკუნის დასაწყისში ერაყის ომის ქაოსიდან, ახლო აღმოსავლეთში სექტანტური დაძაბულობისა და სირიის სამოქალაქო ომის მიერ შექმნილი ძალაუფლების ვაკუუმისგან, რაც გარკვეულწილად ავღანეთის ომის ირიბი იდეოლოგიური გავლენით განვითარდა - წარმოიშვა ISIS. თავის მხრივ მან ომის შემდგომ ჯიჰადისტურ მოძრაობებშიც ჰპოვა ასახვა.

რაც შეეხება ჩინეთს, ცივი ომის ეპოქაში საბჭოთა კავშირთან მას საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. იგი მოიცავდა როგორც იდეოლოგიურ განსხვავებებს ისე ტერიტორიულ დავებს. 1978 წლიდან დენ სიაოპინგის ხელმძღვანელობით დაიწყო ეკონომიკური რეფორმების სერია, რომელიც გულისხმობდა ჩინეთის ეკონომიკის მოდერნიზაციას და მის გახსნას უცხოური ინვესტიციებისათვის. ცენტრალიზებულიდან უფრო ბაზარზე ორიენტირებულ სისტემაზე გადასვლის წამოწყებამ 1980-იანი წლებიდან მოყოლებული ჩინეთ-სსრკ რთიერთობები დაათბო. ორივე ქვეყანა ცდილობდა დიპლომატიური კავშირების გაუმჯობესებას. დიდ სახელმწიფოებთან დაბალანსებული ურთიერთობები ჩინეთის გეოპოლიტიკურ პოზიციებზეც დადებითად აისახა. დაინერგა და განვითარდა სპეციალური ეკონომიკური ზონები, გაიზარდა უცხოური ინვესტიციები და დაიწყო სწრაფი ინდუსტრიალიზაცია. გახსნის პოლიტიკამ, ასევე გამოიწვია დიპლომატიური ურთიერთობების ნორმალიზება დასავლეთის ქვეყნებთან, მათ შორის შეერთებულ შტატებთან, რასაც აზიის ქვეყნებიდან და დასავლური მრავალეროვნული კორპორაციებიდან პირდაპირი ინვესტიციები მოჰყვა, რამაც ხელი შეუწყო ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას. რეფორმები ეკონომიკურ ცვლილებებთან ერთად, ასევე მოიცავდა ძალისხმევას სამხედრო-ინდუსტრიული მოდერნიზაციისთვის. ჩინეთმა მოახდინა თავდაცვის ინდუსტრიის მოდერნიზაცია

და საზღვაო ძალების გაფართოება, რამაც გაამყარა მისი პოზიციები აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში.

80-იანი წლების ბოლოს დასავლეთს ჯერ კიდევ არ ჰქონდა გაცნობიერებული ის საფრთხეები, რომლებიც მწიფდება ცენტრალურ აზია-კავკასიაში და რომლებიც სულ რამოდენიმე წელიწადში კარდინალულად შეცვლიდნენ უახლესი გლობალური უსაფრთხოების სისტემას. ირანი ისლამური რევოლუციისა და საფრანგეთთან ბირთვული შეთანხმების ჩაშლის შემდეგ დასუსტებულია, აწარმოებს ომს ერაყთან და მის გარშემო გაერთიანებულ კოალიციურ დასავლეთთან. ნელ-ნელა იწყება მისი ტერორისტულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება. თავად ერაყში, იგივე დასავლეთის ფინანსური და სამხედრო მხარდაჭერით ძლიერდება სადამ ჰუსეინის დიქტატორული რეჟიმი. აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის დაძაბული და პოლარიზებული ურთიერთობები იცვლება და შედარებით თბილი ხდება. ცივი ომი და 70-წლიანი საბჭოთა კავშირი უახლოვდებიან თავისი არსებობის ლოგიკურ დასასრულს.

### 1.3 პოსტ-ბიპოლარული პერიოდი: სამხ. ევრაზიის დემოგრაფია და ეროვნული საზღვრების გეოპოლიტიკური ფორმირება

ცივი ომის დასრულების შემდეგ საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის ცვლილებები მოულოდნელ ფორმას იძენს. თუკი ორპოლუსიან და პოლარიზებულ სისტემაში საფრთხეებს სახელმწიფოები ან პოლიტიკურ-იდეოლოგიური გაერთიანებები წარმოადგენდნენ, ახლა ისინი შედარებით მცირე სახელმწიფოებმა ან მათ შიგნით ჩამოყალიბებულმა დაჯგუფებებმა შეცვალეს. შედეგად, საერთაშორისო უსაფრთხოება სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობიდან ბევრად უფრო ღრმა და ფართო ურთიერთქმედების სივრცედ გარდაიქმნა. სახელმწიფოების გარდა პროცესმა მოიცვა: არასამთავრობო, მთავრობათაშორისი, საერთაშორისო ორგანიზაციები და კორპორაციები; იდეოლოგიური, რელიგიური, თუ უბრალოდ კრიმინალური დაჯგუფებები. მოხდა ომისა და კონფლიქტის, მათი წარმოების ფორმებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საშუალებების ტრანსფორმაცია „ახალი და ძველი ომების“ თეორიის ფორმატში.[17] საერთაშორისო,

[17] Kaldor M. “New and Old Wars Organized Violence in a Global Era”, Stanford University Press; Stanford, California, 2012

რეგიონალური თუ ეროვნული უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვან სუბიექტად იქცა ნებისმიერი ტიპის ორგანიზაცია, საერთაშორისო დაჯგუფება თუ ინდივიდი. სახელმწიფომ როგორც საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის მთავარმა აქტორმა მეოთხე თაობის ომების ეპოქაში, დაკარგა თავისი მონოპოლურობა ომის წარმოების პროცესში. საომარ მოქმედებათა მართვა გახდა დეცენტრალიზირებული. გამოჩნდნენ ახალი აქტორები - არასახელმწიფოებრივი, გასამხედროებული დაჯგუფებები, კერძო ორგანიზაციები. ომის მიზანი გახდა არა მოწინააღმდეგის ფიზიკური განადგურება, არამედ მისი კულტურულ-იდეოლოგიური მარცხი. წაიშალა საზღვრები ომის დაწყებას, მიმდინარეობას და დასრულებას შორის. ჩამოყალიბდა სამხედრო ხელოვნებისა და აზროვნების ახალი მოდელი, ტრანსფორნაცია განიცადა სამხედრო სტრატეგიამ და შემოიერთა შემდეგი ელემენტები: 1. უახლეს ტექნოლოგიები; 2. ტერორიზმი; 3. არაეროვნული ან ტრანზიციული კომბინირებული ბაზისი; 4. პირდაპირი შეტევები მტრის კულტურასა და იდეოლოგიაზე; 5. მაღალი დონის ფსიქოლოგიური ომის ხელოვნება (მედია საშუალებებით მანიპულაცია); 6. მოწინააღმდეგეზე მოკლევადიანი და მაღალი ინტენსივობის შეტევის განხორციელება, რომლის მიზანიც მოწინააღმდეგისთვის მოწყვლადობის, სისუსტის და გამოფიტვის შეგრძნების თავს მოხვევა და იგი მოიცავს „ასიმეტრიული ომის“ დოქტრინის ელემენტებს.[18]

მეოთხე თაობის ომის კონცეფცია (4GW) შემუშავდა ანალიტიკოსთა ჯგუფის, მათ შორის **უილიამ ს. ლინდის** მიერ 1989 წელს. წინა თაობის ომებისგან განსხვავებით იგი ხასიათდება ომისა და პოლიტიკის, მებრძოლებსა და მშვიდობიან მოსახლეობას შორის არსებული ბუნდოვანი საზღვრებით. მისი წარმოშობა არადასავლური კულტურის ტრადიციებთან (ისლამური ან აზიური ტრადიციები) არის დაკავშირებული. მოძველდა არმიების ტრადიციული ფუნქციები, სამიზნემ მიიღო უხილავი ფორმა, რამაც პირდაპირ სიმძიმის მთავარ ცენტრში მისი შესაძლო აღმოცენებისა და კულტურაზე პირდაპირი შეტევა/დარტყმის შესაძლებლობა რეალური გახადა. ლინდმა მეოთხე თაობა დაახასიათა, როგორც ომი, რომელიც

[18] მაისაია ვ. გუჩუა ა. „ნატო და არასახელმწიფოებრივი აგრესიული რელიგიური ფაქტორები“, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, 2020, გვ. 57-60

გამოწვეულია მსოფლიოში სამი მნიშვნელოვანი ცვლილების შერწყმით: *1. სახელმწიფოს დაშლა. 2. მულტიკულტურალიზმის უარყოფითი გავლენა დასავლურ კულტურაზე, (განსაკუთრებით, როგორც ეს ჩანს შეერთებულ შტატებში); 3. სამყაროს გადასვლა კულტურათა კონფლიქტში.* ცვლილებების ეს ასპექტები, ყველა ამ სფეროში ამჟამად უკვე არსებობს და სწორედ მათ განაპირობეს კონფლიქტის ახალი იდეების წარმოშობაც:

- ✓ I **იდეა** - კონფლიქტები წარმოიქმნება ნაციონალური სახელმწიფოს ჩარჩოს მიღმა (სამხედრო ტრიადის გარეთ);
- ✓ II **იდეა** - კულტურული კონფლიქტის სამყაროში დაბრუნება - ის ასახავს იმ აზრს, რომ მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, დასავლეთის პასუხი არადასავლური კულტურის მზარდ შეჭრაზე მის კერაში (ევროპა და ჩრდილოეთ ამერიკა) იყო მხოლოდ მისი კულტურული თვითმკვლელობა;
- ✓ III **იდეა** - ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი და გადაუჭრელი ასპექტი - ცნება ერთგვარი **კულტურული მარქსიზმის** შესახებ, რომელიც გამოიყენება შეერთებულ შტატებში და სრულმასშტაბიან შეიარაღებულ შემოჭრას, ახალი საომარი ფრონტის ამერიკის ტერიტორიაზე გადატანას გულისხმობს.[19]

მეოთხე თაობის ომის მკვლევარები ამტკიცებენ, რომ დასავლური, იუდეო-ქრისტიანული კულტურის ცვლილება მულტიკულტურული სახელმწიფოს, სადაც ინდივიდუალობა ეროვნულ ერთიანობაზე მაღლა დგას, ქმნის შიდა სახელმწიფოევრივი განხეთქილების საფრთხეს რაც საბოლოოდ საერთაშორისო და შიდა უსაფრთხოების სისტემის კოლაფსით შეიძლება დასრულდეს.

კომუნიზმის იდეების კრახთან ერთად, სსრკ-ს დაშლა სახელმწიფო-სუპერეთნოსის „გენეტიკური“ საკომუნიკაციო ფუნქციის დაკარგვითაც იყო გამოწვეული. რკინის ფარდის დაცემამ გამოიწვია ცენტრიდანული ტენდენციების შესუსტება. ბალტიიდან წყნარ ოკეანემდე მოხდა ჰართლენდის გეოპოლიტიკური გახლეჩვა, რამაც აამოქმედდა „სეისმურად“ აქტიური ზონები. ხელოვნურად შექმნილი ხალხთა შორის მეგობრობის ტენდენცია დაიმსხვრა და გამოვლინდა მიძინებული ისტორიული მეხსიერებები. დაიწყო ყოფილი „სოციალისტური ბანაკის“ ახლად შექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოების სვლა ახალი

[19] Polk R.B. "Fourth Generation Warfare and Its Impact on the Army", School of Advanced Military Studies United States Army Command and General Staff College Fort Leavenworth, 2000, pg. 2-3

გეოპოლიტიკური რეალობის შესაბამისად - არასტაბილურ, მრავალგანზომილებიან გლობალურ სივრცეში.

მართლმადიდებელი სლავების, მაჰმადიანი თურქებისა და მთის ხალხებისგან შემდგარი ევრაზიული რუსეთი ტრადიციულად ეწინააღმდეგებოდა დასავლეთ ევროპულ და ჩინურ ცივილიზაციებს. ამავე დროს წარმოადგენდა საკომუნიკაციო ხიდს მათ შორის. სლავების დაშლამ (რომელთა 70% საბჭოთა კავშირში ცხოვრობდა), მათი გეოპოლიტიკური პოზიციების დაკარგვამ ბალკანეთში, კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში, გააძლიერა რეგიონის დასავლური და ისლამური ექსპანსია. გამოვლინდა ჩეჩნების, ინგუშების, კალმიკების, კორეელების, ყირიმელი თათრების, ბერძნების, ლიტველების, ლატვიელების, ესტონელების, დასავლეთ უკრაინელებისა და სხვა ხალხების საბჭოთა სივრციდან სრულიად გამოყოფის მისწრაფებები. პოსტსაბჭოთა სივრცის ეთნოპოლიტიკურ საზღვრებზე (ჩეჩნეთი, აფხაზეთი, ოსეთი, ყარაბაღი, ტაჯიკეთი, დნესტრისპირეთი, ყირიმი) ეთნონაციონალური და ეთნოკონფესიური კონფლიქტების კერები გაჩნდა. გამოვლინდა უკრაინელი და ბელორუსი ხალხების სოციო-კულტურული საზღვრები, რომელთა ფორმირება დასავლეთისა და აღმოსავლეთის გავლენის ცენტრებს შორის იყო მოქცეული და აღმოსავლეთ სლავური კავშირის ლიდერი გახდა. უკრაინამ პრიორიტეტად გამოაცხადა სახელმწიფოებრიობა და ევროინტეგრაცია. მოლდოვამ მჭიდრო კავშირები განავითარა ეთნიკურად ახლობელ რუმინეთთან. პოსტსაბჭოთა სივრცის ანტიპოდები - ბალტიისპირეთმა და ცენტრალურმა აზიამ, საპირისპირო ტენდენციები აჩვენეს დასავლეთისა და აღმოსავლეთისკენ. ამიერკავკასიაში მრავალვექტორული ორიენტაცია ჩამოყალიბდა: აზერბაიჯანი, ორიენტირებული მუსლიმური თურქეთისკენ; ქრისტიანული სომხეთი კი იზოლირებული მათ შორის - ორიენტირებული რუსეთისა და ირანის მხარდაჭერის მოპოვებაზე. საქართველოში შეიმჩნევა „პან-ევროპული სახლის“-კენ სწრაფვა. რუსეთის ეკონომიკური დასუსტების გამო ამიერკავკასიაში გაიზარდა დასავლეთის გავლენა. ყაზახეთმა მხარი დაუჭირა ევრაზიის კონფედერაციის შექმნას. მოხდა აღმოსავლეთ ევროპისა და ჰართლენდის შიგნიდან გაყოფა.

სხვადასხვა რეგიონალური და გლობალური აქტორების გამოჩენით პოსტ-საბჭოთა სივრცეში, ახალი გეოპოლიტიკური კონცეფციები შემოიჭრა:

ევროატლანტიკური, პანთურქული, ევრაზიული, აღმოსავლეთ სლავური და დიდი რუსულ-იმპერიული.[20] ბალტიის ახლადშექმნილი დამოუკიდებელი ქვეყნებისგან განსხვავებით, რომლებიც შედარებით წარმატებით ახორციელებენ ვესტერნიზაციას, აღმოსავლეთ სლავური ქვეყნების დასავლეთისკენ დაჩქარებული ინტეგრაციის პროგნოზები არ გამართლდა. რუსეთის პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სამხედრო სისუსტემ შეუძლებელი გახადა დიდი ძალის კონცეფციის განხორციელება, რომელიც გლობალურ დონეზე დაკარგული ჰეგემონობის სტატუსის დაბრუნებას, ფედერაციის ან „ევრაზიული კავშირის" კონფედერაციის პროექტების შექმნას გულისხმობდა. სამაგიეროდ, წარმოიშვა **კომუნონაციონალიზმის** გეოპოლიტიკური ამბიციების უკიდურესად ნაციონალისტური გამოვლინებები. წარმოიქმნა ახალი გეოპოლიტიკური სუბიექტები და შეიცვალა საზღვრები. გააქტიურდნენ რეგიონალური და გლობალური აქტორები და მოხდა (უმეტესად ხელოვნურად) ეთნიკური და რელიგიური ქვეტექსტით სხვადასხვა კონფლიქტებისა და დაძაბულობების პროვოცირება.

საერთაშორისო ბიპოლარული სისტემა (აშშ და სსრკ), გლობალისაციის ამ ახალ ეპოქაში - **უნიპოლარულობამ** შეცვალა. ამერიკის შეერთებული შტატები ერთადერთ პოლუსად დარჩა. 1991 წლის სპარსეთის ყურის ომში ყოველგვარი დანაკარგების გარეშე აშშ-ს გამარჯვებამ უაღრესად გაზარდა მისი პრესტიჟი, რასაც დიდი მორალური მნიშვნელობა ჰქონდა თვით ამერიკელებისთვისაც. საბჭოთა კავშირში განვითარებული „პერესტროიკის" კურსის კრახმა, აღმოსავლეთ ევროპაში დაანგრია სოციალიზმი, ხოლო თვითონ საბჭოთა კავშირის როგორც ეკონომიკურმა, ისე პოლიტიკურმა დასუსტებამ და ბოლოს დაშლამ აშშ კონკურენტის გარეშე დატოვა. უახლესი ისტორიის მანძილზე, საერთაშორისო სისტემაში არც ერთ ქვეყანას არ ჰქონია სხვებთან შედარებით ასეთი უპირატესობა. ამ მოცემულობამ სკეპტიკოსებს საბაბი მისცა გლობალიზაცია ამერიკული იმპერიალიზმის გარეგნულ სახედ, **ამერიკანიზაციად** გამოეცხადებინათ. მიუხედავად ამ პოლიტიკური და სამხედრო ძლიერებისა აშშ-თვის სერიოზულ

[20] Дергачев В.А. „ГЕОПОЛИТИКА", Издательство ВИРА-Р, Киев, 2000, ст. 226-227

პრობლემად მაინც რჩებოდა ქვეყნის შიდა ეკონომიკური სირთულეები, რაც სერიოზულ ფინანსურ დეფიციტში გამოიხატებოდა.

ბ. კლინტონის პრეზიდენტობის პერიოდში (1993-2001), თითქოს სიტუაცია შეიცვალა და მოხდა შექმნილი კრიზისების დაძლევა. უპრეცედენტოდ გაიზარდა ეკონომიკური აღმავლობის და წარმოების ტემპები. სახელმწიფო ფასიანი აქციების ღირებულება გაათმაგდა და ფინანსური დეფიციტი არა თუ დაძლეულ იქნა, არამედ შემოსავლებმა ბევრად გადააჭარბა ხარჯებს. 10 მილიონი ახალი სამუშაო ადგილის შექმნამ, უმუშევრობა მინიმუმამდე დაიყვანა. ეკონომიკური თვალსაზრისით გლობალიზაციამ ამერიკაზე უაღრესად დადებითი გავლენა მოახდინა და ის მსოფლიო ჰეგემონად აქცია. შესაბამისად, მან ერთპიროვნულად, თავის თავზე აიღო მსოფლიოს ყველა სერიოზული კონფლიქტის მოგვარება (ბოსნია, კოსოვო, ისრაელ-პალესტინა, ინდოეთ-პაკისტანისა და ა.შ.). სხვადასხვა სამშვიდობო თუ ჰუმანიტარული ღონისძიებების მიღება/გატარებაზე საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ აშშ ზემოქმედების დონეც საგრძნობრად გაიზარდა.

ამერიკის ასეთ მომავალს, 80-იანი წლების დასაწყისში ვერავინ იწინასწარმეტყველებდა. პირიქით, ქვეყნდებოდა წიგნები, სტატიები, სადაც ამერიკას საკმაოდ პესიმისტურ მომავალს უქადდნენ. ეს პესიმისტური მომავალი, როგორც საბოლოოდ აღმოჩნდა, მთლად უსაფუძვლო არ ყოფილა და ის მისი გაჟღერებიდან 15-20 წლის დაგვიანებით გარკვეული თვალსაზრისით განხორციელდა კიდეც. ამის მიზეზი თავად აშშ-ს მოკლევადიან ეფექტზე გათვლილი, არაშორსმჭვრეტელური საგარეო პოლიტიკა და მოძველებული უსაფრთოების კონცეფცია გახდა. მას, ისევე როგორც სხვა მსოფლიო პოლიტიკურ აქტორებს, სსრკ-ს დაშლის შიდა პოლიტიკური შედეგები სათანადოდ არ ჰქონდა გააზრებული. ჩანაფიქრში აშშ-ს სურვილი სსრკ-ს დაშლისა, მისი მეტად დემოკრატიულ სახელმწიფოდ გარდაქმნით შეიცვალა. ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების გაჩენამ, განსხვავებული ეროვნული ისტერესებითა და საგარეო პოლიტიკური ხედვებით, აშშ მისთვის მოულოდნელად უცხო გამოწვევების წინაშე დააყენა.[21] მეორეს მხრივ, მსგავსმა უნიპოლარულმა წესრიგმა, გარკვეულწილად

---

[21] ფეიქრიშვილი დ. „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავების მექანიზმები სამხრეთ კავკასიის რეგიონის აქტორების მაგალითზე", კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, 2023, გვ. 41

გაათამამა კიდეც ის. შემცირდა დაზვერვისა და კონტრ-დაზვერვის ხარჯები. საქმე იქამდეც მივიდა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აშშ-მ გლობალური საფრთხეები ამოიწურულად გამოაცხადა. დღის წესრიგში რამდენჯერმე გაიჟღერა "NATO"-ს დაშლის იდეამაც, ახალ რეალობაში მისი უფუნქციობის გამო. მსგავსი დამოკიდებულება მოწმობს იმას, რომ აშშ-მ მოადუნა თავისი ყურადღება მისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვან რეგიონებში მიმდინარე, ჯერ კიდევ პასიური, შემდეგ მომავალში კი უკვე აქტიური პროცესების მიმართ - პოსტ-საბჭოთა სივრცე, კავკასია-ცენტრალური აზია და ავღანეთი, ახლო აღმოსავლეთი, ჩინეთი, პაკისტანი და ა.შ.

დღევანდელი გადმოსახედიდან რთული წარმოსადგენია, მაგრამ 1990 წლიდან დაიწყო ნატო-რუსეთის თანამშრომლობა და მომდევნო ორი ათწლეულის განმავლობაში ალიანსმა რუსეთს არაერთი პარტნიორული ინიციატივა და პრაქტიკული თანამშრომლობის შესაძლებლობა შესათავაზა:

1. **„პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამა (1994)** - რუსეთი გახდა პირველი ქვეყანა, რომელიც შეუერთდა ნატო-ს „პარტნიორობა მშვიდობისათვის" (PfP) პროგრამას.
2. **ნატო-რუსეთის თანამშრომლობის დამფუძნებელი აქტი (1997)** - ნატო-ს ლიდერებმა და რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა ხელი მოაწერეს დამფუძნებელ აქტს, დაადასტურეს თავიანთი გადაწყვეტილება „ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ერთად შეექმნათ ხანგრძლივი და ინკლუზიური მშვიდობა დემოკრატიისა და თანამშრომლობითი უსაფრთხოების პრინციპების გათვალისწინებით".
3. **თანამშრომლობა ნატო-რუსეთის საბჭოს ფორმატში (2002-2008)** - სახელწოდებით *„ნატო-რუსეთის ურთიერთობები: თანამშრომლობის ახალი ხარისხი"*, რომლის საფუძველზეც დაარსდა ნატო-რუსეთის საბჭო, როგორც თანასწორუფლებიანი წევრებისგან შემდგარი, კონსესუსზე დაფუძნებული ერთეული. (ურთიერთთანამშრომლობის სფეროები: კონტრ-ტერორიზმი, კრიზისების მართვა, შეიარაღების კონტროლი; უსაფრთხოების

უზრუნველყოფის ძალების (ISAF) მისიის მხარდაჭერას ავღანეთში; რუსეთის მხრიდან სატრანზიტო გზების უზრუნველყოფა და ა.შ.).

ამ პოლიტიკური ჰეგემონობის ფონზე რუსეთის როლი საერთაშორისო სისტემაში ისევე, როგორც მისი გავლენა მსოფლიოში 90-იან წლებში მუდმივად მცირდებოდა. რუსეთმა, საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე უზარმაზარი დახმარება მიიღო როგორც აშშ-დან ისე დასავლეთის სხვა ქვეყნებიდან და საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან, თუმცა რუსეთის ეკონომიკა მაინც უმძიმეს კრიზისში აღმოჩნდა. ბუნებრივია. მოსალოდნელი იყო, რომ კომუნიზმიდან და გეგმიანი ეკონომიკიდან დემოკრატიულ მმართველობასა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა საკმაოდ მძიმე იქნებოდა, თუმცა ასეთ შედეგებს მაინც არავინ მოელოდა. კატასტროფულად იმატა დანაშაულმა, ქვეყანა უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. სწორედ ასეთმა პირობებმა, მოსახლეობაში კვლავ გააძლიერა ნოსტალგია საბჭოთა კავშირის რეჟიმზე, რასაც საპარლამენტო არჩევნებში კომუნისტების გამარჯვებაც მოჰყვა. მოცემული მძიმე შედეგების მიზეზს, ერთის მხრივ დასავლეთის ქვეყნების არასწორი პოლიტიკა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის დაუსაბუთებელი რეკომენდაციები, ხოლო მეორეს მხრივ ახალი რუსი რეფორმატორების შეცდომები წარმოადგენდა. ე.წ. „შოკურმა თერაპიამ“, რომელიც წარმატებული აღმოჩნდა პოლონეთსა და სხვა ყოფილი სიციალისტური ქვეყნების უმრავლესობაში, რუსეთში არ იმუშავა. ამას 1998 წლის ზაფხულში დაერთო ფინანსური კრიზისი, რამაც ფაქტობრივად დაანგრია რუსეთის ფინანსური სისტემა.

2000 წლიდან რუსეთს პრეზიდენტად ვ. პუტინის მოსვლის შემდეგ შესამჩნევი გახდა ძვრები რუსეთის ეკონომიკის და ცხოვრების დონის ამაღლების თვალსაზრისით. დასავლეთს რუსეთის პირველხარისხოვან სახელმწიფოდ გადაქცევის პერსპექტივა შეუძლებლად მიაჩნია და იგივე შეიძლება ითქვას რუსეთის პოლიტიკური როლის ამაღლების შესახებაც. ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში, რომლებიც ყოველთვის რუსეთის გეოპოლიტიკური გავლენის სივრცეს წარმოადგენდა ამერიკის ჯარები და სამხედრო ინსტრუქტორები გამოჩნდნენ.

რუსეთის მიერ დემოკრატიული განვითარების ვექტორის ცვლილების პირველი ნიშნებისა ავტოკრატიული ვერტიკალური სისტემის ჩამოყალიბების მიმართულებით, პუტინმა პირველ ეტაპზე შეინარჩუნა დასავლეთის კეთილგანწყობა და გარკვეული ფორმით ურთიერთობების დასტაბილურება

მოხდა. თუმცა ეს ფიქტიური სტაბილიზაციის დრო პუტინის რეჟიმის საფუძლიან გამყარებას ემსახურებოდა. ამ პერიოდში შეიქმნა რუსეთის ახალი გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული კონცეფციები, განისაზღვრა ქვეყნის უსაფრთხოების საზღვრები. დასავლეთმა კი კვლავ გააგრძელა რუსეთის ეკონომიკური პოტენციალის ამაღლების და მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ზრდის მცდელობები, რადგან გაცნობიერებული ჰქონდა თუ რა საფრთხეს წარმოადგენდა უდიდესი ბირთვული პოტენციალის მქონე, მაგრამ ეკონომიკურ გაჭირვებაში მყოფი ქვეყანა.

მსგავსი გლობალური წარმატების ფონზე ერთგვარად შოკისმომგვრელი აღმოჩნდა ამერიკისთვის 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტები. რაც ერთის მხრივ განპირობებული იყო თავად აშშ-ს სპეცსამსახურებისა და უსაფრთხოების დაცვის სამსახურების არაკოორდინირებული მუშაობით და მეორე როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, უნიპოლარობის პირობებში აშშ-ს ზედმეტი თავდაჯერებულობით. მაგრამ აქვე უნდა ავღნიშნოთ ისიც, რომ სწორედ ამ ტრაგედიამ შეძლო, გარკვეული ფორმით ხელი გაეხსნა აშშ-თვის საკუთარი ეროვნული უსაფრთხოების საზღვრების გაფართოვებისკენ. ავღანეთში თალიბების რეჟიმის წინააღმდეგ თავდაპირველად განხორციელებულმა ოპერაციამ ამერიკას საშუალება მისცა თავისი სამხედრო კონტინგენტი შეეყვანა უზბეკეთში, ტაჯიკეთსა და ყირგიზეთში. ის ეცადა ცენტრალურ აზიაში მყარად დამკვიდრებას, რამაც ძირეულად შეცვალა გეოპოლიტიკურ წესრიგი რეგიონში. 2002 წლის მაისში საქართველოში ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორების კონტინგენტი შემოვიდა და მათ ქართული არმიის გადამზადება დაიწყეს. კავკასია ამ პერიოდისთვის უკვე შევიდა ამერიკის სასიცოცხლო გეოპოლიტიკური ინტერესების სფეროში. სწორედ ამ ინტერესთა სფეროს გაფართოვებას მოჰყვა რუსეთის უკიდურესი გაღიზიანება და ახალი სამხედრო-სტრატეგიულ-საოპერაციო „სამკუთხა“ ხაზის შექმნა: ცხინვალი (მე-4 ბაზა) - გიუმრის (102 ბაზა) სამხედრო გრავიტაციის ცენტრით.

2007 წლის თებერვალში მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე წარმოთქმული ვლადიმერ პუტინის სიტყვა, შეიძლება ჩავთვალოთ წყალგამყოფად რუსეთის ნატოსთან და ზოგადად დასავლეთთან მიმართებაში. იგი ფაქტობრივად გახდა რუსეთის გეოპოლიტიკური დოქტრინის, საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო წარმოდგენების შესახებ განაცხადი, რომელიც შეიცავდა ცივი ომის

შემდგომი საერთაშორისო წესრიგის, ზოგადად დასავლეთის, განსაკუთრებით შეერთებული შტატებისა და ნატოს მიმართ პირდაპირ, ძლიერ კრიტიკას. მისი გამოსვლის უმთავრეს გზავნილებს წარმოადგენდა:

1. **უნიპოლარობის კრიტიკა:** სამყაროს მოწყობის იდეა, სადაც დომინირებს ერთი ზესახელმწიფო მან არა მხოლოდ მიუღებლად, არამედ საშიშად გამოაცხადა. გააჟღერა მულტიპოლარული სამყაროს შექმნის იდეა, სადაც ძალაუფლება გადანაწილებული იქნება ძალაუფლების რამდენიმე ცენტრს შორის.
2. **აშშ-ის საგარეო პოლიტიკის კრიტიკა:** მან სწორედ შეერთებული შტატები თითქმის ყველა სფეროში რუსეთის ეროვნული საზღვრების გადალახვასა და სხვა ერების მიმართ თავისი პოლიტიკური წესრიგის დაწესებაში დაადანაშაულა; გააკრიტიკა ნატოს აღმოსავლეთის მიმართულებით გაფართოება და განიხილა ის როგორც პროვოკაციული აქტი, რომელიც უგულებელყოფდა რუსეთის ინტერესებსა და უსაფრთხოების საკითხებს; დაგმო ევროპაში ამერიკული სარაკეტო თავდაცვის სისტემების განთავსება.
3. **ევროპული უსაფრთხოება:** პუტინმა ევროპას ახალი უსაფრთხოების არქიტექტურის შექმნისკენ მოუწოდა, სადაც ყველა ქვეყნის ინტერესები იქნებოდა გათვალისწინებული. ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციას (ეუთო) დასავლური ინტერესების გატარებისა და პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების საშინაო საქმეებში ჩარევის იარაღი უწოდა.
4. **საერთაშორისო სამართალი და სუვერენიტეტი:** ხაზგასმით გამოთქვა ვარაუდი, რომ დასავლეთი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ხელშეწყობის საფარქვეშ, ხშირად არღვევს სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და საერთაშორისო სამართლის პატივისცემის მნიშვნელობის პრინციპებს.
5. **ეკონომიკური და ენერგეტიკული საკითხები:** გააკრიტიკა გლობალურ ენერგეტიკულ ბაზრებზე დასავლეთის დომინირებისა და რუსეთის, როგორც ენერგიის საიმედო მიმწოდებლის დიკრედიტაციის მცდელობები.

პუტინის ამ გამოსვლამ აღქმების დიდი ცვლილება წარმოშვა დასავლელ ლიდერებსა და ანალიტიკოსებში. გამოიკვეთა ცივი ომის შემდგომი წესრიგის მიმართ აშკარად მზარდი უკმაყოფილება რუსეთის მხრიდან. ამ კრიტიკამ ხელი შეუწყო დაძაბულობის გაზრდას რუსეთსა და დასავლურ ალიანსს შორის. წარმოიშვა სტრატეგიული მეტოქეობის ხაზი, რაც თავის მხრივ მაპროვოცირებელი

გახდა ნატოს და აშშ-ს სამხედრო პოზიციების შემდგომი გაფართოებისა აღმოსავლეთ ევროპაში. მოწოდებას მრავალპოლარული სამყაროს შესახებ რეზონანსი მოჰყვა სხვა ქვეყნების მხრიდანაც, რომლებიც აშშ-ს დომინანტური პოზიციით ასევე უკმაყოფილონი იყვნენ. რუსეთი პოზიციონირდა, როგორც დასავლეთის გავლენის საპირწონე აქტორი გლობალურ ასპარეზზე. გამოსვლა მოწონებულ იქნა რუსეთის შიდა დონეზეც. პუტინს შეექმნა და გაუმყარდა ძლიერი ლიდერის იმიჯი, რომელიც იცავს რუსეთის ინტერესებს დასავლეთის ხელყოფისგან.

სწორედ ამ ახალმა დაპირისპირების რეჟიმმა თავის მხრივ საშუალება მისცა საერთაშორისო ასპარეზზე ახალი მუსლიმური მოძრაობების განვითარებასა და გააქტიურებას, რაც ისლამური ფუნდამენტალიზმის ცნებისგან მომდინარეობდა. როგორც სხვა რელიგიების შემთხვევაში, ისლამური ისტორიის მანძილზე ჩამოყალიბდა მრავალი ფუნდამენტალისტური მოძრაობა, რომელთაგან ყველაზე ადრეულად შეიძლება მე-7 საუკუნის ხარიჯიტები ჩავთვალოთ. 21-ე საუკუნის მიჯნაზე ასეთ მოძრაობებად - ისლამური სახელმწიფო და თალიბანი - ჩამოყალიბდნენ. ისლამისტი ინტეგრისტების ძირითად იდეას თავიანთი იდეოლოგიის ისლამურ სამყაროს ფარგლებში გავრცელება და მისი მართვის კონსტიტუციური, სამართლებრივი, პოლიტიკური და გეოსტრატეგიული საფუძვლების შემუშავება წარმოადგენს. ის სალაფიტურ იდეებზე აღმოცენებულ გასამხედროებული ისლამისტური დაჯგუფებების კრებითი სახელწოდებაა, რომლებსაც გააჩნიათ კონკრეტული გეოპოლიტიკური მიზნები და ამოცანები. მათ საბოლოო მიზანს წარმოადგენს ძალისმიერი გზით, რელიგიური დოგმების, მისი შემადგენელი პოსტულატების აღდგენა/აღორძინება და ისლამური სახელმწიფოს შექმნა. ისლამური ინტეგრიზმის ფენომენის, როგორც პოლიტიკური ისლამის რეალიზაციის გეოპოლიტიკური პროექტის განხორციელებულ მაგალითად შეგვიძლია ავღანეთი ჩავთვალოთ.

ევროკავშირის და პოსტსაბჭოთა სივრცეში ისლამიზაციის საფრთხე მულტირელიგიურობიდან გამომდინარე მაღალია. მსგავსი რადიკალური იდეები მართალია კლასიკური ისლამის დოგმებთან შეუსაბამობაშია, თუმცა როგორც მუსლიმურ და ისე მათი ძლიერი დიასპორის მქონე ქვეყანათა მაცხოვრებლებში უნიპოლარული აგონიის ფონზე, საკმაოდ გაძლიერდნენ რადიკალურ-

ისლამისტური ჯგუფები. გაძლიერებულმა მიგრაციულმა ნაკადებმა ახალი ლოკაციების ათვისებას და გავლენის ქსელების კიდევ უფრო გაფართოვებას შეუწყეს ხელი. ევროპული მასშტაბით ტერორიზმის გავრცელების ტრანს-ეროვნული ფაქტორი წარმოიშვა, რომელმაც შეიძლება პოლიტიკური ძალადობის ახალი, ძლიერი ტალღები გამოიწვიოს. იმაზე უფრო დიდი, რომელიც დაფიქსირდა ევროკავშირში 2004-2007 წლებში. ჩამოყალიბდა სივრცითი და გეოპოლიტიკური გავლენა/მოქმედების პოტენციური მიმართულებები: ახლო აღმოსავლეთი - კავკასია - ევრო/ატლანტიკური სივრცე - სადაც შესაძლებელია აღმოცენდეს „ერთიანი ისლამური ხალიფატი“.[22]

[22] მაისაია ვ. გუჩუა ა. „ნატო და არასახელმწიფოებრივი აგრესიული რელიგიური ფაქტორები“, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, 2020, გვ. 69-70

## თავი 2. სამხ. ევრაზიის რეგიონული უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევები და მათი დაძლევის გზები

მიგრაცია და უსაფრთხოება ერთმანეთისგან დამოუკიდებელი, მაგრამ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული კომპლექსური დისციპლინებია. თუკი მიგრაციის შესწავლის ობიექტს დედამიწის მოსახლეობის ისტორიული, დემოგრაფიული, სტატისტიკური, სამართლებრივი, სოციოლოგიური და სხვა ტიპის მიზეზ-შედეგობრივი კავშირები და ასპექტები წარმოადგენენ, უსაფრთხოება, აერთიანებს ისეთ თემებს, როგორიცაა: სახელმწიფო, ეროვნული უსაფრთხოების საკითხები გლობალურ და რეგიონალურ დონეებზე; ქვეყნის საზღვრებისა და მისი მოსახლეობის უსაფრთხოება; საზოგადოების, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმისა და ცალკე აღებული ინდივიდის დაცვა. უსაფრთხოების სფეროს სპეციალისტები ყველა მოვლენას განიხილავენ ეგზისტენციურ ჭრილში და მათი საქმიანობა მომდინარეობს კითხვიდან: **რამდენად დგას სახელმწიფოს, საზოგადოებისა ან ინდივიდის, ეროვნული ინტერესების განხორციელებისა და შენარჩუნების საფრთხე?** მიგრაციული პროცესების ამ ჭრილში გაანალიზება ხშირად საკამათოც გამხდარა, თუმცა მე-20 საუკუნის მანძილზე იგი თანდათანობით იქცა უსაფრთხოების ანალიზის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროდ. მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში შრომითი ან იძულებითი მიგრაციული ნაკადების ზრდასთან ერთად, მიგრანტთა მიმღებ საზოგადოებებში გაძლიერდა **„უცხოს“** ან **„სხვების“** მიმართ შიში. ამ შიშს სხვადასხვა საზოგადოებასა და ეპოქაში თავისებური ფორმებით გამოვლინება და ხშირად ისტორიული გამოცდილების ან წარსული დაპირისპირებების მოგონებები ახლავს თან. ეთნოსებსა თუ ერსახელმწიფოებს შორის ასევე საკმაოდ ხშირია ურთიერთობების მითოლოგიზირებული და გაზვიადებული ქვეტექსტებიც. ისეთ იმიგრაციულ ქვეყანაშიც კი, როგორიც არის აშშ, უცხო რასისა და კულტურის მიგრანტთა შემოდინებამ XIX საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში მწვავე უკურეაქცია გამოიწვია.

მიგრაციის ისტორიის სიძველის მიუხედავად მისი თეორიების შემუშავება მეცნიერებმა და მკვლევრებმა საკმაოდ გვიან დაიწყეს. 1885 წლის რავენშტაინის **„მიგრაციის კანონები“** ისევე როგორც XX საუკუნის შუახანებამდე არსებული სხვა

თეორიები – მიგრაციას მხოლოდ ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით მაკრო დონეზე განიხილავდნენ/ხსნიდნენ. სამეცნიერო და აკადემიურ დონეზე მიგრაციასთან დაკავშირებული ინდივიდუალური მოტივაციის გაანალიზება მხოლოდ გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში მოხდა. შედგა მიკრო და მაკრო მიდგომების მიგრაციის თეორიებთან დაკავშირება.[23] ინტერდისციპლინური ბუნებიდან გამომდინარე, მიგრაციის თეორიებს ხშირად უკავშირებენ ერთმანეთს და ერთიანობაში განიხილავენ.

- *რაციონალური არჩევანის თეორიები*

*1. მიგრაციის მამოძრავებელი (იძულებითი-მიმზიდველი) ფაქტორების მოდელები:* თეორია, რომელიც ხსნის მიგრაციას, როგორც ორი ურთიერთდაკავშირებული ფაქტორის მოქმედების შედეგს:

*ა) წარმოშობის ქვეყანაში დესტრუქციული ფაქტორების არსებობა, რაც კონკრეტული ინდივიდის ცხოვრებას მძიმესა და არასასიამოვნოს ხდის (იძულებითი ფაქტორები: სიღარიბე, უმუშევრობა, დაბალი სოციალური სტატუსი, დაუცველობა და ა.შ.)*

*ბ) მიგრაციის ქვეყანაში არსებული სასურველი ფაქტორები, რომლებსაც ინდივიდი თავისი კეთილდღეობისთვის პოზიტიურად მიიჩნევს (მიმზიდველი ფაქტორები: უკეთესი სამსახურის პერსპექტივა, განათლების სისტემა, პოლიტიკური თავისუფლება და ა.შ.)*

ამ ორ სფეროს შორის თავს იჩენს „შუალედური დაბრკოლებები“ (მოგზაურობის ხარჯები, ოჯახი სამშობლოში, დანიშნულების ქვეყანაში გაურკვეველი მომავალი და ა.შ.).[24]

*2. მიგრაციის ნეოკლასიკური თეორია:* ამტკიცებს, რომ ადამიანების მიგრაცია ხდება დაბალი ანაზღაურების ქვეყნებიდან მაღალი ანაზღაურების ქვეყნებში, ხარჯებისა და დასაქმების პერსპექტივების გათვალისწინებით, შესაბამისად მიგრაციის ძირითად გამომწვევ მიზეზად ეკონომიკური ფაქტორებია მიჩნეული. თეორიის მიკროეკონომიკური ვარიანტები (მაგ: „მიგრაციის ადამიანური

---

[23] Hagen-Zanke J. "Why Do People Migrate? A Review of the Theoretical Literature", SSRN Electronic Journal, 2008, pg. 4-5 - https://core.ac.uk/download/pdf/6726677.pdf [ბოლო ნახვა 28.06.2024]
[24] Lee E.S. “A Theory of Migration, Demography”, Vol. 3(1), 1966, pg. 47–57 - https://emigratecaportuguesa.wordpress.com/wp-content/uploads/2015/04/1966-a-theory-of-migration.pdf [ბოლო ნახვა 28.06.2024]

კაპიტალის თეორია“) განიხილავენ მიგრანტებს, როგორც რაციონალურ აქტორებს, რომლებიც იღებენ განსაზღვრულად მოქმედების გადაწყვეტილებას იმ ქვეყანაში მიგრაციასთან დაკავშირებით, რომელშიც ისინი ყველაზე პროდუქტიულნი იქნებიან მათი უნარ-ჩვევებიდან გამომდინარე.[25]

- *სოციალური ქსელები, ინსტიტუციონალური და ტრანსნაციონალური თეორიები*

*1. მიგრანტთა სოციალური ქსელები:* განიხილავს მიგრაციის პროცესს, როგორც ჯაჭვურ რეაქციას, რომელსაც „გამრავლების ეფექტი“ ახლავს თან და დაკავშირებულ ადამიანებს თავისებურად აიძულებს მიგრაციაში წასვლას.[26] მსგავსი ტიპის ქსელები თანამედროვე მიგრაციის არსის ასახსნელად ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევა.

*2. მიგრაციის ინსტიტუციონალური თეორია:* ყურადღების კონცენტრირებას ახდენს მიგრაციის პროცესის მიმდინარეობაზე და არა მის გამომწვევ მიზეზებზე. შეისწავლის კერძო ინსტიტუტების (სატრანსპორტო კომპანიები, ჰუმანიტარული ორგანიზაციები, კონტრაბანდისტები და ა.შ.) მომსახურების როლს მიგრანტების დანიშნულების ქვეყანაში ჩასვლამდე. ამ პროცესის შესწავლა ნაკარნახევია იმ დისბალანსით, რომელიც არსებობს იმ ადამიანების დიდ რაოდენობას, რომელთაც სურთ მდიდარ ქვეყნებში მიგრაცია და მიგრაციის მცირე შესაძლებლობებს შორის, რომლებსაც სხვადასხვა ქვეყნები სთავაზობენ მათ.[27]

*3. ტრანსნაციონალიზმის თეორიული კონცეფცია:* საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემების განვითარებამ, რომლის შედეგადაც შემცირდა სატრანსპორტო ხარჯები, დაჩქარდა ფულადი და ინფორმაციული გზავნილების გაცვლა „გამოიწვია ისეთი ტიპის მიგრანტთა რიცხვის ზრდა, რომელიც სოციალურად, კულტურულად და ფიზიკურად რამდენიმე ადგილს უკავშირდება. იგი ხშირად ხასიათდება

---

[25] Harris J. R. Todaro M, P. „Migration, unemployment and development: a two sector model, American Economic Review“, #60, 1970, pg. 126-142 - https://www.aeaweb.org/aer/top20/60.1.126-142.pdf [ბოლო ნახვა 28.06.2024]

[26] Arango J. "Theories of International Migration", International in the new millennium, global Movement and Settlement, 2004, pg. 15-35

[27] Massey D.S. "Why Does Immigration Occur? A Theoretical Synthesis", The Handbook of International Migration: The American Experience, Russell Sage Foundation, New York, 1999, pg 44.

წარმოშობის ქვეყნისა და ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილს შორის მაღალი მობილურობით.[28]

- ***შრომითი მიგრაციის ახალი ეკონომიკა*** - მთავარ აქცენტს აკეთებს საერთაშორისო მიგრაციის გამგზავნ მხარეზე და მიგრანტების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. თეორიამ მიგრაციის მოტივაციის ახალი უფრო მართებული ფაქტორები გამოავლინა, რომლებიც არ არის დამოკიდებული არსებულ სხვაობებზე შემოსავლებს, ხელფასებს და უმუშევრობის დონეებს შორის. მიგრაციის გადაწყვეტილება, ნეოკლასიკური კონცეფციის მსგავსად ეფუძნება „რაციონალურ არჩევანს“. ეფუძნება, მთავარ გადაწყვეტილების მიმღებ ერთეულად შემოდის არა ინდივიდი, არამედ - ოჯახი.[29]
- ***ორმაგი შრომითი ბაზრის თეორია*** - უპირისპირდება გავრცელებულ მოსაზრებებს, რომ იმიგრანტები მდიდარ ქვეყნებში მიდიან საკუთარი სურვილის გამო. მას აქცენტი გადააქვს მიგრაციის მიმღებ მხარეზე და აცხადებს, რომ ძირითადად იმიგრანტები გადაადგილდებიან იმის გამო, რომ მიმღებ ქვეყანაში უფრო მეტად საჭირონი არიან.[30]
- ***კუმულაციური განპიროგების თეორია*** - ერთის მაგალითს სხვები მიჰყვებიან, რამაც შეიძლება იქონიოს კუმულაციური ეფექტი და გამოიწვიოს სხვადასხვა რეგიონებში ადამიანური კაპიტალის ამოწურვა. კონცეფციის ანალიზის დონე ფოკუსირებულია: 1. როგორ ინარჩუნებს მიგრაცია საკუთარ თავს; 2. როგორ ხდება მიგრაციის სულ უფრო მეტად გავრცელება. მიგრაცია ამ გავლენით ყალიბდება, როგორც ფართოდ გავრცელებულ სოციალურ პრაქტიკა და უფრო ხელმისაწვდომი ხდება მოსახლეობის სხვადასხვა ფენისთვის.[31]

---

[28] Nyiri P. "The New Immigrant: State and Market Constructions of Modernity and Patriotism", 2004

[29] Stark O. Taylor J.E. „Migration Incentives, Migration Types: The Role of Relative Deprivation“, The Economic Journal, Blackwell Publishing for the Royal Economic Society, Vol. 101, #408, 1991, pg. 1163-1178 - https://newdoc.nccu.edu.tw/teasyllabus/1102265813001/6_TheRoleOfRelativeDeprivationInMigration.pdf [ბოლო ნახვა 28.06.2024]

[30] Piore M. J. "Birds of Passage: Migrant Labor and Industrial Societies", Cambridge University Press, New York, 1979 - https://beckassets.blob.core.windows.net/product/readingsample/464593/9780521280587_excerpt_001.pdf [ბოლო ნახვა 28.06.2024]

[31] Massey D.S. "Why Does Immigration Occur? A Theoretical Synthesis", The Handbook of International Migration: The American Experience, Russell Sage Foundation, New York, 1999, pg 46-47

- *მიგრაციის თეორიის ახალი მიმართულებები* - გლობალიზაციის საუკუნეში ეროვნული სახელმწიფოს ძალაუფლების პოზიცია ნაწილობრივ შესუსტდა. საზღვრები „ფოროვანი“, ადამიანები კი – უფრო მობილურები გახდნენ. ამ მოცემულობამ მიგრაციის თეორიებში ახალი მიმართულებები განავითარა რომლებიც თანამედროვე გვეხმარებიან მიგრაციის პროცესის გაგებაში.

*1. გლობალური მიგრაციის სისტემები* - ტერმინი „მიგრაციის სისტემები“ საერთაშორისო მიგრაციის კვლევებში გულისხმობს - მოძრაობის სისტემებსა და ქსელებში მიგრაციული გადაადგილებების კომპლექსურ ხასიათს, მიგრანტთა ნაკადების გამგზავნ და მიმღებ ქვეყნებს შორის მიგრაციის სისტემის ფორმირებას. მსგავს სისტემებს ახასიათებს საქონლის, კაპიტალისა და ადამიანების ინტენსიური ურთიერთგაცვლა, გააჩნიათ ძირითადი მიმღები რეგიონი, რომელიც შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე ქვეყნის იმიგრანტთა დიდი ნაკადების გამაერთიანებელი. ისინი შეიძლება განვითარდნენ, განიცადონ ცვლილებები მიგრაციის პროცესის დინამიურობისა და გარე ძალების ჩართულობის შესაბამისად. იზრდება მათში საერთაშორისო ეკონომიკური და პოლიტიკური გაერთიანებების როლი, რომლებიც თავისმხრივაც განიცდიან ტრანსფორმაციას.[32]

*2. პოსტმოდერნისტული ნომადიზმი (ბერძ. Nomas - მომთაბარე)* – XXI საუკუნის დასაწყისიდან მოყოლობეული ჩატარებულმა ემპირიულმა კვლევებმა საერთაშორისო მიგრაციის შესახებ აჩვენა, რომ ბევრ შემთხვევაში რთულია მიგრანტების წარმოდგენა მიგრაციის სისტემების, ქსელების, ან ეროვნული შრომითი ბაზრების აქამდე ნაცნობ კონტექსტში. მათი აღქმა უნდა მოხდეს იმ ეკონომიკური საქმიანობისა და სოციალური ქსელების პირობებში, რომლებიც რამდენიმე ქვეყანაზე ვრცელდება. ის გამოდის მუშახელის ძალზე მოქნილი და მობილური საერთაშორისო გადაადგილების ინიციატივით, რომლის წახალისება ხშირად მთავრობების მიერ უნდა იყოს განხორციელებული (მაგალითად როგორც დღეს ხდება გლობალური ელიტის, დიპლომატების, პოლიტიკოსების, მხატვრების, მეცნიერების და ა.შ. შემთხვევაში).[33]

---

[32] Zlotnik H. “Emperical identification of International Migration Systems", International Migration: A Global Approach, Clarendon Press, 1992

[33] Braidotti R. „Nomadic Subjects“, NewYork, Columbia University Press, 1994.

## 2.1. არალეგალური მიგრაციით გამოწვეული საფრთხეების ანალიზი რეგიონული უსაფრთხოების კონტექსტში

2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტულმა თავდასხმებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს მიგრაციის, როგორც უსაფრთხოების კონცეფციის უმნიშვნელოვანეს კომპონენტად ჩამოყალიბების საქმეში და მისი კონტროლი იმიგრაციული ქვეყნების ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის განუყოფელი ნაწილი გახდა. მიგრაციის საკითხები დაუკავშირდა მიმღები საზოგადოების არა მხოლოდ სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ, არამედ ფიზიკურ უსაფრთხოებასაც. ტერორისტულ შეტევებს შიდა უსაფრთხოების მართვის სრული რეორგანიზება და მიგრაციის მართვის სახელმწიფო უშიშროების დონეზე აყვანა მოჰყვა აშშ-ში: გაძლიერდა სახელმწიფო საზღვრის დაცვა, დაიხვეწა მონაცემთა შეგროვების ტექნიკები, გაფართოვდა სახელმწიფოს უფლებამოსილება იმიგრანტთა დაკავებისა და დეპორტირების ძალაუფლების მხრივ.[34] მოვლენების ასეთმა განვითარებამ განაპირობა უცხოელთა ე.წ. „სეკურიტიზაცია" (შეზღუდვების მომხრეთა რეაქცია), რაც გულისხმობს მიგრაციის პროცესის საფრთხედ აღქმას მიმღები ქვეყნის უსაფრთხოების, საჯარო წესრიგის, კულტურული იდენტობის, შრომის ბაზრის, ქვეყნის სტაბილურობისა და კეთილდღეობისთვის. კრიზისულ სიტუაციაში ასეთმა რადიკალურმა საიმიგრაციო პოლიტიკამ უარყოფითი გავლენა იქონია მიმღები საზოგადოებების კეთილგანწყობასა და რიგითი მიგრანტების ყოველდღიურ ცხოვრებაზე. სსრკ-ის დაშლამ სამხრეთ ევრაზიის რეგიონში ძალადობრივი ეთნიკური დაპირისპირებების, სახელმწიფო გადატრიალების და ომების ხანგრძლივი სერია გამოიწვია:

1. **მთიანი ყარაბაღის ომები** - ხანგრძლივი ტერიტორიული დავა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მთიანი ყარაბაღის რეგიონის გამო. 1. პირველი ომი (1988-1994) - საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კონფლიქტი გადაიზარდა სრულმასშტაბიან ომში, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი მსხვერპლი და მოსახლეობის გადაადგილება; 2. განახლებული ომი (2020) - მნიშვნელოვანი სამხედრო და სამოქალაქო მსხვერპლით, რომლითაც აზერბაიჯანმა დაიბრუნა კონტროლი მთიანი ყარაბაღისა და მიმდებარე ტერიტორიების ნაწილზე.

---

[34] Rosenblum M.S. „US Immigration Policy Since 9/11: Understanding the Stalemate over Comprehensive Immigration Reform", Migration Policy Institute, 2011

2. **აფხაზეთის კონფლიქტი (1992-1993)** - კონფლიქტის ისტორია მოიცავს აფხაზეთის რეგიონის საქართველოსგან დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის ბრძოლას. აფხაზმა სეპარატისტებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს 1990-იანი წლების დასაწყისში, რასაც მოჰყვა ძალადობრივი კონფლიქტი, მსხვერპლი, ეთნიკური წმენდა, დევნილები ეთნიკური ქართველების სახით.
3. **ე.წ. სამხრეთ ოსეთი (1992-1993, 2008)** - კონფლიქტი უფრო ფართო ქართულ-ოსური კონფლიქტის ნაწილია, რასაც წყვეტილი შეტაკებები მოჰყვა. 2008 წლის აგვისტოში დაძაბულობა გადაიზარდა ხუთდღიან ომში საქართველოსა და რუსეთს შორის. კონფლიქტს მნიშვნელოვანი მსხვერპლი და იძულებით გადაადგილება მოჰყვა. ომის შემდეგ რუსეთმა სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა, თუმცა საერთაშორისო თანამეგობრობის უმეტესობა მათ საქართველოს ნაწილად აღიარებს.
4. **ჩრდილოეთ კავკასიის აჯანყებები** - ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონმა რუსეთის შემადგენლობაში იყო ისლამისტური ამბოხებებითა და ეთნიკური დაძაბულობით მნიშვნელოვანი დაპირპირებები წარმოშვა. 1. პირველი ჩეჩნეთის ომი (1994-1996): ჩეჩენ აჯანყებულებსა და რუს ძალებს შორის სეპარატისტულმა კონფლიქტმა დიდი მსხვერპლი და ნგრევა გამოიწვია; 2. მეორე ჩეჩნეთის ომი (1999-2009): განახლებულმა ბრძოლებმა გამოიწვია გახანგრძლივებული დაპირისპირებები, რუსულმა ძალებმა საბოლოოდ განამტკიცეს კონტროლი ჩეჩნეთზე. კონფლიქტმა გამოიწვია ფართო აჯანყება ჩრდილოეთ კავკასიაში, მათ შორის დაღესტანსა და ინგუშეთში.

რაც შეეხება ცენტრალურ აზიას მოსახლეობის მიგრაციაზე უდიდესი გავლენა მოახდინა მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ, მზარდმა და ძირითადად ახალგაზრდა მოსახლეობის არასრულფასოვანი დასაქმების პრობლემამ, ავღანეთის ფაქტორმა, შიდა რეგიონული კონფლიქტებმა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რეგიონმა განიცადა სხვადასხვა ისტორიული მემკვიდრეობის, ეთნიკური და ტერიტორიული დავების, რესურსების კონკურენციისა და პოლიტიკური არასტაბილურობის კომბინაციით გამოწვეული დაპირისპირებები:

1. **ტაჯიკეთის სამოქალაქო ომი (1992-1997)** - ომში ჩაერთო სხვადასხვა ფრაქცია, მათ შორის მთავრობა, ისლამისტური ჯგუფები და რეგიონალური მეთაურები;

2. **ეთნიკური შეტაკებები ყირგიზეთში** - რომელიც შეიცავდა ეთნიკური ძალადობის რამდენიმე ეპიზოდს, განსაკუთრებით ყირგიზსა და უზბეკეთ თემებს შორის: *1. ეთნიკური შეტაკებები ქალაქ ოშში (1990) 2. სამხრეთ ყირგიზეთის შეტაკებები (2010).*
3. **სასაზღვრო დავები** - საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობა, რომელიც ცუდად მარკირებული საზღვრებიდან მომდინარეობს. 1. ყირგიზეთ-ტაჯიკეთის სასაზღვრო კონფლიქტები: განსაკუთრებით ფერგანას ველის რეგიონში; 2. უზბეკეთ-ყირგიზეთი და უზბეკეთ-ტაჯიკეთის დავა.
4. **ისლამისტური შეიარაღებული ძალები და ტერორიზმი** - ისლამური მოძრაობა (IMU) და ISIS-ის ფილიალები. ჯგუფები ახორციელებდნენ თავდასხმებს და ცდილობდნენ რეგიონის დესტაბილიზაციას.

ამას შეგვიძლია დავამატოთ რესურსებთან, განსაკუთრებით წყლის მარაგების წვდომასთან დაკავშირებული კონფლიქტები, რაც მდინარეებისა და წყლის ინფრასტრუქტურის განაწილებამ წარმოშვა.

ეთნიკური თუ რელიგიური შედგენილობის ან თვისებების სპეციფიკის მიხედვით რაც უფრო განსხვავებული და გაყოფილია საზოგადოება მით მეტად ხდება მიგრაციის საფრთხედ აღქმა ეროვნული იდენტობის კუთხით, მაგრამ მიუხედავად ამისა გადამწვეტი მნიშვნელობა სახელმწიფოს მოწყობის სტილსა და მართვაზეა დამოკიდებული. შესაბამისად უნდა გამოვყოთ 3 ტიპის სახელმწიფოები:

1. **იმიგრაციული სახელმწიფოები** - ქვეყნები, რომლებიც იზიდავენ ემიგრანტების დიდ რაოდენობას ეკონომიკური შესაძლებლობების, პოლიტიკური სტაბილურობს, ცხოვრების ხარისხისა და საგანმანათლებლო შესაძლებლობების გამო. ასეთი ტიპის ქვეყნები ხასიათდებიან ძლიერი ეკონომიკით, ცხოვრების მაღალი სტანდარტებით, სტაბილური პოლიტიკური გარემოსა და ძლიერი სამართლებრივი სისტემებით. თუმცა მათი ინდუსტრიული განვითარება და სტაბილურობა, ამავდროულად სწორედ იმიგრირებულ ადამიანებზეა დამოკიდებული. მსგავსი ფორმატი მხოლოდ ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების პირობებში არის განხორციელებადი, რომელიც ეთნიკურ-რელიგიური თუ კულტურული კუთვნილებაზე უფრო მაღალ, სამოქალაქო იდენტობის სტანდარტებსა და მკაცრი ინტეგრაციის პირობებზეა

დაფუძნებული. ასეთი ტიპის ქვეყნებია: აშშ, კანადა, ავსტრალია, გაერთიანებული სამეფო და ა.შ.

2. **ემიგრაციული სახელმწიფოები** - განიცდიან ემიგრაციის მაღალ დონეს ისეთი ფაქტორების გამო, როგორიცაა ეკონომიკური გამოწვევები, პოლიტიკური არასტაბილურობა, კონფლიქტები ან შესაძლებლობების ნაკლებობა. აქედან გამომდინარე უმუშევრობის მაღალი დონე, კორუფცია, დევნა. ასეთი ტიპის ქვეყნებია: მექსიკა, სირია, ფილიპინები, ინდოეთი და ა.შ. თუმცა შესაძლებლობების გამოვლენის ფარგლებში, ისინი ინტელექტის შრომისუნარიანობის და განვითარების კოეფიციენტით არ ჩამორჩებიან იმიგრაციული სახელმწიფოების მკვიდრ მოქალაქეებს. განგრძობით დროში ისინი ხდებიან იმ საზოგადოების ნაწილი.
3. **ორმაგი როლის მქონე სახელმწიფოები** - ზოგიერთი ქვეყანა განიცდის როგორც იმიგრაციის, ასევე ემიგრაციის მნიშვნელოვან დონეს, რაც ასახავს ბიძგისა და მიზიდულობის ფაქტორების დინამიურ ურთიერთკავშირს. მაგ: თურქეთი მოქმედებს როგორც წარმოშობის და დანიშნულების ქვეყანა. იგი ფლობს განსაკუთრებით დიდ დიასპორას ევროპაში, და ასევე მასპინძლობს ლტოლვილთა მნიშვნელოვან რაოდენობას ძირითადად სირიიდან (ასევე პოლონეთი, ბრაზილია და ა.შ.).

რა თქმა უნდა მსოფლიო ისტორიას ახსოვს მაგალითები, როდესაც მიგრანტები ერთგვარი „მეხუთე კოლონის" როლში მოგვევლინენ, (მაგ: ერაყის მიერ ქუვეითის ოკუპაციისას პალესტინელი მიგრანტები, რომელთაც მნიშვნელოვანი თანამდებობები ეკავათ ქუვეითის ადმინისტრაციაში, ერაყელ ოკუპანტებს დაუჭირეს მხარი), მაგრამ ასეთი ფაქტები პრაქტიკაში იშვიათობაა.[35]

ნებისმიერ შემთხვევაში, მიგრანტები მიმღები ქვეყნებისთვის და მისი სოციალური დაცვის სისტემისათვის დამატებით ტვირთს წარმოადგენენ. ისინი იკავებენ შრომისა და უძრავი ქონების ბაზარს, იღებენ ადგილობრივი მოსახლეობითვის გამოყოფილ სერვისებს და ბენეფიტებს, აფერხებენ კეთილდღეობისა და ჰუმანიტარული დაცვის ინსტიტუციების გამართულ

---

[35] Tyler P.E. "Kuwaitis Scale Back Resistance Effort", The Washington Post, 1990, https://www.washingtonpost.com/archive/politics/1990/10/05/kuwaitis-scale-back-resistance-effort/5f04b295-cb4b-455f-88ef-783191343cea/ [ბოლო ნახვა 28.06.2024]

მუშაობას, რაც საბოლოო ჯამში ზრდის შიდა სახელმწიფოებრივი დაპირისპირების რისკს. აქედან გამომდინარე ხშირია ანტიმიგრაციულ იდეებზე დაფუძნებული რადიკალურ/პოპულისტური პოლიტიკური პარტიების გაჩენაც, რომელთა აქტივობებს მათ შორის ევროპაშიც ვხვდებით. მსგავსი პოლიტიკური იდეების პოპულარობა გამოწვეულია არა მიგრაციით ან მიგრანტებით, არამედ მიგრაციის „სეკურიტიზაციის" პროცესით, რაც გულისხმობს იმას, რომ ეს უარყოფითი აღქმა მიგრაციისა პოლიტიკური პარტიების მიერ აძლიერებს მის დაკავშირებას ქვეყნისა და საზოგადოების უსაფრთხოებასთან (კრიმინალი, არასტაბილურობა, ტრანსნაციონალური დანაშაული, ტერორიზმი და ა.შ.).[36] თუმცა ევროპაში წარმოდგენილია ქვეყნები, სადაც ლტოლვილთა დიდი ნაკადის მიღებას არ გამოუწვევია შიდა არასტაბილურობა ან მსგავსი საფრთხე (მაგ: უნგრეთი, ჩეხეთი - ლტოლვილები გერმანიისა და ავსტრიის მიმართულებით). აქვე აუცილებელია აღინიშნოს დიასპორების როლი მიგრაციისა და ეროვნული უსაფრთხოების კონტექსტში - ძლიერი საგარეო დიასპორა გავლენას ახდენს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე წარმოშობის სახელმწიფოს შიგნით მიმდინარე პროცესებზე.

საშიშ ფაქტორს წარმოშობის ქვეყანაში არსებული კონფლიქტის შედეგად, მოსაზღვრე სახელმწიფოში ლტოლვილთა გადასვლა წარმოადგენს, რაც მიმღებ ქვეყანაშიც მისი გავრცელების საფრთხეს შეიცავს. ამ აღქმების და მიდგომების ევოლუცია, ისევე როგორც ზოგადად მიგრაციული პროცესების სწორი მართვა ეროვნული უსაფრთხოების დონეზე, ძირითად შემთხვევაში მაინც სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ მართებულ საიმიგრაციო პოლიტიკაზეა დამოკიდებული. მსგავსი ტიპის კონფლიქტების სხვა სახელმწიფოში „გადაღვრა", ძირითადად ისეთი ქვეყნებისთვის არის დამახასიათებელი, რომლებიც არ გამოირჩევიან შიდა სტაბილურობით, სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების გამართული მუშაობით, სადაც შეინიშნება კორუფციის საშუალოზე მაღალი დონე და სუსტად არის განვითარებული კანონშემოქმედი თუ აღსრულებითი სამსახურები. ამ კომპონენტების გარეშე, განსაკუთრებით კრიზისულ სიტუაციაში კოორდინირებული მართვის განხორციელება ფაქტიურად შეუძლებელია.

---

[36] Huysmans J. „The European Union and Securitization of Migration", Journal of Common Market Studies, Vol 60, #2, pg. 361

მიგრაციისა და უსაფრთხოების საკმაოდ სენსიტიური კავშირიდან გამომდინარე, აუცილებლად უნდა მოხდეს მიგრაციის შესაძლო რეალური და მითიური (გამოგონილი) საფრთხეების მკაფიოდ გამიჯვნა. წინააღმდეგ შემთხვევაში შექმნილი მოცემულობა შესაძლოა ქსენოფობიისა და რასიზმის გავრცელება/წახალისებაში გადაიზარდოს. რადგან ნებისმიერი ტიპის საერთაშორისო მიგრაცია წარმოადგენს, მინიმუმ ორი სახელმწიფოს საზღვრის გადაკვეთას, ამიტომ მიგრაციისა და ეროვნული თუ რეგიონალური უსაფრთხოების სფეროთა შემაკავშირებელ საკვანძო რგოლად კვლავ სახელმწიფო საზღვრები და მათი დაცვა რჩება.

გორბაჩოვის პერესტროიკამ, სხვა ფაქტორებთან ერთად, გავლენა მოახდინა საბჭოთა მოქალაქეების მობილობასა და კავკასიის საზღვრის გამტარიანობის გაზრდაზე. 1988 წელს საბჭოთა მოქალაქეებს საზღვრის გადაკვეთის საშუალება პირველად მიეცათ მიღებული ვიზის მეშვეობით. თავდაპირველად მათ წარმოადგენდა ქართული მოსახლეობა, ძირითადად საზღვარზე მცხოვრები ეთნიკური ლაზები, რომლებმაც ისარგებლეთ ამ შესაძლებლობით და განაახლეს ურთიერთობა მათ ეთნიკური ნათესავებთან.[37] შემდგომში ამ ფენომენმა მასობრივი მასშტაბი მიიღო და 1990 წელს 200000 ყოფილი საბჭოთა მოქალაქე ჩავიდა თურქეთში. სსრკ-ში მიუწვდომელი საქონლის შეძენამ, შემდეგ კი საბჭოთა პროდუქციის გაყიდვამ ჯერ სასაზღვრო რეგიონში, შემდეგ კი მთლიანად თურქეთში არაფორმალური ბაზრების ქსელი „Rus Pazar“ და სატრანსპორტო ვაჭრობის დიდი ქსელი შექმნა.

კონფლიქტებმა, რომლებსაც ზემოთ შევეხეთ, გამოიწვიეს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დიდი ნაკადის წარმოქმნა მთელ კავკასიაში. პირველ ჯერზე 800000-დან 1000000-მდე ეთნიკური აზერბაიჯანელი გაიქცა აზერბაიჯანში სომხური არმიის მიერ ოკუპირებული მთიანი ყარაბაღისა და აზერბაიჯანის რეგიონებიდან, დაახლოებით 360000 ეთნიკურმა სომეხმა კი აზერბაიჯანიდან სომხეთს შეაფარა თავი; 2009 წელს აფხაზეთიდან და ე.წ. სამხრ. ოსეთიდან თითქმის 260000 დევნილი იმყოფებოდა საქართველოს ტერიტორიაზე; 350 000-ზე მეტმა ლტოლვილმა დატოვა ჩეჩნეთი 1994-2001 წლებში და ძირითადად

[37] Erder S. “Düzensiz Göç, Göçmen Korkusu ve Çelişen Tepkiler”, in Türkiye’ye Uluslararası Göç, Pusch, B-Wilkoszewski, T (Eds), Istanbul: KitapYayınevi, 2010

დასახლდნენ ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რესპუბლიკებში; 2020 წელს 1000000-ზე მეტმა ეთნიკურმა სომეხმა დატოვა ყარაბაღის ტერიტორია და სომხეთში გადავიდა. რეგიონში საზღვრების საკითხი დაძაბულობის ხშირი წყარო გახდა, რომელიც ჯერ კიდევ ღრმად მოქმედებს მათ შორის რეგიონის მოსახლეობის მიგრაციაზე.

2021 წლიდან თალიბანის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ შექმნილი ვითარება გავლენას ახდენს ცენტ. აზიის რეგიონულ უსაფრთხოებაზე. ცენტ. აზიის ხუთივე ქვეყანა როგორც წესი, უარს ამბობდა ავღანეთიდან ლტოლვილების მიღებაზე, მაგრამ ავღანელების გარკვეული რაოდენობა მაინც აწყდებოდა ტაჯიკეთის, უზბეკეთის და თურქმენეთის საზღვრებს. 2022 წელს სამმა ქვეყანამ საზღვრები გახსნა, მაგრამ მხოლოდ ავღანეთის პასპორტისა და ვიზის მფლობელებისთვის. შედეგად, თურქმენეთსა და უზბეკეთს არ დაუფიქსირებიათ ახალი ავღანეთიდან შემოსული ლტოლვილები 2022 წელს. თუმცა, დაახლოებით 7000 ავღანელი ლტოლვილი და თავშესაფრის მაძიებელი დღემდე რჩება ტაჯიკეთში, რომელთაგან 2021 წელს ჩამოსულთა რიცხვი - 5710-ია.

რეგიონისთვის კიდევ ერთი გამოწვევა არის ყირგიზეთსა და ტაჯიკეთს შორის დაწყებული განმეორებითი საბრძოლო მოქმედებები. 2022 წლის სექტემბერში ძალადობრივი აფეთქების შედეგად ორივე მხრიდან დაახლოებით 100 ადამიანი დაიღუპა და 140000-ზე მეტი ყირგიზს სასაზღვრო ზოლთან არსებული ბატკენის ტერიტორიის დატოვება მოუწია. ცუდად დემარკირებული საზღვრები ფერგანას ველზე, სადაც იკვეთება ყირგიზეთი, ტაჯიკეთი და უზბეკეთი, განმეორებითი დაპირისპირების მიზეზია, გარდა წყლისა და მიწის რესურსებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობისა.

2022 წელს რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად მიღებულმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა სირთულეებმა რუსი მიგრანტების უდიდესი ნაკადი წარმოშვა. სამხედრო მობილიზაციისგან გაქცეული რუსებისთვის ყაზახეთი ერთ-ერთი მთავარი თავშესაფარი გახდა. ყაზახეთის შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაცემებით, 2022 წლის ბოლოსთვის რუსეთის მოქალაქეების საერთო რაოდენობამ ქვეყანაში 298000-ს მიაღწია. პრემიერ-მინისტრმა მასპინძლობითვის შესახებ მზაობა გამოაცხადა დაახლოებით 250 საერთაშორისო კომპანიისთვის, რომლებმაც შეწყვიტეს თავიანთი საქმიანობა რუსეთში. ბიზნესის გადატანის იგივე ტენდენცია შეინიშნება ყირგიზეთში. ქვეყანაში რუსეთიდან და

ბელორუსიდან გადმოსული 50-ზე მეტი კომპანია დარეგისტრირდა. უზბეკეთშიც და ტაჯიკეთშიც ანალოგიურად ფიქსირდება რუსების შემოდინება, რომლებიც სამხედრო სამსახურს გამოექცნენ, რასაც ირიბად რუსეთიდან უზბეკეთში ომამდელ პერიოდში არსებული ფულადი გზავნილების 54.1%-დან 2022 წელს 80.0%-მდე ზრდა ადასტურებს.

ომის მიუხედავად, რუსეთში 2022 წელთან შედარებით 2023 წელს უზბეკეთიდან (37%), ტაჯიკეთიდან (21%) და ყირგიზეთიდან (27%) იმიგრირებულ პირთა რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა. ამავდროულად, უზბეკეთისა და ტაჯიკეთის მოქალაქეებზე გაცემული მოქმედი სამუშაო ნებართვების რაოდენობა (ყირგიზეთის მოქალაქეები ექვემდებარება განსხვავებულ პროცედურას, რადგან ყირგიზეთი ევრაზიის ეკონომიკური კავშირის წევრია) გაიზარდა ზღვრული 3%-ით, რაც არ აღემატება 2021 წელს დაფიქსირებულ 2,1 მილიონ ნიშნულს. ეს მოვლენა შეიძლება ცენტრალური აზიის შრომითი მიგრანტების მხრიდან რუსეთში სამუშაო შესაძლებლობების ძიებისგან გარკვეულ თავშეკავებაზე მიუთითებს, რაც დასტურდება რუსეთის შრომის ბაზარზე მათი მწვავე დეფიციტით.[38]

როგორც, მიმოხილვიდან დავინახეთ მიგრაციული ნაკადების გადაადგილების პოტენციური მიმართულებები მუდმივად იცვლება და რეაგირებს თითოეულ იმ გეოპოლიტიკურ მოვლენაზე რაც ხდება რეგიონალურ თუ გლობალურ დონეზე. თუ ამ მოცემულობას სამხ. ევრაზიის უსაფრთხოების კონტექსტში გადმოვაკონვერტირებთ და დავუმატებთ გავლენის აქტორების დომინაციისთვის ბრძოლის ფაქტორს რეგიონში, მივიღებთ გეოპოლიტიკური მიზნებისა და ამოცანების ფართო სქემას, რომელთა ხორცშესხმაში ლეგალურ/არალეგალურ ჰუმანიტარულ (მიგრაციულ) ექსპანსიას, ეკონომიკურ ზეწოლასთან ერთად უმნიშვნელოვანესი კომპონენტური პოზიცია უკავია.

სამხ. ევრაზიის სტრატეგიული მნიშვნელობის გამო სხვადასხვა რეგიონალური და გლობალური აქტორებისთვის პირდაპირ სამიზნეს წარმოადგენს. მათ შორის მიგრაცია და მასთან დაკავშირებული დემოგრაფიული სურათის შეცვლა მცირერიცხოვან ქვეყნებში მათი მხრიდან ექსპანსიური პოლიტიკის ნაწილია,

---

[38] Migration Outlook Eastern Europe and Central Asia, ICMPD, 2024, pg. 11 https://www.icmpd.org/file/download/60848/file/ICMPD%2520Migration%2520Outlook%2520EECA%25202024.pdf [ბოლო ნახვა 28.06.2024]

რომელიც საკუთარ თავში მოისაზრებს ადგილობრივი დიასპორისა და გავლენის აგენტების ქსელის გაძლიერებას, ეთნიკურ წილობრივი რუქის შეცვლას, ასიმეტრიული საფრთხეების განვითარება (მაგ: ბელორუსია-პოლონეთს საზღვარზე არალეგალი სირიელი ლტოლვილები[39]) ან ტერორისტული ორგანიზაციების ადგილობრივი ფილიალების/დაჯგუფებების ჩამოყალიბება და განვითარება (კროკუსის ტრაგედია რუსეთში[40]). გავაანალიზოთ სამხ. ევრაზიის რეგიონალური და გლობალური აქტორების მიზნები და მოქმედებები შესაბამისი ჰუმანიტარული ექსპანსიის მხრივ:

- ✓ რუსეთი: ინარჩუნებს ძლიერ პოლიტიკურ, ეკონომიკურ სამხედრო კავშირებს და გავლენებს რეგიონში, ჩართულია უსაფრთხოებისა და კონფლიქტების მოგვარების საკითხებში. ნაწილობრივ უპირისპირდება ჩინეთის გავლენების ზრდის ტენდენციებს. უკრაინა-რუსეთის ომის პარალელურად კავკასიის და ცენტრალური აზიის ქვეყნები რუსი მიგრანტების სასურველ ლოკაციად იქცა. ის ხელს უწყობს სეპარატისტული, კვაზი რეჟიმების განვითარებას. მოქმედებს ე.წ. სამხ. ოსეთის „მცოცავი ოკუპაციის“ ასიმეტრიული მეთოდით საქართველოში. აწარმოებს ჰიბრიდულ ომს.
- ✓ ირანი: როგორც ერთ-ერთი მთავარი რეგიონალური ძალა ინარჩუნებს მჭიდრო ურთიერთობას და გავლენებს კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორიცაა ენერგეტიკა, ვაჭრობა და უსაფრთხოება. ცდილობს გააძლიეროს საკუთარი პოზიციები და შეკვეცოს გარე, განსაკუთრებით კოალიციური დასავლეთის გავლენები რეგიონში. 90-იანი წლებიდან ახორციელებს კაპიტალის ინტეგრაციას ძირითადად მშენებლობის, უძრავი ქონების და მიწის შესყიდვის სფეროებში.
- ✓ თურქეთი: ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე მდებარეობიდან გამომდინარე აქვს ისტორიული, კულტურული და ეკონომიკური კავშირები სამხრეთ ევრაზიის ქვეყნებთან. ის უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში განსაკუთრებით აქტიურად ახორციელებს მრავალგანზომილებიან საგარეო

---

[39] „Belarus border crisis: How are migrants getting there?“, BBC News, 2021 - https://www.bbc.com/news/59233244 [ბოლო ნახვა 28.06.2024]

[40] Knight M. Chernova A. Tarasova D. "ISIS claims responsibility for attack at Moscow-area concert venue that left at least 60 dead", CNN, 2024 - https://edition.cnn.com/2024/03/22/europe/crocus-moscow-shooting/index.html [ბოლო ნახვა 28.06.2024]

პოლიტიკას რეგიონში, რომელიც ორიენტირებულია ვაჭრობაზე, ენერგეტიკაზე, ეკონომუკურ ექსპანსიასა და კულტურულ-ისტორიული კავშირების აღდგენა/განვითარებაზე. აზერბაიჯანის მიერ მთიანი ყარაბაღის რეგიონის დეოკუპირების შემდეგ ორიენტირებულია მასთან პირდაპირი ეკონომიკური დერეფნების ჩამოყალიბებაზე. 90-იანი წლებიდან ახორციელებს ეკონომიკურ და სასურსათო ექსპანსიას საქართველოში. გააჩნია თავისი ინტერესები უძრავ ქონებაში, სამშენებლო-სასურსათო და სხვ. სფეროებში. წლების მანძილზე ექსპუატირებს საქართველოს საზღვაო შელფის ზონას. საქართველო-თურქეთს შორის ჩამოყალიბებულია უვიზო მიმოსვლის რეჟიმი და ე.წ. „სასაზღვრო მიგრაცია" განსაკუთრებით აჭარისა და გურიის მკვიდრ მოსახლეობასთან მიმართებაში.

- ✓ **ჩინეთი:** მზარდი ეკონომიკური ინვესტიციებით ცდილობს გააძლიეროს თავისი სტრატეგიული გავლენები რეგიონში ინფრასტრუქტურის განვითარების, ენერგეტიკული პროექტებისა და სავაჭრო პარტნიორობის გზით. 2024 წელს ჩინურ-სინგაპურული კონსორციუმის მიერ ანაკლიის პორტის მშენებლობის უფლების მიღება „შუა დერეფნის" პროექტში, რომელიც ევროპასა და ჩინეთს ალტერნატიული გზით აკავშირებს, პეკინის როლს კიდევ უფრო დომინანტურს ხდის რეგიონში. მომავალი საკვანძო სტრატეგიული პარტნიორობის ფორმატში მოსალოდნელია ჰუმანიტარული ექსპანსიაც. 4 ივნისს ნიუ-იორკის, გაეროს გენერალური ასამბლეის 78-ე სესიის ფარგლებში ჩინეთმა თავი შეიკავა „აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი, საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ" რეზოლუციის კენჭისყრაში მონაწილეობისგან. ასევე ვრცელდება ინფორმაცია ჩინური ინტერესების შესახებ ოკუპირებულ ცხინვალში (ავტომობილების ქარხანა, ტყვია-თუთიის საბადოები), რაც უამრავ კითხვას ბადებს, მისი როგორც პარტნიორის სანდოობაზე რეგიონში.
- ✓ **აშშ:** აქვს სტრატეგიული ინტერესები სამხრეთ ევრაზიაში, მათ შორის სტაბილურობის ხელშეწყობა, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერა. ავღანეთის მიმართულებით მისი პოზიციები 2021 წლის შემდეგ შესუსტდა, მაგრამ ის მაინც აგრძელებს რეგიონში მნიშვნელოვანი როლის შესრულებას. ცივი ომის დასრულების შემდეგ რეგიონალური

უსაფრთხოების, სტაბილურობისა და თანამშრომლობის ორმხრივი ინტერესებიდან გამომდინარე იგი ჩართული იყო ნატოს ეგიდით თანამშრომლობის კუთხითაც: ა) პარტნიორობა მშვიდობისთვის (PfP); ბ) ინდივიდუალური პარტნიორობისა და თანამშრომლობის პროგრამა (IPCP); გ) საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალები (ISAF) და მტკიცე მხარდაჭერის მისია და ა.შ. ერთის მხრივ, კავკასია მისთვის მნიშვნელოვანია როგორც სავაჭრო და სტრატეგიული პლაცდარმი, თუმცა რუსეთის გავლენის და უსაფრთხოების არეალში მისი დატოვების საკითხებზე შეთანხმებისთვის ირიბი მზადყოფნაც გააჩნია. მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ის კატეგორიულად ვერ შეეგუება ჩინეთის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური როლის მკვეთრ ზრდას რეგიონში, განსაკუთრებით კავკასიასა და შავიზღვისპირეთში.

როგორც გამოჩნდა, სამხ. ევრაზიულ ურთიერთობათა კასკადი მეტად ცვალებადი და არასტაბილურია, ამიტომ თუ როგორი ფორმით ჩამოყალიბნება საერთო რეგიონული ურთიერთობების რეჟიმი ჯერჯერობით რთული სათქმელია. შეგვიძლია მხოლოდ ის ვთქვათ, რომ სახელმწიფოთა შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობები პირდაპირ ასახვას პოულობენ სასაზღვრო კონტროლის რეგულაციების სიმძიმესა და ბიუროკრატიულ სირთულეებზე. თუკი ეს სახელმწიფოთაშორისი საიმიგრაციო პოლიტიკა არსებული ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობების არაპირდაპირპროპორციული იქნება, ის აუცილებლად რომელიმე მხარის ეროვნული ინტერესების დამაზიანებელი გახდება. ამ მოცემულობიდან გამომდინარე სახელმწიფოთაშორის თუ რეგიონალურ დონეზე განსაკუთრებულ ფუნქციას იძენს - **სასაზღვრო უსაფრთხოება**. ის მნიშვნელოვანია როგორც მიგრაციის პროცესის რეგულირებისა და შიდა წესრიგის დასაცავად სახელმწიფოში, ისე ეკონომიკური უსაფრთხოების, ტრანს-სასაზღვრო დანაშაულთან და ტერორიზმთან ეფექტური ბრძოლისათვის. შესამაბისად ურთიერთანამშრომლობითი სასაზღვრო უსაფრთხოების სისტემის გაუმჯობესება და დახვეწა ოქროს შუალედის პოვნაზე გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს. სახელმწიფოებს ერთმანეთთან თანამშრომლობისთვის დასჭირდებათ: 1. ქმედითი ბერკეტების შექმნა არასასურველი და არაკანონიერი მიგრაციისაგან თავის დასაცავად; 2. უსაფრთხო სავაჭრო და ეკონომიკური აქტივობებისთვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა.

2002-2006 წლებში ევროკომისიამ ერთიანი და ყოვლისმომცველი მიდგომის ჩამოსაყალიბებლად, შეიმუშავა **საზღვრის ერთიანი მართვის კონცეფცია**, რომელიც მიმართული იყო ამ სფეროში თანამშრომლობისკენ როგორც ევროკავშირის შიგნით, ისე სხვა სახელმწიფოებთან. კონცეფცია მოიცავს ყველა იმ მოქმედებათა ერთობლიობას (პოლიტიკა, კანონმდებლობა, სისტემატიურ თანამშრომლობა, ტვირთბრუნვა, ტექნოლოგია და ა.შ.), რომლებიც მიიღება სხვადასხვა დონეზე წევრი და არაწევრი სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოების მიერ და რომლებიც მოქმედებენ თანამშრომლობის პრინციპით, საჭიროების შემთხვევაში კი ერთად. მართალია ეს კონცეფცია არ ასახავს თითოეული რეგიონისთვის მისაღებ სასაზღვრო მართვის კომპონენტებს, თუმცა ძირითადი პრინციპები, რაზეც პოტენციურად უნდა იყოს დაფუძნებული სასაზღვრო უსაფრთხოების მართვა ადეკვატურია ყველა რეგიონისთვის. საზღვრის მენეჯმენტი პირველ რიგში უნდა აკმაყოფილებდეს სამ უმთავრეს მიზანს, რომლებიც ერთმანეთთან სრულად თავსებადნი არიან:

- შიდა უსაფრთხოების დაცვა და მიგრაციული ნაკადების მართვა არალეგალური მიგრაციის, მასთან დაკავშირებული დანაშაულისა და სხვა ტრანსსასაზღვრო დანაშაულის თავიდან ასაცილებლად;
- საზღვრის შეუფერხებელი და სწრაფი გადაკვეთა მოგზაურთა დიდი უმრავლესობისთვის, რომლებიც აკმაყოფილებენ შესაბამისი რეგულაციებით დადგენილ პირობებს;
- ფუნდამენტური უფლებების სრული პატივისცემა, მათ შორის თითოეული ინდივიდისადმი ადამიანის ღირსების სრული პატივისცემით მოპყრობა და საერთაშორისო დაცვაზე წვდომის მიცემა მათთვის, ვისაც ეს სჭირდება.

საზღვრების ინტეგრირებული მართვის კონცეფცია შედგება შემდეგი განზომილებებისაგან:

- ✓ **საზღვრის კონტროლი** (შესაბამისი რისკის ანალიზის, დანაშაულის დაზვერვისა და ოპერატიული საქმიანობის ჩათვლით);
- ✓ **ტრანსსასაზღვრო დანაშაულის გამოვლენა და გამოძიება** (ყველა კომპეტენტურ სამართალდამცავ ორგანოსთან კოორდინირებული მუშაობით);
- ✓ **სახელმწიფოების, ინსტიტუტებისა და სხვა ორგანოების საქმიანობის კოორდინაცია და თანმიმდევრულობა;**

- ✓ **შიდაუწყებრივი, უწყებათაშორისი და საერთაშორისო თანამშრომლობა საზღვრის მენეჯმენტისთვის** (მესაზღვრეები, საბაჟო, პოლიცია, ეროვნული უსაფრთხოება და სხვა შესაბამისი ორგანოები)

ამასთანავე გასათვალისწინებელია კონცეფციაში შემუშავებული დაშვების კონტროლის 4 ეტაპისგან შემდგარი მოდელი, რომელიც ფართოდ ვრცელდება არა მხოლოდ ევროკავშირში, არამედ მის სამეზობლოშიც:

1. **საკონტროლო ღონისძიებები და უსაფრთხოების უზრუნველყოფა მესამე ქვეყნებში** - ზომები მიიღება განსაკუთრებით წარმოშობისა და ტრანზიტის ქვეყნებში. ეს ღონისძიებები მოიცავს მეკავშირე ოფიცრებისა და დოკუმენტების ექსპერტების რჩევებსა და ტრენინგს საკონსულო დაწესებულებებში საკონსულო თანამდებობის პირებისთვის და გადამზიდავი კომპანიის პერსონალისთვის წარმოშობის ან ტრანზიტის მესამე ქვეყნებში სავიზო პროცესთან დაკავშირებით, რაც წარმოადგენს არალეგალური იმიგრაციით წარმოქმნილი რისკების წყაროს.

2. **თანამშრომლობას მეზობელ ქვეყნებთან** - საზღვრის მართვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებები მეზობელ ქვეყნებთან საზღვრის უსაფრთხოების გაზრდის ეფექტური ინსტრუმენტია. თანამშრომლობა უნდა განხორციელდეს სამუშაო მექანიზმების ჩამოყალიბებით: ინფორმაციის გაცვლა, საზღვრის პატრულირება და დაცვა, ერთობლივი სასაზღვრო-გამტარი პუნქტები, ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე ორგანიზებული რეგულარული შეხვედრები, რისკების ანალიზი, სასაზღვრო წარმომადგენელთა ინსტიტუტის არსებობა, პირდაპირი საკომუნიკაციო არხების გამოყენება/დანერგვა, გარე რეგიონული თანამშრომლობის სტრუქტურების ჩამოყალიბება და ა.შ. საზღვრები ასევე უნდა დამყარდეს საზღვაო ზონებშიც და გაერთიანდეს რეგიონულ დონეზე.

3. **საზღვრის კონტროლი** - გულისხმობს სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე ადამიანთა და ე.წ. მწვანე საზღვრის (სასაზღვრო-გამტარ პუნქტებს შორის სახელმწიფო სახმელეთო საზღვრის ნაწილი) კონტროლს - უზრუნველყოფს ზონაში შესული ან გამოსული ყველა პირის საზღვრის სისტემატურ შემოწმებებს, რომ გამტარი პუნქტის გვერდის ავლით, არასათანადო დოკუმენტაციით და სატრანსპორტო საშუალებებში არსებული სამალავების მეშვეობით არ მოხდეს საზღვრის არაკანონიერი კვეთა, მათ შორის საზღვაო გზით. იგი სხვა ტრანსნაციონალური და მძიმე დანაშაულის გამოვლენასაც უწყობს ხელს.

4. **საკონტროლო ღონისძიებები ქვეყნის შიგნით (მათ შორის, მიგრანტთა დაბრუნების საკითხი)** - ეს ზომები ხელს უშლის არალეგალურ იმიგრაციას, ტრანსსასაზღვრო დანაშაულს და გულისხმობს ქვეყნის ტერიტორიაზე შემოწმებებს არაკანონიერად მყოფი მიგრანტების გამოსავლენად, ქვეყანაში მათი ყოფნის კანონიერების გარკვევას და შესაბამისი პროცედურების გატარებას. არალეგალური ემიგრანტები უნდა იქნან აყვანილნი ხელისუფლების კონტროლის ქვეშ. ისინი უნდა დარეგისტრირდნენ და თუ არ არსებობს საცხოვრებლის საფუძველი და თუ არ არსებობს დაბრკოლებები იძულებითი ჰუმანიტარული საფუძვლების ან საერთაშორისო სამართლის საფუძველზე, ისინი უნდა დაბრუნდნენ თავიანთ წარმოშობის ქვეყანაში.[41]

როგორც გამოჩნდა ოთხეტაპიანი სასაზღვრო კონტროლი მექანიზმები თანამშრომლობასა და კოორდინაციას ეფუძნება, თავად კონცეფცია კი ეყრდნობა თანამშრომლობის სამ სვეტს:

- ✓ **შიდაუწყებრივი თანამშრომლობა** - კონკრეტულ საკითხებზე ერთი უწყების პასუხისმგებელ დანაყოფთა ერთობლივი/კოორდინირებული თანამშრომლობის ფორმა. ის სხვადასხვა ადმინისტრაციულ დონეზე შეიძლება იყოს ვერტიკალური ან ერთი დონის ადმინისტრაციულ ორგანოებსა და დანაყოფებს შორის ჰორიზონტალური.
- ✓ **უწყებათაშორისი თანამშრომლობა** - სახელმწიფო საზღვრის მართვაში მონაწილე სხვადასხვა უწყების ერთობლივი/კოორდინირებული მუშაობა კომუნიკაციურ, ოპერატიულ-ტაქტიკურ და სტრატეგიულ დონეზე. საზღვრის მართვაში ჩართული უწყებების სია საკმაოდ ვრცელია და მოიცავს არა მხოლოდ უშუალოდ საზღვარზე წარმოდგენილ, არამედ ამ პროცესში ირიბად მონაწილე სტრუქტურებსაც.
- ✓ **საერთაშორისო თანამშრომლობა** - მნიშვნელოვანია სასაზღვრო უსაფრთხოების ერთიანი მიდგომის შესამუშავებლად ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო თანამშრომლობის პირობებში. მისი განხორციელება

---

[41] „Guidelines for Integrated Border Management in European Commission External Cooperation", ICMPD, 2015, pg. 6-9 - https://www.icmpd.org/file/download/48352/file/Guidelines%2520for%25 [ბოლო ნახვა 28.06.2024]

შესაძლებელია როგორც სამთავრობო, ისე უწყებრივ დონეზე. მიმდინარე მიგრაციულ პროცესების სირთულიდან გამომდინარე, რეგიონული გაერთიანების წევრი ქვეყნები ხშირად საზღვრის დაცვა ერთობლივად ახორციელებენ (მაგ: ევროკავშირი, ევრაზიის კავშირი).

მიგრაციული პროცესი შეუქცევად მოცემულობას წარმოადგენს და თითოეული ქვეყანა მას უნდა მართავდეს საკუთარი ეროვნული ინტერესების შესაბამისად. ვინაიდან სამხ. ევრაზიაში ერთიანი, ფუნქციონალური თანამშრომლობის ინიციატივები რეგიონულ დონეზე არ გვაქვს, პირველ ეტაპზე საჭიროა ნაბიჯების გადადგმა თანამშრომლობის **„სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებების"** მიმართულებით ***(იხ. დანართი #5 - სამხ. ევრაზია: მიგრაცია და უსაფრთხოება "SWOT Analysis").*** ამ მხრივ საქმიანი თანამშრომლობის საკმაოდ წარმატებული გამოცდილება, როგორც სახელმწიფოთაშორის ისე ინსტიტუციათაშორის დონეზე გააჩნია საქართველოს. შრომითი მიგრაციის მიმართულებით არსებული შეთანხმებები (გერმანიასთან, ისრაელთან, საფრანგეთთან და ა.შ.) საშუალებას იძლევა, დროში დაუგეგმავი, კანონგარეშე გადაადგილების ფორმატები ჩანაცვლდეს საკონტრაქტო, განმეორებადი ლეგალური თანამშრომლობით. მიგრაციის ამ შედარებით თანამედროვე ფორმას, რომელიც გულისხმობს განსაზღვრული დროით, ქვეყნებს შორის განმეორებად ლეგალურ გადაადგილებას **„ცირკულარული მიგრაცია"** ეწოდება. ის პარალელურად მოიცავს მიგრანტთა კომპეტენციების ამაღლებას და შეიძლება იქცეს უმართავი/მართული არალეგალური მიგრაციული პროცესების ლეგალურ რეჟიმში ტრანსფორმაციის შესაძლებლობად, უზრუნველყოს მიგრანტთა კავშირების შენარჩუნება/განვითარება წარმოშობის ქვეყნებთან (საერთაშორისო გამოცდილება ამას ადასტურებს), რაც საბოლოოდ მათი უკან, სამშობლოზე მიმაგრების გზას (კავშირს) ტოვებს.[42]

---

[42] Khurtsidze A. "Circular Labor Migration and Georgia: Experiences and Challenges", Scientific Journal of Georgian National University SEU "Vectors of social Sciences", #5, Tbilisi, 2023, pg. 62-71

## 2.2. რეგიონული უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელების მრავალმხრივი მიდგომები.

უსაფრთხოების პოლიტიკის ხარისხი და პრაქტიკულობა განისაზღვრება კონკრეტულ სახელმწიფოებს შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობების პარალელურად. სამხ. ევრაზიის რეგიონიც ამ მხრივ არ არის გამონაკლისი, თუმცა რეგიონის მრავალფეროვანი კულტურულ-ეთნიკური, ეკონომიკური და გეოპოლიტიკური სპეციფიკიდან გამომდინარე საკმაოდ რთულია ჩამოყალიბდეს ერთიანი რეგიონალური უსაფრთხოების სისტემები. თითოეული ინიციატივა, რომელიც რეგიონში ახალ საკომუნიკაციო არხის ჩამოყალიბებას, ეკონომიკური თუ პოლიტიკური ურთიერთობების გაჯანსაღებას ემსახურებოდა, საბოლოოდ ქვერეგიონული, რეგიონალური თუ გლობალური აქტორების ინტერესებისა და გავლენების გაზრდას, მათ პრაქტიკაში განხორციელებას ემსახურებოდა. შესაბამისად საერთო რეგიონალური უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავება დღემდე ვერ მოხერხდა.

### *2.2.1. „ცივი ომის“ შემდგომი რეგიონული უსაფრთხოების ინიციატივები სამხ. ევრაზიაში*

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოქმნილი რესპუბლიკების მიერ შემუშავებული/წარმოდგენილი იქნა ურთიერთთანამშრომლობისა და უსაფრთხოების განსხვავებული მოდელები. განვიხილოთ რამოდენიმე რეგიონალური ინტეგრაციის ინიციატივა და შევეცადოთ იმის განსაზღვრას, თუ რამდენად შეიცავენ ისინი სამხ. ევრაზიის რეგიონალურ უსაფრთხოების კონცეფციისთვის საჭირო კომპონენტებს, შესაძლებელია თუ არა მათი ინტეგრაცია ამ ახალი რეგიონალური უსაფრთხოების სისტემაში.

- „საერთო კავკასიური სახლის იდეა“ (1991 წ.) - იდეას მართალია დიდი ხნის ისტორია აქვს და იდეის ავტორები სრულიად განსხვავებული მრწამსის, პოლიტიკური ორიენტაციის ადამიანები იყვნენ. მისი განხორციელება თავისი პირველი ჩანაფიქრის მიხედვით ვერ განხორციელდა. ამის მიზეზი კავკასიაში დღესაც არსებული კონფლიქტური ზონები და პრაქტიკული განხორციელების ეტაპზე მოქმედებათა მიმართულების ცვლილებები შეგვიძლია დავასახელოთ, რომლებიც სრულიად ვერ ეხმიანებოდა და ეხმიანება არსებულ გეოპოლიტიკურ

რეალობას. ზოგადად იდეის ავტორი გახლდათ საინიციატივო ნაირა გელაშვილის, ვახუშტი კოტეტიშვილის, ზურაბ ჟვანიას და სხვების ხელმძღვანელობით. იდეას განხორციელების რამოდენიმე ეტაპი გააჩნდა და პირველ რიგში გულისხმობდა კავკასიის რეგიონში კულტურული და ისტორიული ურთიერთობების აღდგენას. განისაზღვრა ყველაზე რბილი თემები და მიდგომები ამ ინტეგრაციული მოდელის განხორციელებისთვის: ლიტერატურულ-მთარგმნელობითი სფერო და ეკოლოგია. მოგვიანებით პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას პერიოდში წამოწყება ნაციონალურ-სეპარატისრულ იდეებში გადაიზარდა, რაც ერთის მხრივ ემსახურებოდა საქართველოს წამყვანი პოზიციების გაძლიერებას კავკასიაში, მაგრამ ამავე დროს აღვივებდა ეთნიკურ და ტერიტორიულ დაპირისპირებებს, ხელყოფდა მეზობელი ქვეყნების, მათ შორის რუსეთის ტერიტორიულ მთლიანობას.

- „კავკასიური თანამშრომლობის რეგიონული ცენტრი" (1992 წ.) - ინიცირებული იყო პრეზიდენტ ლევონ-ტერ-პეტროსიანის მიერ, რომელსაც უნდა ემუშავა ეთნოკონფლიქტების პრევენციასა და რეგულირებაზე. უნდა ყოფილიყო სახელმწიფოთაშორისი გაერთიანება.
- „მშვიდობიანი კავკასიის იდეა" 3+1/8+2 (1996 წ.) - იდეა ეკუთვნის საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძე. დამფუძნებელ სუბიექტთა შეხვედრა გაიმართა კისლავოდსკში სადაც წარმოდგენილნი იყვნენ - 3 კავკასიური დამოუკიდებელი რესპუბლიკა, ჩრდ. კავკასიის რესპუბლიკები (მათ შორის სეპარატისტული რეჟიმის წარმომადგენლები) და რუსეთი. შემუშავებული იქნა 6 ძირითადი პრინციპი: *1. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა; 2. ერთიანი სახელმწიფოებრივი სივრცის დაფიქსირება; 3. უმცირესობების უფლებების დაცვა (რელიგიური/ეთნიკური); 4. კავკასიური ქსელების დაცვა და პატივისცემა; 5. კავკასიის კულტურული სივრცე; 6. ერთიანი ეკონომიკური სივრცე.* ინიციატივა ასევე გულისხმობდა აფხაზეთსა და ე.წ. სამხ. ოსეთში თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნას. პროექტმა 3 წელი იარსება ჩეჩნეთის II ომამდე.
- "რეგიონული თანამშრომლობა 3+2+2" (2000 წ.) - სამი კავკასიის სახელმწიფო, ორი რეგიონული გავლენის ცენტრი - თურქეთი და რუსეთი; ორი საერთაშორისო აქტორი - ევროკავშირი და აშშ. იდეამ გაამყარა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი და ბაქო-თბილისი-ერზრუმის (შაჰდენიზი) გაზსადენი.

- **რეგიონული თანამშრომლობა „3+3+2“ (2000 წ.)** - სომხეთმა აზერბაიჯანის იდეას მაშინვე დაუპირისპირა თავისი ფორმატი - სამი კავკასიის სახელმწიფო: 3 რეგიონული ცენტრი; ირანი, რუსეთი, თურქეთი; 2 საერთაშორისო აქტორი: ევროკავშირი და აშშ.
- **2007 წ. კავკასიის გაერთიანებული შტატების იდეა (მოგვიანებით კონფედერაცია)** - პრეზიდენტ ილჰამ ალიევის იდეა: საქართველო+აზერბაიჯანი, მოგვიანებით შეუერთდა თურქეთი და სამიტად გადაკეთდა იგი მოქმედებს დღესაც და შუალედური კორიდორის გაგრძელების ფუნქცია შეიძინა.

*2.2.2. რეგიონული უსაფრთხოების თანამედროვე მოდელები სამხ. ევრაზიაში*

თანამედროვე გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური გამოწვევებიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას რეგიონული უსაფრთხოების თვალსაზრისით იძენს უკანასკნელ პერიოდში ჩამოყალიბებული 2 ინიციატივა:

1. *კავკასიის რეგიონული თანამშრომლობის იდეა „3+3“* – იგი თურქეთის პრეზიდენტმა ერდოანმა 2020 წლის დეკემბერში გამოაცხადა. ფორმატში მოიაზრებიან: თურქეთი, რუსეთი, ირანი, აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო. ოფიციალურად გაცხადებული იდეა სამხრეთ კავკასიაში „მტკიცე მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფაში“ მდგომარეობს. 2021 წლის იანვარში თურქეთისა და ირანის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის შემდეგ კვლავ გაიჟღერა და პირველი შეხვედრას იმავე წელს გაიმართა მოსკოვში. შეხვედრაში მონაწილეობა არ მიიღო ქართულმა დელეგაციამ მიუხედავად ამისა, რომ შეხვედრის ადგილას საქართველოს დროშა გამოიფინა.[43] 2022 წლის იანვარში, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ რუსეთის ხელისუფლებამ სთხოვა თურქეთს, სომხეთს და აზერბაიჯანს, განემარტათ საქართველოსთვის 3+3 ფორმატში გაწევრიანების სარგებელი. ფორმატი თავის თავში მოიაზრებს გარკვეული ბალანსის შექმნას: *1. აზერბაიჯანი თურქეთის მეშვეობით შეძლებს რუსეთის ინტერესების დაბალანსებას რეგიონში; 2. ყარაბაღის კონფლიქტის შემდეგ, როგორც კავკასიის რეგიონალური ლიდერი, ის შეძლებს ირანთან ურთიერთობების გაუმჯობესებას; 3. რუსეთ-ირანის ფაქტორი შეძლებს*

---

[43] Azizova A. Hovhannisyan A. Khutsishvili K. „3+3 ≠ 6 IN SOUTH CAUCASUS“, Goethe-Institut, 2022 - https://www.goethe.de/ins/ro/en/kul/sup/unp/22745686.html [ბოლო ნახვა 28.06.2024]

*დააბალანსოს თურქეთ-აზერბაიჯანის ფაქტორი; 4. სომხეთს ეძლევა ეკონომიკური ურთიერთობების დაბალანსების საშუალება და ზანგეზურის დერეფნის ამოქმედების პერსპექტივები.* თუმცა მოცემული ინიციატივა შეუსაბამობაშია საქართველოს ეროვნულ ინტერესებთან: *1. დაკარგავს კავკასიური დერეფნის ფუნქციას, რადგან ის გადაინაცვლებს სამხრეთით; 2. აზერბაიჯანის ან თურქეთის პროექტებში მხოლოდ მეორეული ფორმით ჩართვა იქნება შესაძლებელი; 3. მოექცევა რეგიონალური ჰეგემონების დაქვემდებარებაში; 4. მოექცევა საერთაშორისო იზოლაციაში და მოუწევს პროდასავლურ კურსზე უარის თქმა.*

*2. ცენტ. აზიის "უსაფრთხოების ქამარი" (Пояс безопасности)* - იდეაზე ჯერ კიდევ 1998 წელს, ტაჯიკეთის პრეზიდენტმა ემომალი რაჰმონმა ისაუბრა გაეროში. ინიციატივა აქტუალურობას ინარჩუნებდა 2001 წლამდე, ვიდრე ავღანეთში ამერიკული ჯარების შევიდოდნენ, ქაბულში თალიბანის პირველი მთავრობა დაეცემოდა და ავღანეთში სეკულარული ძალაუფლების შექმნის იმედი გაჩნდებოდა. მას შემდეგ შემდეგ კი ინიციატივა დავიწყებას მიეცა. მაგრამ 2021 წლის ზაფხულში თალიბანის ხელისუფლებაში დაბრუნების შემდეგ, იდეის ხორშესხმას კიდევ უფრო მეტი მომხრე გამოუჩდა: ტაჯიკეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი და ინდოეთი. ავღანეთიდან მომდინარე საფრთხეები მრავალფეროვანია: 1. ტერორისტული ჯგუფების წევრების შეღწევა ლტოლვილების საფარქვეშ ნებისმიერ ქვეყანაში, რაც იწვევს ამ ქვეყნებში სიტუაციის ბუნებრივ დესტაბილიზაციას; 2. ტერორისტული ჯგუფის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებისა და სხვა სახელმწიფოების მიერ მისი ლეგიტიმურად აღიარების ფაქტორი შეიძლება გახდეს სხვა ქვეყნების მსგავსი საშიში ტერორისტული და ექსტრემისტული ჯგუფების მოტივაციის ფაქტორი; 3. ეკონომიკური კრიზისი და ხელისუფლების წარუმატებლობა, უზრუნველყოს თავისი მოქალაქეების ეკონომიკური უსაფრთხოება, პირდაპირ გამოიწვევს ეკონომიკური პრობლემების გაჩენას ავღანეთის პარტნიორ ქვეყნებში; 4. გაიზარდა ნარკოტიკული ნივთიერებების წარმოება და კონტრაბანდა; 5. ტერორიზმისა და ექსტრემიზმის შეუზღუდავი ექსპანსია მეზობელ ქვეყნებში.[44]

[44] Хакимов У. "Зачем нужен пояс безопасности вокруг Афганистана?", Central Asian Bureau for Analytical Reporting, 2022 - https://cabar.asia/ru/zachem-nuzhen-poyas-bezopasnosti-vokrug-afganistana [ბოლო ნახვა 28.06.2024]

მიუხედავად ზოგადად ავღანეთის ფაქტორისა გლობალური და რეგიონალური უსაფრთხოების თვალსაზრისით მისი აბსოლიტური იზოლაცია ნაკლებად სავარაუდოა, რომ ერთმნიშვნელოვნად დადებით შედეგის მომცემი იქნება, ყველა მსგავსი „იზოლაციის“ ინიციატივა რომელიც კაცობრიობას ახსოვს, საბოლოოდ კრახით დასრულდა. საჭიროა საკითხისადმი უფრო კომპლექსური მიდგომა.

***2.2.3. ჩინეთის ევრაზიული ინტეგრაციის ინიციატივები***

1980-იანი წლები მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციის პერიოდი იყო ჩინეთისთვის, რადგან ის აგრძელებდა ეკონომიკურ განვითარებას, დასავლეთთან ურთიერთობების ნორმალიზებას და ცდილობდა დაემტკიცებინა თავისი პოზიციები გლობალურ სცენაზე, რთულ გეოპოლიტიკურ დინამიკაში განსაკუთრებით ეს მისწრაფებენი ევრაზიულ რეგიონზე იყო მიმართული. ჩინეთმა დაიწყო გლობალური ინფრასტრუქტურული პროექტების, მათ შორის საავტომობილო გზების, რკინიგზისა და სატელეკომუნიკაციო ქსელების განვითარება. სწორედ პერიოდში გაჩნდა Belt and Road Initiative (BRI) აღდგენის ინიციატივაც. პროექტი გულისხმობს ისტორიული „აბრეშუმის გზის“ აღდგენას, რომელიც გადის შუა აზიის ქვეყნებსა და კავკასიაზე. 2003 წლიდან მოყოლებული ჩინეთი აქტიურად უწყობს ხელს უწყობს ამ იდეის პოპულარიზაციას. ის მზარდი ეკონომიკური ინვესტიციებით ცდილობს გააძლიეროს თავისი სტრატეგიული გავლენები რეგიონში ინფრასტრუქტურის განვითარების, ენერგეტიკული პროექტებისა და სავაჭრო პარტნიორობის გზით.

1992 წლის ივნისში სტამბულში შავიზღვისპირეთის სახელმწიფოების მთავრობათა მეთაურებისა და საგარეო საქმეთა მინისტრების უმაღლესი დონის შეხვედრა გაიმართა, სადაც საფუძველი ჩაეყარა შავი ზღვის აუზის ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციას. შემდეგ ეტაპზე მიღებული იქნა **ე.წ. „ბოსფორის დეკლარაცია“ და „შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის დეკლარაცია“**. ამ გაერთიანებამ შექმნა ინტეგრაციული საპროექტო მოდელების განვითარების პრეცედენტი „დასავლეთ-აღმოსავლეთის“ ფორმატში და დასაბამი დაუდო შავიზღვისპირეთი - კასპიისპირეთი - ცენტ. აზია - სამხრეთ/აღმოსავლეთ აზიის ინტეგრაციული სივრცის ჩამოყალიბებას. ორი წლის შემდეგ გაფორმდა ე.წ. **"საუკუნის კონტრაქტი"** რაც ითვალისწინებდა კასპიის ზღვის

ენერგომატარებლების ათვისებას და მათი ტრანსპორტირებას საერთაშორისო ბაზრებზე. დაარსდა აზერბაიჯანის სანავთობო საერთაშორისო კონსორციუმი, რომელიც ერთგვარი "პოლიტიკური" გზამკვლევი გახდა „დასავლეთ-აღმოსავლეთის“ შემდგომი განვითარების საქმეში.

პროექტის შემდგომ განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ე. შევარდნაძის მიერ განხორციელებულმა "მშვიდობიანი კავკასიის" იდეამ, რომლის შემადგენელ ერთ-ერთ მთავარ პრინციპს „სატრანსპორტო და სხვა კომუნიკაციების დაცვა და მათი ბლოკირების მიუღებლობა“ წარმოადგენდა.

უკვე 90-იანი წლებიდან საერთაშორისო საზოგადოებაში საქართველო კავკასიური გეოპოლიტიკური სივრცის მნიშვნელოვან აქტორად პოზიციონირდა. აშშ-ს კონგრესის მიერ 1999 წელს მიღებულ კანონი - **„აბრეშუმის გზის სტრატეგია“**. აქტუალობა შეიძინა „ერთიანი კავკასიური ბაზრის“ ინიციატივის განხორციელების პროცესმა, რომლის ფარგლებშიც ამოქმედდა „ჩრდილოეთ-სამხრეთის“ მაგისტრალის ე.წ. „არარუსული სეგმენტი“, რამაც მოიტანა „თავისუფალი ეკონომიკური ზონის“ ამოქმედება სოფელ ერგნეთის მიდამოებში, ჩრდილო-კავკასიური ნავთობისა და სპირტის ტრანსპორტირება თურქეთის მიმართულებით და ა.შ.

ბრიუსელში არსებულმა დამოუკიდებელმა "ევროპული პოლიტიკის კვლევის ცენტრმა" (CEPS), ექსპერტების ხელშეწყობით 2000 წელს შეიმუშავეს და წარმოადგინეს ახალი კონცეფტუალური დოკუმენტი: *"სტაბილურობის პაქტი კავკასიისთვის" (Stabiity Pact for the Caucasus).*[45] 2014 წლის მაისში თბილისში ე.წ. "კავკასიის სამიტი“ გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს: თურქეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს პრეზიდენტებმა. შეხვედრაზე განიხილეს სწორედ "დასავლეთ-აღმოსავლეთის" დერეფანში განხორციელებული გეოეკონომიკური პროექტების რეალიზაციის პერსპექტივები, მათ შორის ბაქო-თბილისი-ყარსი სარკინიგზო მაგისტრალის პროექტი. ასეთი მოდელით შესაძლოა მომავალში სომხეთი, ირანი და სხვა სახელმწიფოებიც დაინტერესდნენ.

---

[45] Celac S. Emerson M. Tocci N. "A Stability Pact for The Caucasus: A Consultative Document of the CEPS Task Force on the Caucasus", 2000 https://aei.pitt.edu/32563/1/2._A_Stability_Pact_for_the_Caucasus.pdf [ბოლო ნახვა 28.06.2024]

საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან „ახალი აბრეშუმის გზის“ განხორციელებისთვის უმნიშვნელოვანეს ინიციატივას - ევროპა - კავკასია - აზიის სატრანსპორტო დერეფანი „TRACECA“ წარმოადგენს. პროგრამა ორიენტირებულია გრძელვადიან თანამშრომლობაზე და ორიენტირებულია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის (საავტომობილო, სარკინიგზო, საჰაერო და საზღვაო) მოდერნიზაციასა და გაფართოებას, რათა დიდი რაოდენობის ტვირთების ნაკლები დანახარჯებით, უსაფრთხოების მაღალი სტანდარტებით ტრანსპორტირება გახდეს შესაძლებელი. პროექტი ასევე გულისხმობს სატრანსპორტო მარშრუტის გასწვრივ არსებული ქვეყნების საბაჟო კანონმდებლობისა და სამართლებრივი რეგულაციების ჰარმონიზაციას, პროცესის ერთობლივი დაგეგმვარების დაგეგმვა/უზრუნველყოფას. რუსეთმა, ჯერ კიდევ 2000 წლის 21 აპრილს გამართულ უშიშროების საბჭოს სხდომაზე გამოხატა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება პროექტთან დაკავშირებით და მას „რუსეთის ფედერაციის ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგო პროექტი“ უწოდა.

განვითარების მხრივ მნიშვნელოვანია 2013 წელს ბოსფორის ქვეშ მარმარაის გვირაბის გახსნა, რომელიც რეგიონალური დონეზე თურქეთის სატრანზიტო პოტენციალის განვითარების ნაწილია და ევროპას ბაქო-თბილისი-ახალქალაქი–ყარსის სარკინიგზო პროექტით ჩინეთთან დააკავშირებს. გლობალური თვალსაზრისით ამ რკინიგზით მოხდება აზიისა და ევროპის დამაკავშირებელი რგოლის შეკვრა, რომელიც იქნება რუსული ან ირანული მარშრუტების ალტერნატივა.

2015 წელს მოხდა ისტორიული მარშრუტის პრაქტიკაში განხორციელება, რომელმაც ახალი აბრეშუმის გზის გეოეკონომიკურ მნიშვნელობაზე წარმოდგენები კიდევ უფრო გაამყარა. ჩინეთიდან 29 იანვარს სარკინიგზო ხაზით წამოსული ტვირთი, 6 თებერვალს საქართველოში ჩამოვიდა. მანამდე საზღვაო გზით კი იმავე ტვირთის ჩამოტანას 45 დღე სჭირდებოდა. პროექტის სქემა შემდეგნაირია: ჩინეთიდან გამოსული ტრანსაზიურ-კავკასიური მატარებელი საქართველოს შავი ზღვის პორტების მიმართულებით იმოძრავებს. პორტებიდან ტვირთი შემდგომ ევროპის, ხმელთაშუაზღვისა და შავი ზღვის სხვა ქვეყნებს მიეწოდებათ. ამ პროექტის არსებული ჩინეთი-საქართველოს ხაზის ამოქმედებით ქვეყნის ეკონომიკა დაახლოებით 120 მილიონ შემოსავალს მიიღებს. ბაქო-თბილისი-ყარსის

პროექტის დასრულების შემდეგ თურქეთი-ყაზახეთის მიმართულების ამოქმედებით შემოსავლები მინიმუმ გაორმაგდება.[46]

ზემოთქმულიდან გამომდინარე აშკარად შესამჩნევი ხდება, რომ მოცემული ევრაზიული სატვირთო-სარკინიგზო დერეფანი, ისევე როგორც სხვა ინიციატივები, ემსახურება რუსეთის პოზიციების შეკვეცას ჰართლენდის სამხრეთ პერიფერიაზე. შესაბამისად ჯერ საბჭოთა კავშირიდან მოყოლებული რუსეთმა შეიმუშავა პროექტის ალტერნატიული მარშრუტი, რომელიც ცნობილია - **ბაიკალ-ამურის მაგისტრალი** (BAM)-ის სახელით. ამას გარდა, მან განახორციელა კავკასიური სახელმწიფოების მიმართულებით ტერიტორიების ინტერვენცია/ოკუპაცია, შექმნა სეპარატისტული კვაზი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები, მოახდინა ეთნიკური კონფლიქტების პროვოცირება და ის საკუთარი ეროვნული უსაფრთხოების ზონად აქცია.

რუსეთ-უკრაინის მიმდინარე კონფლიქტმა და მისმა ზემოქმედებამ მიწოდების ჯაჭვებსა და მარშრუტებზე კიდევ უფრო გაზარდა ინტერესი კონტინენტური სავაჭრო გზების ჩამოყალიბების მიმართ ცენტრალური აზიაში. სწორედ მასთან არის დაკავშირებული ჩინეთის მიერ კიდევ ერთი - **ტრანს-კასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტი** (TITR), იგივე „შუა დერეფნის" ინიციატივა, რომელიც შესაძლოა გახდეს უმნიშვნელოვანესი დერეფანი, რომელიც დააკავშირებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ჩინეთს ევროპასთან. მარშრუტი სრულიად გვერდს უვლის რუსეთის ჩრდილოეთ დერეფანს და სუეცის არხის გავლით არსებულ ოკეანის მარშრუტს. TITR-ი იწყება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან და ჩინეთიდან, გადის ყაზახეთზე, კვეთს კასპიის ზღვას და გრძელდება აზერბაიჯანისა და საქართველოს გავლით. სურვილისამებრ, ის შეიძლება გაგრძელდეს თურქეთში.[47] 2014 წელს მისი პოპულარიზაციაზე ზრუნვა გადაეცა შვიდ ლოჯისტიკურ კომპანიას ყაზახეთიდან, აზერბაიჯანიდან და საქართველოდან. 2023 წელს შეიქმნა სპეციალური „გეოეკონომიკური ალიანსი:

---

[46] მაისაია ვ. „აბრეშუმის გზის" გეოპოლიტიკური განვითარების ისტორიული და თანამედროვე ასპექტები: ხედვა საქართველოდან", 2017, კვირის პალიტრა, https://kvirispalitra.ge/article/38143-qabreshumis-gzisq-geopolitikuri-ganvitharebis-istoriuli-da-thanamedrove-aspeqtebi-khedva-saqarthvelodan/ [ბოლო ნახვა 28.06.2024]

[47] Kumar V. "Central Asia, the new corridor", Gateway House, 2023 - https://www.gatewayhouse.in/central-asia-the-new-corridor/#_ftn1 [ბოლო ნახვა 28.06.2024]

კავკასია-კასპიის რეგიონის - ყაზახეთის, აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის ჩართულობით. მოგვიანებით ალიანსს შეუერთდნენ უზბეკეთი და თურქმენეთი, რომელთა პოლიტიკური ხელმძღვანელობა გამოხატავს მზადყოფნას შეუერთდეს TITR-ს. პროექტი ეწინააღმდეგება რუსეთის ახალ გეოეკონომიკურ პროექტს **„ჩრდილოეთ-სამხრეთი“ სანქტ-პეტერბურგიდან მუმბაიმდე**, სადაც სამხრეთ კავკასია წარმოდგენილია როგორც მისი საყრდენი პლაცდარმი. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ ახალი ტიპის ომის სტრატეგია მიმდინარეობს „გეოეკონომიკური ომი“-ს ფორმატში.[48]

ჩინური ინვესტიციების წყალობით ცენტ. აზიის რეგიონის ბევრი ქვეყანა აშენებს და ანახლებს სარკინიგზო ხაზებს. 2022 წლის სექტემბერში სამარყანდში, შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის სამიტის მიღმა, ჩინეთი, ყირგიზეთი და უზბეკეთი შეთანხმდნენ ერთობლივად დააფინანსონ ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა შემოთავაზებული ჩინეთი-ყირგიზეთი-უზბეკეთის სარკინიგზო ხაზის. ეს შექმნის კავშირს ავღანეთთან უზბეკეთ-ავღანეთის საზღვრის გავლით ჰაირატანთან.[49] განსაკუთრებით იმ საქონლისთვის, რომელიც მიფრინავს ჩინეთიდან ავღანეთში, დერეფანი შეამცირებს მიწოდების დროს მიმდინარე მარშრუტიდან ყარაჩის გავლით ავღანეთში - ორი თვიდან ორ კვირამდე. ის დაუკავშირდება დასავლეთ აზიას ახალი საცდელი საერთაშორისო ჩრდილოეთ სამხრეთ სატრანსპორტო დერეფნის მეშვეობით, რომელიც გადაჭიმულია ინდოეთიდან რუსეთამდე.

რუსეთ-უკრაინის კონფლიქტისა და რუსეთის მიმართ დასავლეთის სანქციების მიმართ ყველაზე დიდი ბენეფიციარი ჩინეთია, რომელმაც გააღრმავა თავისი ჩართულობა ცენტრალური აზიის ქვეყნებთან თანამშრომლობის მიმართულებით. მართალია, დასავლეთის სანქციები პირდაპირ არ ეხება გავლით ჩრდილოეთის დერეფანს, ჩინეთი-ევროპის სარკინიგზო ექსპრესით მიმდინარე ოპერაციებს,

---

[48] Maisaia V. "Three “Giants” Geoeconomic Wargame Over “Middle Transit Corridor”, Azerbaijan Today, 2024 - https://azerbaijantoday.az/2024/06/07/three-giants-geoeconomic-wargame-over-middle-transit-corridor/?fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTEAAR0_t4KNjB4k3M-TKpajfsSw_96WKB5rE3GsP_hA7nD9ZQuzdhYVw2C-qRg_aem_Aa4bZrRzQHR044v7HXzSTIw5xmQtsZur6R0ZzgAkLVBHp7h5mtJsWXT9Jv5MAuz8Y57fdqexr41QeE437z9AmACU [ბოლო ნახვა 28.06.2024]

[49] “An Agreement on Cooperation Was Signed in Samarkand on the Construction Project of the China-Kyrgyzstan-Uzbekistan Railway on a Section in the Territory of the Kyrgyz Republic.” 2022 - http://kjd.kg/ru/press-service/news/full/1553.html [ბოლო ნახვა 28.06.2024]

რომელიც აკავშირებს წყნარი ოკეანის პორტებს რუსეთსა და ჩინეთს ევროპასთან, მაგრამ ლოგისტიკურმა შეფერხებებმა და ჩინეთში წარმოების ზოგიერთი დასავლური კომპანიის ბოიკოტმა მის გამართულ ფუნქციონირებაზე მაინც მოახდინა გავლენა. შუა დერეფანი, მათ შორის ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტი და სხვა მარშრუტები, რომლებიც გადის ჩინეთიდან ევროპისკენ, ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის, თურქეთისა და აღმოსავლეთ ევროპის გავლით, იძლევა კიდევ ერთ ალტერნატივას რეგიონის განვითარებისთვის. პროექტმა პოტენციალი გაუხსნა ქვეყნებს შორის ახალი სამუშაო და სავაჭრო ურთიერთობების ჩამოყალიბებას:

- ყაზახეთმა, აზერბაიჯანმა და საქართველომ შექმნეს კომპანიას, რომელიც მართავს ტარიფების უნიფიცირებას და ტვირთების გადაზიდვას ჩინეთსა და ევროპას შორის. მისი მიზანია შემცირდეს მიწოდების დრო 15 – 19 დღიდან 10-15 დღემდე.[50]
- 2018 წელს ასტანაში გაიმართა ცენტრალური აზიის ხუთი ქვეყნის მეთაურთა, შეხვედრა, რომელიც სატრანსპორტო და სხვა სფეროებში თანამშრომლობას ეხებოდა.
- ყაზახეთმა 90000 ტონა ნედლი ნავთობი მიაწოდა გერმანიას სანქციებით გათავისუფლებული რუსული მილსადენის „დრუჟბას" სამხრეთ ფილიალში 2023 წლის თებერვალ-აპრილში, ჩაანაცვლა რუსული მიწოდება.[51]
- ყაზახეთმა ასევე მიაღწია შეთანხმებას აზერბაიჯანთან 2023 წლის დასაწყისში ყოველწლიურად 1,5 მილიონ ტონამდე ყაზახური ნავთობის გაგზავნის შესახებ სამხ. კავკასიის გავლით. მისი უმეტესი ნაწილი ევროპაში გაიგზავნება.
- 2023 წლის 25 მაისს, აშშ-ში დაფუძნებულმა Air Products-მა ხელი მოაწერა უზბეკეთთან მილიარდი დოლარის საინვესტიციო ხელშეკრულებას კაშკადარიაში ბუნებრივი გაზის გადამამუშავებელი ქარხნის ფლობის შესახებ.

---

[50] "Air Flights Increase and Trans-Caspian International Transport Route Development: 10 Documents Signed during Visit of Alikhan Smailov to Azerbaijan." Official Information Source of the Prime Minister of the Republic of Kazakhstan, 2023. https://primeminister.kz/en/news/air-flights-increase-and-trans-caspian-international-transport-route-development-10-documents-signed-during-visit-of-alikhan-smailov-to-azerbaijan-24512 [ბოლო ნახვა 28.06.2024]

[51] Abbasova V. "Kazakh President Says There's Potential to Raise Oil Supplies to Germany", Caspian News, 2023 https://caspiannews.com/news-detail/kazakh-president-says-theres-potential-to-raise-oil-supplies-to-germany-2023-6-2-58/ [ბოლო ნახვა 28.06.2024]

- აზერბაიჯანმა გააფორმა გაზის SWAP შეთანხმება ირანთან და თურქმენეთთან, რადგან მისი შიდა წარმოება არ არის საკმარისი საექსპორტო ვალდებულებების შესასრულებლად, მათ შორის ევროპაში.
- 2022 წლის იანვარში ვირტუალურ რეჟიმში გაიმართა ინდოეთ-ცენტრალური აზიის პირველი სამიტი. შეთანხმდნენ, რომ გააგრძელონ ჩართულობა მათი ქვეყნების სატრანზიტო და სატრანსპორტო პოტენციალის შემდგომი განვითარებისთვის, ლოგისტიკური ქსელის გაუმჯობესებასა და ერთობლივი ინიციატივების ხელშეწყობა რეგიონული და საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნების შესაქმნელად (დელის დეკლარაცია).
- 2020 წლის დეკემბერში გაიმართა ინდოეთის, ირანის და უზბეკეთის ერთობლივი სამუშაო ჯგუფის შეხვედრა ჩაბაჰარის პორტის გამოყენების შესახებ. მას შემდეგ იმართება საცდელი გაშვებები INSTC-ის გასწვრივ და, როგორც ჩანს, მარშრუტის გასწვრივ მდებარე ყველა ქვეყანა დაინტერესებულია შეთანხმების სწრაფი გაფორმებით.

თუმცა, ცენტ. აზიის ქვეყნებს მაინც განსხვავებულ პოლუსებთან სპეციფიური მიმართულებით უწევთ მუშაობა. ერთის მხრივ ისინი კომენტარს აკეთებენ რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის შესახებ, რათა დასავლური ქვეყნები მშვიდობიანი ურთიერთობის პროცესში დარჩნენ ჩართულნი, (მაგ. ყაზახეთმა და უზბეკეთმა გამოხატეს პატივისცემა უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის მიმართ), მაგრამ მათი პარტნიორობა რუსეთთან ძირითადად ხელუხლებელი რჩება. მათი ეკონომიკური, პოლიტიკური, თავდაცვითი და უსაფრთხოების კავშირები რუსეთთან ძალიან ფართოა იმისთვის, რომ მათ საერთო ურთიერთობებში ჯერჯერობით რაიმე მკვეთრ ცვლილებას ველოდოთ.

ჩინეთის მაქსიმალისტური გეოსტრატეგიული ხედვით „ახალი აბრეშუმის გზა" მოიცავს ექვს ძირითად ეკონომიკურ დერეფანს, რომლებიც შეძლებენ გააერთიანონ სრულიად ევრაზიული სახლელეთო თანამშრომლობა მის რეგიონებს შორის. ესენია:

1. ჩინეთი-მონღოლეთი-რუსეთის ეკონომიკური დერეფანი (CMREC): პრეზიდენტ სი ძინპინის მიერ შემოთავაზებული ეს დერეფანი მიზნად ისახავს „ერთი გზა, ერთი სარტყელის" ინიციატივის გათანაბრებას რუსეთის

წინადადებასთან ევრაზიული კავშირისა და მონღოლეთის სტეპის გზის პროგრამის შესახებ.

2. **ახალი ევრაზიის სახმელეთო ხიდი (NELB):** ეს საერთაშორისო გასასვლელი აკავშირებს წყნარ ოკეანესა და ატლანტიკას. ის ჩინეთის სანაპირო ქალაქებიდან (ლიანიუგანგი და რიჟაო) გადის როტერდამსა (ჰოლანდია) და ანტვერპენამდე (ბელგია), იგი გაივლის ყაზახეთს, რუსეთს, ბელორუსიას, პოლონეთსა და გერმანიას.

3. **ჩინეთი-პაკისტანის ეკონომიკური დერეფანი (CPEC):** მნიშვნელოვანი დერეფანი, რომელიც აკავშირებს ჩინეთის სინძიანის რეგიონს პაკისტანის გვადარის პორტთან. აძლიერებს ენერგეტიკულ და ეკონომიკურ განვითარება/თანამშრომლობას ორ ქვეყანას შორის.

4. **ჩინეთი-ცენტრალური და დასავლეთ აზიის ეკონომიკური დერეფანი (CCWAEC):** ეს დერეფანი მოიცავს ცენტრალურ აზიასა და დასავლეთ აზიას დერეფანი იწყება ჩინეთის სინძიანის რეგიონიდან და გადის ცენტრალურ აზიაში, სანამ მიაღწევს ყურეს, ხმელთაშუა ზღვას და არაბეთის ნახევარკუნძულს. ის კვეთს შუა აზიის ხუთ ქვეყანას (ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი და თურქმენეთი) და დასავლეთ აზიის 17 ქვეყანასა და რეგიონს (ირანის, საუდის არაბეთის და თურქეთის ჩათვლით).

5. **ჩინეთ-ინდოჩინეთის ნახევარკუნძულის ეკონომიკური დერეფანი (CICPEC)** - ეკონომიკური დერეფანი ვრცელდება ნანჩონ-გუანგანის ჩქაროსნული გზისა და ნანინგ-გუანჯოუს მაღალსიჩქარიანი რკინიგზა ნანინგის გასწვრივ. პინგსიანის გავლით კვეთს ჰანოისა და სინგაპურს. ეს სახმელეთო ხიდი აკავშირებს ჩინეთს ინდო-ჩინეთის ნახევარკუნძულთან გაივლის ვიეტნამს, ლაოსს, კამბოჯას, ტაილანდს, მიანმარს და მალაიზიას. მოსალოდნელია, რომ ეს გააძლიერებს ჩინეთის თანამშრომლობას ASEAN-ის ქვეყნებთან.

6. **ბანგლადეში-ჩინეთი-ინდოეთი-მიანმარის ეკონომიკური დერეფანი (BCIMEC):** ჩინეთმა და ინდოეთმა 2013 წლის მაისში გააჟღერეს. მის მიზანს ჩინეთისა და ინდოეთის, ორი უზარმაზარი ბაზრის დაკავშირება და რეგიონული ურთიერთკავშირის გაძლიერება წარმოადგენს. იმავე წელს ყველა მხარემ ხელი

მოაწერა ერთობლივ სასწავლო გეგმას, რამაც გამოიწვია ოთხ მთავრობას შორის თანამშრომლობის მექანიზმის ჩამოყალიბება.[52]

ეს პროექტები, „ახალი აბრეშუმის გზა“ და „ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტი“ და ა.შ. წარმოაჩენს ჩინეთის შორსმიმავალ გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ მისწრაფებებს გლობალურ დონეზე. მოცემული ევრაზიულ „ტელუროკრატიული“ სქემები, თავის მხრივ უპირისპირდებიან დასავლურ „თალასოკრატიულ“ გეოსტრატეგიულ ეკონომიკურ მოდელს. კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე ძირითადი ეკონომიკური და სავაჭრო-სასაქონლო გზები საზღვაო სივრცეზე გადიოდა. საკვანძო როლს ასრულებდა საკომუნიკაციოდ მნიშვნელოვანი ყურეებისა და სრუტეების კონტროლი. აქედან გამომდინარე, თუ ჩინეთის მიერ ინიცირებული პროექტები ხორცს შეისხამს, ისტორიაში პირველად ჩამოყალიბდება სრულყოფილი და ფართომასშტაბიანი სახმელეთო დერეფანი აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის. გლობალურ დონეზე მკვეთრად დაეცემა დასავლეთის სახელმწიფოთა საზღვაო ჰეგემონიის როლი, მსოფლიო ეკონომიკური ცენტრიც გადაინაცვლებს ევრაზიისკენ.

საბოლოო ჯამში მიუხედავად ჩვენს მიერ ჩამოთვლილი ინიციატივების უდიდესი პოტენციალისა, არცერთი მათგანი არ მოიცავს მის სივრცეში შემავალ სხვა სუვერენულ სახელმწიფოთა ინტერესებს და ხშირად ეწინააღმდეგება კიდეც მათ. თითოეული ეს მოდელი მიბმულია კონკრეტული გლობალური ან რეგიონალური აქტორის ვიწრო ინტერესების გატარება/დაკმაყოფილებაზე. შესაბამისად ისედაც რთულ სამხ. ევრაზიულ რეგიონში მსგავსი მიდგომებით საერთო ინტერესთა პროექტის შექმნა/შემუშავება წარმოუდგენლად რთული საქმეა. ამას გარდა მოცემულობას ემატება რეგიონში უკვე არსებული გამოწვევები: კონფლიქტური ზონები; საოკუპაციო პოლიტიკა; სასაზღვრო დავები; ავღანეთის ფაქტორი, მისგან მომავალი ასიმეტრიული/ტერორისტული საფრთხეები; ლტოლვილები და ა.შ. ამ წინააღმდეგომრივი პოზიციების გაღრმავებას, თავის მხრივ დასავლეთიც უწყობს ხელს. თუმცა აუცილებლად უნდა ვთქვათ, რომ „ახალი აბრეშუმის გზას“ და „ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტს“

---

[52] What are six major economic corridors under Belt and Road Initiative?, Xinhua Silk Road Information Service, 2020 - https://en.imsilkroad.com/p/312741.html [ბოლო ნახვა 28.06.2024]

გააჩნიათ იმის პოტენციალი, რომ მოიცვან სრულიად სამხ. ევრაზიული სახელმწიფოთა ინტერესები, გააერთიანოს ისინი ერთიანი გეოსტრატეგიულ და გეოეკონომიკურ სივრცეში, რისთვისაც საჭიროა ინტენსიური მუშაობა ინტერესთა საერთო სფეროების გამოვლენისა და მათი შეჯერების მიმართულებით.

## 2.3. ავღანეთის ფაქტორი და მისი გავლენა რეგიონში მიმდინარე არალეგალური მიგრაციის პროცესზე (case-study)

მიუხედავად უამრავი გამოწვევისა, ავღანეთში არსებული მიგრაციის პროცესზე ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას სასურსათო პროდუქტების დეფიციტი ახდენს. ეს პრობლემა ავღანეთისთვის ახალი არ არის და მას ღრმა ფესვები აქვს ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის დაწყებიდან. 2021 წლის აგვისტოში თალიბანის მოძრაობის ხელისუფლებაში მოსვლამ, კიდევ უფრო გაამწვავა ისედაც რთული მდგომარეობა სასურსათო უსაფრთხოებაში. შედეგად, გართულდა ვითარება შიდა და გარე მიგრაციის კუთხით. ქვეყანა მსოფლიოში ერთ-ერთი ლიდერია ხუთ წლამდე ასაკის ბავშვებში არასწორი კვებისა და განვითარების შეფერხების რეიტინგში. UNICEF-ის ცნობით, დაახლოებით 10 მილიონი ბავშვი საჭიროებს ჰუმანიტარულ დახმარებას გადარჩენისთვის. სავარაუდოა, რომ უახლოეს წლებში ეს რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება. ჰ. კარზაის (2004-2014 წწ.) და აშრაფ ღანის (2014-2021 წწ.) პრეზიდენტობის პერიოდში, საერთაშორისო სასურსათო დახმარების პროგრამების წყალობით მდგომარეობა გარკვეულწილად გაუმჯობესდა, მაგრამ თალიბანის მმართველობაში მოსვლამ, გარე დახმარების მიწოდება ძლიერ გაართულა. საერთაშორისო საზოგადოებამ თალიბანის მოძრაობის მხრიდან ფინანსური რესურსების ხელში ჩაგდების შიშით მილიარდობით ავღანური აქტივები გაყინა. თუმცა, 2022 წლის იანვარში ჰუმანიტარული კატასტროფის თავიდან ასაცილებლად ავღანეთისთვის 4,4 მილიარდი ევროს ოდენობით დახმარების აუცილებლობაზე მოხდა შეთანხმება გაეროს ინიციატივით. წამოწყებას აშშ შეუერთდა და გამოთქვა მზაობა ამ ინიციატივის ფარგლებში 300 მილიონი დოლარის გამოყოფის შესახებ. თავის მხრივ ყაზახეთმა ჰუმანიტარული დახმარების სახით 5000 ტონა ხორბლის ფქვილი გაგზავნა ავღანეთში. იმ ქვეყნების ჩამონათვალი, რომლებიც მზად არიან შეუერთდნენ მოცემულ ინიციატივას და

ავღანეთს გაუწიონ ჰუმანიტარული დახმარება, მომავალში შეიძლება კიდევ გაიზარდოს.

მთავარი გამოწვევა და რეალური პრობლემა მხოლოდ საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან ავღანეთის დახმარების არასაკმარის მასშტაბში არ მდგომარეობს. ის დაკავშირებულია ქვეყნის შიგნით მის განაწილებასთან. თუ თალიბანის რეჟიმამდე, ჰუმანიტარული დახმარების ქვეყნის შიდა გადანაწილება/გავრცელება ექვემდებარებოდა მნიშვნელოვან კრიტიკას, ისმოდა ბრალდებები კორუფციასა და დახმარების პროცესის ნაკლებ გამჭვირვალობაზე, 2021 წლიდან თითქმის ყველა საერთაშორისო ძალის გაყვანამ ავღანეთის ტერიტორიიდან ჰუმანიტარული დახმარების განაწილების კონტროლის ეს ნაკლოვანი სისტემაც ჩამოშალა. გლობალურ დონეზე შეიქმნა პარადოქსული სიტუაცია:

1. *ჩამოყალიბდა მკაფიო სურვილი/გაგება ავღანეთის სურსათით მომარაგებისა და სამედიცინო დახმარების გაწევის აუცილებლობის შესახებ;*
2. *გაჩნდა შესაძლებლობა იმისა, რომ დროებით მაინც მოხერხდეს ჰუმანიტარული კატასტროფის თავიდან აცილება და მოხდეს მიგრაციის ახალი ტალღების წარმოშობის განეიტრალება, მათ შორის დასავლეთის ქვეყნებში.*
3. *გამოიკვეთა გარკვეული რისკი/შიში იმისა, რომ თალიბანი ჰუმანიტარულ დახმარებას გამოიყენებს საკუთარი მიზნების მიღწევისთვის და განაწილების არაგამჭვირვალობა მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება.*

სურსათის პრობლემას, უსაფრთხოების პრობლემებთან ერთად, თან ერთვის ხარისხიანი განათლების, მედიცინის, და ა.შ. ხელმიუწვდომლობაა, რაც მოსახლეობის დიდ ნაწილში ქვეყნის დატოვების სურვილს აღძრავს. საფრთხეების გათვალისწინებით პოტენციური მიგრანტების რაოდენობა მილიონებს აღწევს. ყველაზე მძიმე მდგომარეობაში ამ მხრივ ავღანეთის მოსახლეობის ყველაზე დაუცველი ჯგუფები იმყოფებიან - ქალები და ბავშვები. Human Rights Watch-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ შვიდ თვეზე ნაკლებ დროში თალიბებმა დახურეს საშუალო სკოლები გოგონებისთვის, შექმნეს ბარიერები უმაღლესი

განათლებისთვის და ქალების უმეტესობას აეკრძალა მუშაობა.[53] გაუქმდა ქალთა საკითხთა სამინისტრო. ქალებს ქვეყნის მარტო დატოვება აეკრძალათ.

პრობლემის სრულფასოვნად გაანალიზებისთვის აუცილებლად უნდა განვიხილოთ ავღანეთის დემოგრაფიული ფაქტორიც. თითქმის ნახევარსაუკუნოვანი ომის რეჟიმში ცხოვრების მიუხედავად, ავღანეთის მოსახლეობა 1980-2022 წლებში, 15 მილიონიდან თითქმის 41 მილიონამდე გაიზარდა. 2050 წლისთვის კი მოსალოდნელია კიდევ 77%-იანი ზრდა.[54] მონაცემები მეტყველებს იმაზე, რომ შეზღუდული ომების რეჟიმი, ავღანეთს საერთოდ არ უშლის ხელს დემოგრაფიულ განვითარებაში, რომელიც თავის მხრივ უზარმაზარ პრობლემებს უქმნის თავად მას, ისედაც დანგრეული ეკონომიკის თითოეულ სექტორში. შრომის ბაზარზე ახალი მუშაკების განსათავსებლად ავღანეთს ყოველწლიურად 400 ათასი სამუშაო ადგილის შექმნა სჭირდება, რაც პრაქტიკულად დღევანდელ სიტუაციაში შეუძლებელია. მოსახლეობის დასაქმების მონაცემებიც საკმაოდ მძიმეა:

✓ 2 მილიონი ადამიანი, მუშაობს რვა საათზე ნაკლებს კვირაში ან არ აქვს სამუშაო და აქტიურად ეძებს მას. საშუალო და მაღალ ანაზღაურებად სამუშაოზე წვდომა, მხოლოდ ერთეულებს გააჩნიათ.

✓ 30 წლამდე ასაკის მოსახლეობის თითქმის ¾ (8 მილიონი ადამიანი), შრომის ბაზარზე წარმოდგენილია დაბალი განათლებით. უმუშევართა თითქმის ნახევარი 25 წლამდე ასაკის პირია (45,6%).

✓ ქალაქებში უმუშევარ ახალგაზრდებს შორის 54%-ს აქვს საშუალო ან უმაღლესი განათლება, სოფლად კი პირიქით, უმუშევარი მამაკაცი ახალგაზრდების 54%-ს არ აქვს ფორმალური განათლება, ხოლო 37%-ს წერა-კითხვის უცოდინარია.

მოცემული უკიდურესად მძიმე სიტუაციისა და მასშტაბური პრობლემების ფონზე ავღანეთში, ნებისმიერი ფორმით და სტატუსით ქვეყნის დატოვება/იმიგრაცია მილიონობით ავღანელისთვის ერთადერთ გამოსავლად არის

[53] Abbasi F. „Afghan girls' education: "I don't think I have a future", Human Rights Watch, 2021 https://www.hrw.org/news/2021/10/31/afghan-girls-education-i-dont-think-i-have-future [ბოლო ნახვა 28.06.2024]

[54] UN Office for the Coordination of Humanitarian Affairs (OCHA), Humanitarian needs overview - https://afghanistan.un.org/en/167753-afghanistan-humanitarian-needs-overview-2022 [ბოლო ნახვა 28.06.2024]

აღქმული. ავღანელ ლტოლვილთა ჯგუფი დღესდღეობით 2,6 მილიონ ადამიანს ითვლის მსოფლიოში. ევროკავშირში თავშესაფრის მოთხოვნის ყველაზე დიდი წილიც სწორედ მათ უკავიათ. მილიონობით ავღანელი მიიღო/შეიფარა პაკისტანმა და ირანმა, ავღანეთის ორმა უახლოესმა მეზობელმა. ჰუმანიტარული და პოლიტიკური კრიზისის შემდგომი გამწვავების ფონზე, სავარაუდოა, რომ ქვეყანას კიდევ უფრო მეტი ავღანელი დატოვებს. მათთვის სატრანზიტო ტერიტორიის ერთ-ერთი მიმართულებას ცენტრალური აზიის ქვეყნები წარმოადგენენ. ხშირად ეს ქვეყნები  ავღანელი იმიგრანტებისთვის მუდმივ საცხოვრებელ ადგილადაც ქცეულა. ასეთი მოცემულობა თავის მხრივ ახალ საფრთხეებს წარმოშობს და შესაძლოა დიდი პრობლემების წინაშე დააყენოს რეგიონის სხვა ქვეყნები. ეს პრობლემები არა მხოლოდ ლოჯისტიკურ, *(მიგრანტების მიღებისთვის მზადყოფნა, კარვების ბანაკების დროულად განლაგება და ა.შ.)*, არამედ მიმღებ ქვეყნებში რადიკალ-ისლამისტთა ჯგუფების პოტენციურ შეღწევასთან და მათი ეროვნული უსაფრთხოების დარღვევასთან არის დაკავშირებული.

2021 წელს სამშობლოს სამუდამოდ დატოვების მსურველთა რიცხვი რეკორდულ 53%-მდე გაიზარდა. თალიბების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოციალური პირობების გაუარესების გამო ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო იზრდება. ავღანელების სურვილის ზრდა, რომ დატოვონ თავიანთი ქვეყანა განსაკუთრებით შესამჩნევია ავღანელ მამაკაცებში, საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობაში. 2018 წლიდან 2021 წლამდე პერიოდში ემიგრაციის მსურველ მამაკაცთა პროცენტი გაიზარდა - 56%-მდე; საშუალოზე მაღალი განათლების მქონე პირთა - 62%-მდე; ქალების - 50%-მდე.[55] ავღანელების პოტენციური იმიგრაციის ქვეყნებს შორის ლიდერობენ: თურქეთი, გერმანია, კანადა და აშშ.

რეგიონალურ და საერთაშორისო აქტორებს/სუბიექტებს საკუთარი გეოპოლიტიკური თუ უსაფრთხოების სტრატეგიებიდან გამომდინარე განსხვავებული დამოკიდებულებები/მიდგომები აქვთ ავღანეთიდან მომავალი მიგრაციური საფრთხეების მიმართ:

---

[55] Ray J. “Taliban returns, majority of afghans seek an exit“, Gallup News, 2022 - https://news.gallup.com/poll/391499/talibanreturns-majority-afghans-seek-exit.aspx [ბოლო ნახვა 28.06.2024]

- **ცენტრალური აზიის ქვეყნები** - ავღანეთს პირდაპირი სახმელეთო საზღვრები აქვს თურქმენეთთან, უზბეკეთთან და ტაჯიკეთთან. თითოეულ მათგანს ხელი აქვს მოწერილი 1951 წლის ლტოლვილთა კონვენციასა და 1967 წლის ოქმზე. მიუხედავად ამისა, პოსტსაბჭოთა ქვეყნებისგან შემდგარმა კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციამ (CSTO), შეიმუშავა ერთიანი პოზიცია ავღანელი ლტოლვილების მიუღებლობის შესახებ და ჩაატარა საბრძოლო წვრთნები თავის საზღვრებზე ავღანელი ლტოლვილების გადაადგილების წინააღმდეგ. ყაზახეთის პრეზიდენტმა ქასიმ-ჟომარტ ტოკაევმა განაცხადა, რომ ის მხარს უჭერს CSTO-ს აკრძალვას. ყირგიზეთის პრეზიდენტმა სადირ ჟაპაროვმა წამოაყენა იდეა, რეგიონში **„უსაფრთხოების ქამრის“** შექმნის შესახებ, თითქოს პროცესების გარედან შესაძლო ხელყოფის საშიშროებიდან გამომდინარე.[56] ვლადიმერ პუტინმა გამოხატა თავისი წინააღმდეგობრივი პოზიცია ავღანეთის იმ მოქალაქეების ცენტრალურ აზიაში დროებით განსახლებასთან დაკავშირებით, რომლებსაც შეეძლოთ აშშ-სა და ევროპაში ვიზების მისაღებად განაცხადის გაკეთება. ნაწილობრივ რუსეთის ასეთი პოზიციის გამო, ტაჯიკეთმა, რომელმაც 100000-მდე ავღანელ ლტოლვილს დროებითი თავშესაფარი შესთავაზა, მოგვიანებით დათქმულზე ნაკლები ადამიანი მიიღო.
- **პაკისტანი** - ლტოლვილებს 1979 წელს საბჭოთა კავშირის ავღანეთში შეჭრის შემდეგ მასპინძლობს. ის არ არის შეერთებული არც 1951 წლის ლტოლვილთა კონვენციას და არც 1967 წლის ოქმს.[57] თუმცა, 1980-იანი წლებიდან ჩამოყალიბებული ეს ღია მიგრაციული პოლიტიკა მკაცრი შეზღუდვებით შეიცვალა. 2018 წელს პაკისტანის მთავრობამ ზეწოლა მოახდინა ავღანელებზე მათი კვლავ უკან დაბრუნების მიზნით. ქაბულის დაცემამდე პაკისტანის შინაგან საქმეთა მინისტრი ავღანელებს ბანაკებში დაპატიმრებით დაემუქრა. ყველა ავღანელს, რომელიც საზღვარს განმეორებით გადაკვეთდა აეკრძალებოდათ ქალაქებში შესვლა. 2021 წლის აგვისტოში ავღანეთის მთავრობის საბოლოო დამხობამდე ცოტა ხნით ადრე, პაკისტანმა დახურა საზღვარი ავღანეთთან. მოგვიანებით კი მხოლოდ

---

[56] Хакимов У. "Зачем нужен пояс безопасности вокруг Афганистана?", Central Asian Bureau for Analytical Reporting, 2022 - https://cabar.asia/ru/zachem-nuzhen-poyas-bezopasnosti-vokrug-afganistana [ბოლო ნახვა 28.06.2024]

[57] Convention (1951) and Protocol (1967) Relating to the Status of Refugees, UNHCR - https://www.unhcr.org/media/convention-and-protocol-relating-status-refugees [ბოლო ნახვა 28.06.2024]

რამდენიმე სასაზღვრო გამშვები პუნქტის მუშაობა აღადგინა, თუმცა სასაზღვრო გადაკვეთები ისევ მკაცრად არის შეზღუდული. იმ ავღანელებს, რომლებიც მოახერხებენ პაკისტანის საზღვრის უკანონოდ გადაკვეთას, დაკავება და დეპორტაცია ემუქრებათ. საჰაერო მოგზაურობისთვის ავღანელებს სჭირდებათ პასპორტი და პაკისტანის მოქმედი ვიზა, რომელიც მხოლოდ ორი თვის განმავლობაში მოქმედებს. ფრენები დღეში მხოლოდ 300 ადამიანზეა იყო დაშვებული, თუმცა ჯერჯერობით ფრენები სრულად შეჩერებულია. სახმელეთო გადაადგილებას რაც შეეხება, იგი მოითხოვს ავღანეთის სახიფათო რაიონებზე ასობით მილის გადალახვას.

➢ **ირანი** - ირანთან 600 მილი სიგრძის საზღვარს, რომელიც ძირითადად უდაბნოს წარმოადგენს, სხვა სასაზღვრო რაიონებთან შედარებით თალიბანის შეიარაღებული ფორმირებები შედარებით ნაკლებად პატრულირებენ. ადრე ავღანელები თავისუფლად კვეთდნენ საზღვარს ირანში სამუშაოდ. ახლა კი თალიბების მხრიდან რეპრესიების ან შიმშილის რისკის გათვალისწინების გარეშე ის ატარებს დოკუმენტების გარეშე დარჩენილი ავღანელების იძულებითი რეპატრიაციის პოლიტიკას. მოწყობილია ლტოლვილთა რამდენიმე ბანაკი. New Humanitarian-ის შეფასებით, მხოლოდ ირანიდან ავღანეთში რეპატრირებულ ავღანელთა საერთო რაოდენობა 2020 წელს 860000 იყო და მათ უმეტესობას არ გააჩნდათ დოკუმენტები. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის შეფასებით, ირანი ყოველ კვირას 20-30 ათასამდე ავღანელს ადეპორტებს. რეგისტრირებული ავღანელი ლტოლვილები მაშინვე უნდა დაბრუნდნენ უკან, როგორც კი ირანი იგრძნობს ავღანეთში სიტუაციის გაუმჯობესებას. თუმცა არ კონკრეტდება თუ რა კრიტერიუმებით მოხდება „სიტუაციის გაუმჯობესების“ შეფასება.[58] ეს არის ირანის კატეგორიული პოზიცია. მას ასევე აქვს ხელი მოწერილი 1951 წლის ლტოლვილთა კონვენციასა და 1967 წლის ოქმზე.

➢ **რუსეთი** - მოსკოვში ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირიდან მოყოლებული დიდი ავღანური დიასპორაა წარმოდგენილი (50000 ადამიანი). ძველ სასტუმრო „სევასტოპოლსა“ და მის გარშემო არსებული ტერიტორიაზე 8000 ადამიანამდე

---

[58] Bezhan F. "'We Don't Have A Choice: Thousands Of Afghans Fleeing Abroad Daily As Taliban Violence Soars", RFE/RL's Radio Azadi, 2021 - https://www.rferl.org/a/afghan-refugees-taliban-violence/31378092.html [ბოლო ნახვა 28.06.2024]

ცხოვრობს. სივრცე გადაკეთებულია სავაჭრო და ბიზნეს ცენტრებად. არეალზე დომინირებს ავღანური ბაზრობები და რესტორნები. მთლიანად რუსეთში კი 150 000 ავღანელი ცხოვრობს. უმეტესი მათგანი ავღანეთიდან 1989 წელს, საბჭოთა ჯარების გაყვანისა და 1990-იანი წლების სასტიკი სამოქალაქო ომის შემდეგ გაიქცა.[59] რუსეთი მასპინძლობს სიდიდით მესამე ავღანურ დიასპორას მსოფლიოში პაკისტანისა და ირანის შემდეგ. 2021 წლის თალიბანის ხელისუფლებაში მოსვლისას, რუსეთის მთავრობამ 1000 ავღანელისთვის ავღანეთიდან რუსეთში გადმოფრენა მოითხოვა.

- **ინდოეთი** - ისევე როგორც პაკისტანს, მასაც არ აქვს მოწერილი ხელი 1951 წლის ლტოლვილთა კონვენციასა და 1967 წლის ლტოლვილთა პროტოკოლზე. 2019 წლის მონაცემებით, ინდოეთმა მიიღო 10,000-ზე მეტი ავღანელი ლტოლვილი, თუმცა არსებობს გარკვეული მასალები იმის შესახებ, რომ მათზე, როგორც მუსლიმებზე ქვეყანაში თავშესაფრის შეთავაზების კუთხით, ადგილი აქვს საკმაოდ დიდ დისკრიმინაციას.
- **თურქეთი** - დიდი ხანია წარმოადგენს სატრანზიტო ან საბოლოო დანიშნულების ადგილს ავღანელი ლტოლვილებისთვის, რომლებიც მიემართებიან დასავლეთში. ოთხ მილიონზე მეტი სირიელის მიღების შემდეგ ანკარა არ გამოხატავს დიდ სურვილს მეტი ლტოლვილის შემოშვებასთან დაკავშირებით. თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა ცალსახად განაცხადა, რომ თურქეთი არ გახდება ევროპის „ლტოლვილთა საწყობი“. ამიტომ, ავღანელი ლტოლვილების ნაკადის გაზრდის საპასუხოდ, თურქეთმა გააძლიერა სასაზღვრო დაცვისა უსაფრთხოების ნორმები ირანთან. აშენდა ახალი კედლები და მავთულხლართის ღობეები, გაიზარდა საპატრულო ჯგუფების შემადგენლობა.
- **დასავლური დემოკრატიები** - ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს ლტოლვილებისა და მიგრანტების მიღებასთან დაკავშირებით განსხვავებული დამოკიდებულებები აქვთ. ამჟამად გამოცხადებულია დროებითი მორატორიუმი ავღანელი თავშესაფრის მაძიებლების დეპორტაციის შესახებ, რომელიც შემოღებულ იქნა ქაბულის დაცემამდე ცოტა ხნით ადრე. თალიბების მიერ ძალაუფლების მოპოვების შემდეგ, ევროკავშირის ქვეყნებმა ლტოლვილთა

---

[59] RFE/RL's Radio „Moscow's 'Little Kabul'“, 2017 - https://www.rferl.org/a/russia-afghan-community/28926962.html [ბოლო ნახვა 28.06.2024]

ევაკუაცია მოახდინეს და მას შემდეგ ევროკავშირის პოლიტიკა ფოკუსირებულია **„ლტოლვილთა ბანაკების მხარდაჭერაზე ავღანეთის მეზობელ ქვეყნებში“**, თუმცა თალიბანის რეჟიმის პირობებში ძალიან ცოტამ შეძლო მეზობელ ქვეყნებში გადასვლა, რომ არაფერი ვთქვათ ამ ქვეყნებში უსაფრთხო თავშესაფრის მოპოვებაზე. ბანაკებში არსებული ცუდი პირობები და რეპატრიაციის საფრთხე ავღანელებს კვლავ უბიძგებს ევროპის მიმართულებით გადაადგილებისკენ. ევაკუირებულთა რაოდენობები ქვეყნების მიხედვით: *გერმანია - 5347; იტალია – 5011; საფრანგეთი - 3000-ზე მეტი; ნიდერლანდები - 2500; ესპანეთი - 1898; შვედეთი, ბელგია, პოლონეთი და დანია - 900-დან 1400-მდე ადამიანი.* 2021 წლის დეკემბერში, ევროკავშირის თხუთმეტმა წევრმა რესპუბლიკამ თანხმობა განაცხადა 40000 ავღანელის მიღებასა და განსახლებაზე (გერმანია - 25 000 ადამიანი, ნიდერლანდები - 3159; ესპანეთი და საფრანგეთი - 2500-მდე).

- **დიდი ბრიტანეთი** - ბრიტანეთის მიერ დაწყებულმა **„ავღანელ ლტოლვილთა დახმარების პოლიტიკამ“** (ARAP) დიდი დახმარება გაუწია განსახლებაში მყოფ იმ ავღანელებს, რომლებიც მუშაობდნენ ბრიტანეთის სამხედრო ძალებთან ან სამთავრობო ჩინოვნიკებთან და იმყოფებოდნენ თალიბების მხრიდან რეპრესიების საფრთხის წინაშე. Pitting-ის ოპერაციის ფარგლებში, ბრიტანულმა სამხედრო ძალებმა აგვისტოს მეორე ნახევარში 15000 ადამიანის ევაკუაცია მოახდინა სამეფო საჰაერო ძალების ბაზაზე დიდ ბრიტანეთში.[60] 2021 წლის 18 აგვისტოს პრემიერ მინისტრმა ბორის ჯონსონმა ავღანეთის მოქალაქეთათვის დამატებითი განსახლების სქემა გამოაცხადა (ACRS), რომლის მიხედვითაც, გაერთიანებულმა სამეფომ პირობა დადო, რომ ქაბულის დაცემიდან ერთი წლის განმავლობაში მიიღებდა 5000, ხოლო შემდეგ 20000 ადამიანს განუსაზღვრელი ვადით. სქემა შემუშავებული იყო იმისთვის, რომ პრიორიტეტი მიენიჭებინა მათთვის, ვინც ავღანეთში დიდ ბრიტანეთთან ერთად მუშაობდნენ.

- **ამერიკის შეერთებული შტატები** - 2021 წლის აგვისტოდან მოყოლებული აშშ-მ უფრო მეტი ავღანელი ლტოლვილი დაასახლა თავის ტერიტორიაზე, ვიდრე ნებისმიერმა სხვა სახელმწიფომ. თუმცა, მნიშვნელოვანია განვასხვავოთ მათი

[60] Ministry of Defence of UK „Military operation established to support the drawdown of British nationals from Afghanistan“, 2021, https://www.gov.uk/government/news/military-operation-established-to-support-the-drawdown-of-british-nationals-from-afghanistan [ბოლო ნახვა 28.06.2024]

ევაკუირების ფორმები და სტრუქტურა: 1. ავღანელი ევაკუირებულები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სპეციალური სავიზო რეჟიმის შესაბამისად; 2. ადრე მოქმედი ლტოლვილების განსახლების პროგრამების მონაწილენი. ქაბულის დაცემის დროს შეერთებულ შტატებში შესვლის მსურველ ავღანელებს ორი ოფიციალური სავიზო გზა ჰქონდათ:

- **სპეციალური საიმიგრაციო ვიზა (SIV)** - შეიძლებოდა მიეღოთ ავღანელებს, რომლებიც მუშაობდნენ ამერიკულ შეიარაღებულ ძალებთან. ეს ეხებოდა დაახლოებით 50 000 ადამიანს.
- **ლტოლვილთა შეფასებითი განსახლების ვიზა** - თავისი სამი პრიორიტეტულობის დონის მიხედვით: ა) P1 - ცალკეული შემთხვევებისთვის, როდესაც არსებობს გადაუდებელი საჭიროება; ბ) P2 - სპეციალური ჰუმანიტარული ინტერესის ჯგუფებისთვის; გ) P3 - უკვე განსახლებული ლტოლვილების ოჯახის წევრებისთვის.

აგვისტოს დასაწყისში P2-ის უფლება შესთავაზეს ავღანელებს, რომლებიც უშუალოდ მუშაობდნენ აშშ-ს მთავრობაში ან წარმოადგენდნენ უშუალო კონტრაქტორებს აშშ-ს მთავრობის მიერ დაფინანსებული პროგრამებისთვის. ამან გააფართოვა დაახლოებით 200 000 ავღანელის უფლებები. თუმცა, P2 კანდიდატებს აცნობეს, რომ მათ შეეძლოთ განაცხადის შეტანა მხოლოდ ავღანეთის დატოვების შემდეგ, რაც თავის მხრივ მოითხოვდა მესამე ქვეყანაში შესვლის შესაძლებლობას.

ამ სისტემის უმეტესი ნაწილი პრაქტიკაში ქაბულის აეროპორტიდან ევაკუაციის შედეგად შევიდა. აგვისტოში შეერთებულმა შტატებმა დაახლოებით 82000 ავღანელის ევაკუაცია მოახდინა. ამ ჯგუფში შედიოდნენ აშშ-ს მოქალაქეები და ავღანელები, რომლებსაც უფლება ჰქონდათ SIV-ის კვალიფიკაცია. ასევე იყო ბევრი ისეთი ადამიანი ვინც ევაკუირებულ იქნა მათი მკაფიო სამართლებრივი სტატუსის დადგენის პროცედურის გარეშე. 250000 ავღანელი, რომელსაც უკვე გააჩნიათ აშშ-ის ვიზა, დღემდე რჩებიან ავღანეთში თალიბების ხელისუფლების ხაფანგში და ვერ ახერხებენ ქვეყნის დატოვებას. სექტემბრის შუა რიცხვებისთვის აშშ-ს ავღანელი ლტოლვილების რაოდენობა 37000-მდე გაიზარდა. 82000 ევაკუირებულიდან მხოლოდ 36821 ადამიანი იყო SIV-ის განმცხადებელი.

- **კანადა** - თავდაპირველად იყო დაფიქსირებული პირობა, რომ ის მიიღებდა 20000 ავღანელ ლტოლვილს, მაგრამ 2021 წლის სექტემბერში გამართული

საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ეს რიცხვი 40000-მდე გაიზარდა. ეს მაჩვენებელი შეგვიძლია შევადაროთ სირიელი ლტოლვილების განსახლების პროგრამას, რომლის ფარგლებშიც 2015 წლის ნოემბრიდან 2016 წლის ბოლომდე კანადამ 39636 ლტოლვილი მიიღო. 2021 წლის საპარლამენტო კამპანიის დროს, ტრუდოს ლიბერალურმა პარტიამ ასევე პირობა დადო ლტოლვილების განსახლებისთვის 350 მილიონი კანადური დოლარის გამოყოფის შესახებ. პროგრამას სახელმწიფოსთან ერთად კერძო სექტორიც აფინანსებს.

- **ავსტრალია** - ავსტრალიის ვიზებით, 2021 წლის აგვისტოს შემდეგ ქვეყანამ განხორციელდა 3200-ზე მეტი ავსტრალიის მოქალაქისა ავღანელი ლტოლვილის ევაკუაცია და დამატებით 3000-მდე ადამიანის მიღებაზე აცხადებს მზაობას. ავსტრალიის იმიგრაციის მინისტრმა განაცხადა, რომ მათ, ვინც ავსტრალიაში ჩავიდნენ დროებითი ვიზებით, ქვეყანაში დარჩენის უფლება ექნებათ მანამ, სანამ წარმოშობის ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობა არ შეიცვლება. მოგვიანებით, ავსტრალიის პრემიერ მინისტრმა სკოტ მორისონმა გააუქმა საწყისი 3000 კაციანი ლიმიტი და პირობა დადო, რომ არ შეზღუდავს ავღანელი ლტოლვილების მიღებას. განახლებული ლიმიტი 13750-მდეა გაზრდილი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამის პარალელურად საზღვაო გზით ჩამოსული თავშესაფრის მაძიებლების მიღების წინააღმდეგ სახელმწიფოს მკაცრი ზომები დააანონსა. ამ შეზღუდვების გამო, ბევრმა ავღანელმა ლტოლვილმა, რომლებიც გაიქცნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ვერ შეძლეს ავსტრალიის ტერიტორიაზე შესვლა.

დასკვნის სახით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ოცწლიანმა ომმა ავღანეთს მრავალი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა შეუქმნა: ბიუჯეტის დამოკიდებულება დასავლელი დონორების დახმარებაზე; საერთაშორისო რეზერვებზე წვდომის შეზღუდვა; ეკონომიკური იზოლაცია; დასავლური ფინანსური ინსტიტუტების რესურსებზე წვდომის შეჩერება; საბანკო სისტემის ნორმალური ფუნქციონირების ბლოკირება და ა.შ. თითოეული ეს პრობლემა კიდევ უფრო აღრმავებს არსებულ ჰუმანიტარულ კრიზისს ავღანეთში. საჭირო ადამიანური რესურსების, სახელმწიფო მმართველობისა და ტექნოლოგიური განვითარების სფეროში კომპეტენტური სპეციალისტების ნაკლებობა კი ქვეყნის მოდერნიზაციას კიდევ უფრო შეანელებს. აქედან გამომდინარე ავღანეთის პირდაპირი და ერთმნიშვნელოვანი მოქცევა იზოლაციაში გამოსავალი არ არის,

როგორც რეგიონული ისე გლობალური უსაფრთხოების კონტექსტში. თუკი მისი ჰუმანიტარული დახმარების საკითხი ჩრდილში დარჩება, მოხდება მისი პოლიტიზირება და გამოყენებულ იქნება როგორც ავღანეთზე ზეწოლის ინსტრუმენტი. შექმნილი პოლიტიკურ-ეკონომიკური სირთულეები, რომელთა წინაშეც დგას ავღანეთი, მაინც უნდა იქნას აღქმული, როგორც „შესაძლებლობის ფანჯარა" საერთაშორისო თანამეგობრობასა და თალიბებისთვის, რადგან ამ პრობლემების გადალახვას ისინი მხოლოდ ურთიერთთანამშრომლობით შეძლებენ. აუცილებლად წინასწარ უნდა მოხდეს განსაზღვრა იმ პირობების, რომელთა გარშემოც მოხდება ინტერესთა გაერთიანება.

ავღანელი მოსახლეობის მხარდაჭერის თემა, კიდევ აქტუალური იქნება შემდეგი ათწლეულების მანძილზე და მსოფლიო საზოგადოებას უნდა გააჩნდეს რეალისტური მოლოდინები. კარგად უნდა იქნას გააზრებული, რომ მსგავსი საერთო კოლაბორაციის პირობებშიც კი, ავღანეთის ჰუმანიტარული კრიზისის სტაბილურ ჩარჩოებში მოქცევასა და ეკონომიკური ზრდის კოეფიციენტის აღდგენას დიდი დრო დასჭირდება. განსაკუთრებული როლი და შესაძლებლობები დღევანდელ პირობებში ცენტრალური აზიის ქვეყნებს აქვთ. ყაზახეთი, როგორც პროაქტიული საგარეო პოლიტიკის მქონე სახელმწიფო, რომელსაც სასურსათო სფეროში თანამშრომლობის დიდი გამოცდილება აქვს, დიდი ვარაუდით გააგრძელებს და გაამყარებს ამ ურთიერთობებს ავღანეთთან. მაგრამ, რეალური შედეგის მისაღწევად ყაზახეთის ეს ძალისხმევა შერწყმული იყოს მთელი ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების მოქმედებებთან, რადგან ავღანეთის მძიმე კრიზისული სიტუაცია და მათ შორის მოსახლეობის პოტენციური მიგრაციის საფრთხე, მთლიანად რეგიონული უსაფრთხოების საკითხებს წარმოადგენენ. ჩვენ ამასთანავე არ შეგვიძლია თვალი დავხუჭოთ იმ მოცემულობაზეც, რომ ტერორისტული ჯგუფების წევრებმა ისწავლეს ლტოლვილთა ნაკადებში შერწყმა, საკუთარი ვინაობის დამალვა და მათ საფარქვეშ ქვეყნის დატოვება. მარტოხელა ტერორისტების ან ჯგუფების წევრების შეღწევის წინააღმდეგ ავღანეთში ამჟამად არანაირი კონტროლის მექანიზმი არ არსებობს, რაც ქმნის სხვა ქვეყნებში მათი შეღწევისა და ექსტრემისტული უჯრედების შექმნის საფრთხეს (პირველ რიგში, ცენტრალურ აზიაში). თუმცა მიგრაციული ნაკადების მთელს მსოფლიოში გაშლის

ფონზე ეს საფრთხეები შეგვიძლია გლობალური მასშტაბის გამოწვევად ჩავთვალოთ.

თალიბანის პირობა, რომ ის არანაირ ძალადობრივ შეტევას არ გეგმავს მომავალში, დარწმუნების საშუალებას არ გვაძლევს საფრთხეების არარსებობაში. ისეთი ისლამისტურ-ტერორისტული ჯგუფები, რომლებიც აკრძალულია ცენტრალური აზიის რიგ ქვეყნებში დღეს თალიბების გამარჯვებას ზეიმობენ. სირიასა და ერაყში ISIS-ის ბოევიკების დაშლის შემდეგ, ავღანეთი მათი ახალი დისლოკაციის ადგილი გახდა. The Soufan Center-ის ანგარიშის თანახმად, ცენტრალური აზიიდან სირიასა და ერაყში წასული ბოევიკების საერთო რაოდენობა 5 ათას ადამიანს აჭარბებს.

საერთაშორისოდ მიღებული თალიბების ლეგიტიმურ ხელისუფლებად არაღიარების პოლიტიკა რეალობის ადეკვატურია. ერთი ტერორისტული ორგანიზაციის აღიარება როგორც ქვეყნის ლეგიტიმური ხელისუფლებისა, ყველა დანარჩენი გაერთიანებისთვის იქნება სიგნალი პოტენციური აღიარების შესაძლებლობისკენ. ის გამოიწვევს ამ მომენტამდე ჯერ კიდევ მიწისქვეშეთში მოღვაწე რადიკალური ტერორისტული ორგანიზაციების უფრო მკაცრ და ძალადობრივ გააქტიურებას გლობალურ თუ რეგიონალურ დონეზე. მათ გაუმყარდებათ რწმენა: მათ შეუძლიათ იქცნენ ლეგიტიმური მთავრობად საკუთარ ქვეყანაში, რომელიც აღიარებული იქნებიან მსოფლიო საზოგადოების მიერ, თუ ისინი ძალადობრივი/ტერორისტული გზით შეძლებენ მოიპოვონ ძალაუფლება.

# დასკვნა

კვლევიდან გამომდინარე აშკარად იკვეთება, რომ სამხ. ევრაზიის რეგიონი 21-ე საუკუნის გეოპოლიტიკურ სივრცეში უმნიშვნელოვანესი ცვლილებების გზაგასაყარზე მდებარეობს. ერთის მხრივ მას საკვანძო ადგილი უკავია ჩინეთის აღმოსავლეთ-დასავლეთის, მეორეს მხრივ რუსეთის ჩრდილოეთი-სამხრეთის ტელუროკრატიული ევრაზიული დერეფნების კვეთაზე, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვანი გამოწვევა ხდება დასავლეთისთვის. ინიციატივების გარდა ძლიერდება და ფართოვდება აღმოსავლური თანამშრომლობითი ორგანიზაციები:

- **BRICS** – 2023 წლის აგვისტოში XV სამიტზე იოჰანესბურგში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, გაერთიანებაში დამატებით 6 ქვეყნის მოწვევის შესახებ - არგენტინა, ეგვიპტე, ირანი, ეთიოპია, საუდის არაბეთი და არაბთა გაერთიანებული საამიროები, რათა გახდნენ ბლოკის ახალი წევრები.
- **შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია** - 2023-ში ორგანიზაციის წევრი ირანი გახდა. ირანის პრეზიდენტმა ებრაჰიმ რაისმა ორგანიზაციის სამიტზე სიტყვით გამოსვლისას ეს გადაწყვეტილება ირანის „უსაფრთხოების, სუვერენიტეტისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარების პირობების გარანტად“ მოიხსენია.

აშშ-თვის და ზოგადად დასავლეთისთვის, აღმოსავლური ეკონომიკური, უსაფრთოების თუ სხვა რომელიმე ტიპის გაერთიანებების გაძლიერება, საფრთხეს წარმოადგენს მისი ინტერესებისთვის ინდო-წყნარი ოკეანის აუზში. გავლენების დაბალანსებისკენ მიმართულ მცდელობას, ამ აღმოსავლური გაერთიანებების წინააღმდეგ სამმხრივი უსაფრთხოების პარტნიორობა AUKUS-ი წარმოადგენს, თუმცა რეგიონული უსაფრთხოების ჭრილში რა ცვლილებების პროვოცირებას გამოიწვევს ავსტრალიის როლის ზრდა მომავალში რთულად პროგნოზირებადია.

მიგრაციის პროცესები, როგორც კვლევის მანძილზე არაერთხელ აღინიშნა, მგრძნობიარეა გეოპოლიტიკური ცვლილებებისა და კონფლიქტების მიმართ, სადაც პარტნიორთა/აქტორთა ძალაუფლებისა და გავლენის არეალი მუდმივად იცვლება. შესაბამისად <u>პირველ საკვლევ კითხვასთან</u> დაკავშირებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სახელმწიფოთა, ერთა და ეთნოსთა შორის ჩამოყალიბებული ისტორიული ურთიერთობები და წარმოდგენები, არ წარმოადგენენ ერთმნიშვნელოვან ფაქტორს არალეგალური მიგრაციის მოდელების ჩამოყალიბების პროცესში. კონფლიქტები

თუ ცვლილებები რეგიონში განიცდიან მუდმივ კორექტირებას. შესაბამისად ისე როგორც პირადი თუ ოჯახური უსაფრთხოების აღქმები, იმიგრირებისთვის სასურველი ლოკაციებიც განიცდიან მუდმივ ცვლილებას. პროფესორ ეკა ბერაიას აზრით - „მიგრაციამ, რომელიც ტრანსაციონალური საფრთხის ერთ-ერთ ღერძად ითვლება, კიდევ უფრო გაამდიდრა ასიმეტრიული საფრთხეები" *(იხ. დანართი #7).* მოცემული კვლევაც ადასტურებს ამ ტენდენციას, რადგან არალეგალური მიგრაციის ახალი დისლოკაციის კერების აღმოცენება და მათი მუდმივი ცვალებადობა სივრცეში, ართულებს მათგან მომავალი საფრთხეების წინასწარი იდენტიფიცირების შესაძლებლობებს.

სამხ. ევრაზიის რეგიონს, განსაკუთრებით პოსტ-ბიპოლარული პერიოდიდან საკმაოდ მძიმე მიგრაციული მეხსიერება აქვს. იგი ძირითადად დაკავშირებულია კონფლიქტებთან, დევნილობასთან, ეკონომიკურ სიდუხჭირესა და თვითგადარჩენის ინსტიქტთან. მისგან მიღებული შედეგია კრიმინალის ზრდა, ტრეფიკინგის ფართოდ გავრცელება, სოციალური დაძაბულობა, ტერორისტული და რადიკალური მოძრაობები, კორუფცია და ა.შ. თუმცა <u>მეორე საკვლევ შეკითხვასთან</u> დაკავშირებით, როგორც კვლევის პროცესში გამოიკვეთა უპირველესად არალეგალური მიგრაციის პრევენციას ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბება წარმოადგენს. ამ კუთხით ეროვნული/რეგიონული უსაფრთხოების დონეზე გამართული სასაზღვრო უსაფრთხოების როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომლის მოქმედებაც გამოწვევების შესაბამისად არის ინტეგრირებული სახელმწიფო სისტემაში. თავის მხრივ ის დაკავშირებულია ქვეყნის სტრატეგიული იდენტობიდან გამომდინარე დადგენილ საიმიგრაციო პოლიტიკის წარმოებასთან რაც მდგომარეობს იმაში, რომ არალეგალური მიგრაციისკენ მიდრეკილება, თუნდაც ფსიქოლოგიური განწყობა მის მიმართ იყოს არამომგებიანი პირველ რიგში თავად მიგრანტისთვის. შესაბამისად საზღვრების კვეთისთვის შემუშავებული ლეგალური გზები, შეიძლება იყოს მკაცრი, მაგრამ ამავე დროს მეტნაკლებად კონტროლირებადი და ხელმისაწვდომი მოსახლეობისთვის. მსგავსი რეგულაციების მატარებელი რეჟიმი გამოირჩევა მეტი ეფექტურობით. მეორე დონეს, არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების კუთხით - სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებები - წარმოადგენენ.

რაც შეეხება <u>მესამე საკვლევ კითხვას</u> რეგიონალური ინტეგრაციის მოდელების როლზე არალეგალური მიგრაციის გამოწვევების გადასაჭრელად, აქაც ერთმნიშვნელოვანი უსაფრთხოების რეცეპტი არ არსებობს. თუმცა სიღრმისეული ინტერვიუს ფორმატში გამოიკვეთა, გარკეულწილად ერთმანეთის შემავსებელი 2 ტენდენცია რომელთა შორის ბალანსზეც არის დამოკიდებული რეგიონალური ინტეგრაციის უსაფრთხო მოდელების შექმნა და პრაქტიკაში მათი დანერგვა: 1. პროფესორ ეკა ბერაიას აზრით - „არსებული მოდელები არალეგალური მიგრაციის საკითხთან დაკავშირებულ პრობლემებს სრულად ვერ გადაჭრის - ნაკლებ ეფექტურად მეჩვენება. მიუხედავად საერთაშორისო ორგანიზციების მჭიდრო თანამშრომლობისა რეგიონალურ ორგანიზაციებთან, ასეთი მცდელობაც კი ვერ შეიძლება აღქმულ იქნას  ეფექტურად, რადგან მიგრაციის მართვის ბერკეტები ფაქტიურად არ არსებობს ან ძალზედ რთულია. რეგიონალურ ორგანიზაციების როლი ძალზედ მნიშვნელოვანია ამ ნაწილში, რადგან ინფორმაციის გაზიარებას, სასაზღვრო ტერიტორიების კონტროლის გაძლიერებას და უსაფრთხოების ზომების დახვეწას ამ საქმეში დიდი წვლილი შეაქვთ.“ 2. ეკონომიკის დოქტორი და მიგრაციის საკითხთა ექსპერტი ციური ანთაძე კი აცხადებს: „ერთი რამ შეიძლება ჰიპოთეტურ დონეზეც ითქვას: პრაქტიკა ადასტურებს, რომ ადმინისტრაციულ და ძალისმიერ მეთოდებთან შედარებით უფრო მეტი ეფექტის მიღწევაა შესაძლებელი ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით, ვინაიდან, როგორც წესი, იგი ეფუძნება თანამშრომლობას ურთიერთსარგებლიანობის პრინციპს, თან ახლავს ადამიანებს შორის არა მარტო ეკონომიკური, არამედ სოციალური და კულტურული კავშირების განვითარება *(იხ. დანართი #7-8).*“ კვლევის ფარგლებში განხორციელებული ავღანეთის მაგალითის შესწავლიდან მიღებული შედეგები ასევე ადასტურებს იმას, რომ იზოლაცია, ჩაკეტილობა, ან იგნორირება საფრთხეებისგან თავის ასარიდებლად არ მუშაობს. საჭიროა კონსოლიდირებული ეროვნულ-რეგიონალური ხედვებისა და შესაბამისი ინტეგრაციის მოდელების შემუშავება. წინააღმდეგ შემთხვევაში მომავალში მივიღებთ მათი ვულკანური, ერთიანი ამოფრქვევის ეფექტს.

მიუხედავად ამისა, რეგიონალური ინტეგრაცის მოდელების საუკეთესო ჩარჩოებში განხორციელების შემთხვევაშიც კი პატარა სახელმწიფოები და მცირე ერები მაინც დიდი რისკის ქვეშ რჩებიან. საერთაშორისო ეკონომიკური კვანძების

თუ დერეფნები არალეგალურთან ერთად ლეგალური მიგრაციის პროცესის განვითარებასაც უწყობს ხელს, რაც იწვევს ქვეყანაში შერბილებული საიმიგრაციო პოლიტიკის ფორმირებას და ის ბუნებრივად თანმსდევ ეფექტს წარმოადგენს ნებისმიერი სახის ინდუსტრიული განვითარების შემთხვევაში. იმისათვის რომ ეს პროცესი არ გახდეს უმართავი და არ გარდაიქმნას ეროვნული თუ რეგიონული უსაფრთხოების გამოწვევად, სამხ. ევრაზიის ქვეყნებმა უნდა შეიმუშაონ საკუთარი ეროვნული თვითგადარჩენის კონცეფციები. პროცესის თვითდინებამ პირდაპირი ან ირიბი ზემოქმედებების ფონზე, შეიძლება უნებლიედაც წარმოშვას დემოგრაფიული დისბალანსის საფრთხე. ჰუმანიტარული და კულტურული ექსპანსიის ფონზე გარდაუვალი გახდება საერთო ეთნიკურ-რელიგიური რუკის ცვლილება ან ეთნიკური „ჩანაცვლება“, პასიური გავლენისა კერების წარმოქმნა და დემოგრაფიული კრიზისის თავიდან არიდება.

ნებისმიერი სახელმწიფო მსგავსი სახის გამოწვევების გადალახვის პროცესში დგება 3 ძირითადი პრობლემის გადაჭრის წინაშე, რომლების პირდაპირპროპორციულობის პრინციპით ზემოქმედებენ ქვეყნის ჰუმანიტარულ უსაფრთხოებაზე:

1. **ე.წ. „ტვინების გადინება“** - ეს პრობლემა მუდმივად თანმდევია სახელმწიფოს ინსტიტუციონალური და სამეცნიერო-საგანმანათლებლო განვითარების. რაც უფრო მსუბუქდება სასაზღვრო რეგულაციები და სავიზო შეზღუდვები, რაც უფრო იზრდება მოსახლეობის/საზოგადოების განათლების და პროფესიონალიზმის დონე სხვადასხვა სპეციალობებში, მით უფრო იზრდება მათი მოთხოვნა საერთაშორისო შრომით ბაზარზე. მსგავსი ფორმა მართალია, ძირითადად ლეგალურ ხასიათს ატარებს, თუმცა საფრთხისშემცველად რჩება წარმოშობის ქვეყნისთვის, რადგან მისი პროფესიული ადგილი წარმოშობის ქვეყანაში ცარიელი რჩება. ამ სიცარიელის ამოვსება კი აუცილებლად ხდება, მხოლოდ მას იკავებენ დაბალი კვალიფიკაციის კადრები რაც ამცირებს ზოგადად ქვეყნის განვითარების შესაძლებლობებს.
2. **ინდუსტიული მიდევნება** - იმისათვის, რომ „ტვინების გადინება“ შემცირდეს და მოექცეს ნორმის ფარგლებში, მათი განვითარების ტემპს ქვეყნის ინდუსტიული განვითარებაც უნდა მისდევდეს. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ მოხდეს მათში არსებული ინტელექტუალური თუ პროფესიული პოტენციალის ადგილზე, სამშობლოში გამოყენება და დახარჯვა. რათქმა უნდა ეს არ გულისხმობს იმას, რომ

მოხდეს იზოლაცია და ჩაკეტილობა, პირიქით გარკვეული დროით, შეიძლება რამოდენიმე წლითაც ქვეყნის დატოვება შესაძლოა ემსახურებოდეს საკუთარი ქვეყნის პოტენციალისა და განვითარების საქმეს.

3. **ინტეგრაცია** - ნებისმიერ შემთხვევაში გარკვეული ტიპის იმიგრაცია/ემიგრაცია სრულიად მისაღები და სასარგებლოც კი არის ერი სახელმწიფოებისთვის. მისი პრობლემატურობა განსაკუთრებით სახიფათო მაშინ ხდება, როცა ის იმიგრაციული პოლიტიკის პრიორიტეტი ხდება. ქვეყნების მიხედვით არსებობს ინტეგრაციის დადებითი (გერმანია, კანადა, შვეიცარია, სინგაპური, მალაიზია) და უარყოფითი (რუანდა, ერაყი, მიანმარი, შრი-ლანკა) მაგალითებიც. ჩვენს მიერ განხილული ავღანეთის მაგალითი ასევე მიუთითებს იმაზე, დევნილთა მიმღები სახელმწიფოების მიგრაციული პოლიტიკის მთავარი იდეა, მათი უკან სამშობლოში დაბრუნებაა და არა მათი საკუთარ საზოგადოებაში ინტეგრაცია. მუდმივი საცხოვრებლის გადაცემას ისინი ლტოლვილთა მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილისთვის განიხილავენ, ისიც დროში მკაცრად გაწერილი ფორმატით. ინტეგრაციის პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს სახელმწიფოებრივი აზროვნების ნორმებსა და ეროვნული ინტერესებით განსაზღვრულ სტანდარტებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ შეძლებს მიგრაციის პროცესუალურ მართვას. ინტეგრაციული რეჟიმის პრაქტიკაში დანერგვა, განსაკუთრებით მცირე მოსახლეობის მქონე სახელმწიფოებისთვის უნდა ჩამოყალიბდეს როგორც უკიდურესი ფორმა, სპეციფიურ გარემოებებში გამოყენებისთვის.

რაც შეეხება ჰიპოთეზებს, პირველი ჰიპოთეზა გულისხმობდა ხანგრძლივი კონფლიქტის ისტორიის მქონე რეგიონებში მოსახლეობის გადაადგილების უფრო მაღალ დონეს და არალეგალური მიგრაციის განვითარებას, კვლევის შედეგად სრულიად დასტურდება. თუმცა არსებობს გარკვეული გარემოებები და ასპექტები, რომლებიც თავად წარმოშობის ქვეყნების პოლიტიკური რეჟიმების სახით გვევლინებიან როგორც დაბრკოლება და თავად ავითარებენ ქვეყნის შიდა დემოგრაფიულ კრიზისს.

ასევე კვლევის შედეგად დასტურდება მეორე ჰიპოთეზა, შესაბამისად სამხ. ევრაზიაში განვითარებული არალეგალური მიგრაციის მიმდინარე ტენდენციები პირდაპირ ზეგავლენას ახდენენ მის რეგიონულ უსაფრთხოებაზე, ცვლიან მის

სოციალურ-პოლიტიკურ სტაბილურობას, ავითარებენ და ზრდიან ტრანსსასაზღვრო კონფლიქტების განვითარების რისკებს.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. გაჩეჩილაძე რ. „ახლო აღმოსავლეთი. სივრცე, ხალხი, პოლიტიკა“, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2008, https://shorturl.at/emsHP [ბოლო ნახვა 28.06.2024]
2. გოგიჩაიშვილი პ. „ქართული წიგნი 1629-1929“, სახელგამი, თბილისი, 1929;
3. გოგოლაშვილი ლ. „კავკასიის გეოპოლიტიკური იდენტიფიკაცია და მისი რეგიონული უსაფრთხოების კონტურების პოლიტიკური ასპექტები 21-ე საუკუნეში“, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, 2022
4. დარჩია თ. ალავერდოვი ე. ოთხოზორია ნ. ლაცაბიძე ნ. - „მიგრაციული პროცესები თანამედროვე მსოფლიოში: გამოწვევები და პერსპექტივები“, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების აქტუალური პრობლემები, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი, 2019
5. თოფჩიშვილი რ. „კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა“, თსუ სახელმწიფო უნივერსიტეტი, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2007
6. ისმაილოვი ე. პაპავა ვ. - „ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიკის ნარკვევები“, კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი, თბილისი, 2007
7. ისმაილოვი ე. პაპავა ვ. - „ცენტრალური ევრაზია: ახლებური გეოპოლიტიკური გააზრება“, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2012
8. კობახიძე ი. „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“, ტ. 11, თბილისი, 1987
9. მაისაია ვ. გუჩუა ა. „ნატო და არასახელმწიფოებრივი აგრესიული რელიგიური ფაქტორები“, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, 2020
10. მაისაია ვ. „აბრეშუმის გზის" გეოპოლიტიკური განვითარების ისტორიული და თანამედროვე ასპექტები: ხედვა საქართველოდან“, 2017, კვირის პალიტრა, https://kvirispalitra.ge/article/38143-qabreshumis-gzisq-geopolitikuri-ganvitharebis-istoriuli-da-thanamedrove-aspeqtebi-khedva-saqarthvelodan/ [ბოლო ნახვა 28.06.2024]
11. მერმანიშვილი თ. “მიგრაციის როლი ევროკავშირის მოსახლეობის ფორმირებაში”, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2021

12. სულაბერიძე ა. სულაბერიძე ვ. გომელაური ნ. - „მოსახლეობის მიგრაციის აქტუალური პრობლემები საქართველოში“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2018
13. ჩაჩხიანი ა. "შტრიხები სომხეთის გასაბჭოების ისტორიისთვის", რუსეთის ექსპანსია კავკასიაში და საქართველო, 2023; https://gfsis.org.ge/files/library/pdf/Geo-3461.pdf [ბოლო ნახვა 28.06.2024]
14. ჩიქობავა ა. „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“, ტ. #5, თბილისი, 1980, გვ. 69
15. ფეიქრიშვილი დ. „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავების მექანიზმები სამხრეთ კავკასიის რეგიონის აქტორების მაგალითზე“, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, 2023
16. ჯმუხაძე გ. "მიგრაციული პროცესები საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდან დღემდე", ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2019;
17. Abbasi F. „Afghan girls' education: "I don't think I have a future", Human Rights Watch, 2021 https://www.hrw.org/news/2021/10/31/afghan-girls-education-i-dont-think-i-have-future [ბოლო ნახვა 28.06.2024]
18. Abbasova V. "Kazakh President Says There's Potential to Raise Oil Supplies to Germany", Caspian News, 2023 https://caspiannews.com/news-detail/kazakh-president-says-theres-potential-to-raise-oil-supplies-to-germany-2023-6-2-58/ [ბოლო ნახვა 28.06.2024]
19. Alimbekov S. - Afghanistan and Taliban From Modernism to Archaicism, From Resistance to Recognition?“, Kazakhstan Journal of Foreign Studies, #1–2 (3–4), 2022;
20. Alrmizan M. "Turkish Foreign Policy in Central Asia in the Era of Erdoğan: The Convergence of Pan-Turkism, Pragmatism, and Islamism", King Faisal Center for Research and Islamic Studies, Dirasat, #64, 2022
21. Arango J. "Theories of International Migration", International in the new millennium, global Movement and Settlement, 2004;
22. Azizova A. Hovhannisyan A. Khutsishvili K. „3+3 ≠ 6 IN SOUTH CAUCASUS“, Goethe-Institut, 2022 - https://www.goethe.de/ins/ro/en/kul/sup/unp/22745686.html [ბოლო ნახვა 28.06.2024]

23. Bezhan F. "'We Don't Have A Choice': Thousands Of Afghans Fleeing Abroad Daily As Taliban Violence Soars", RFE/RL's Radio Azadi, 2021 - https://www.rferl.org/a/afghan-refugees-taliban-violence/31378092.html [ბოლო ნახვა 28.06.2024]
24. Black R. Jones L. Pantiru M.C. Sabates-Wheeler R. Skeldon R. Vathi Z. – „Understanding migration as a driver of poverty reduction in Europe and Central Asia", Development Research Centre on Migration, Globalisation and Poverty; University of Sussex, 2007
25. Blank S.J. „Central Asia After 2014", Strategic Studies Institute and U.S. Army War College Press, Carlisle, 2013
26. Braidotti R. „Nomadic Subjects", NewYork, Columbia University Press, 1994.
27. Celac S. Emerson M. Tocci N. "A Stability Pact for The Caucasus: A Consultative Document of the CEPS Task Force on the Caucasus", 2000 https://aei.pitt.edu/32563/1/2._A_Stability_Pact_for_the_Caucasus.pdf [ბოლო ნახვა 28.06.2024]
28. Dani, A.H. Masson V.M. "The Dawn of civilization, earliest times to 700 B.C.", History of civilizations of Central Asia, Vol. #1, Paris, UNESCO, 1992 https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000094466/PDF/094466eng.pdf.multi [ბოლო ნახვა 28.06.2024]
29. Erder S. "Düzensiz Göç, Göçmen Korkusu ve Çelişen Tepkiler", in Türkiye'ye Uluslararası Göç, Pusch, B-Wilkoszewski, T (Eds), Istanbul: KitapYayınevi, 2010
30. Hagen-Zanke J. "Why Do People Migrate? A Review of the Theoretical Literature", SSRN Electronic Journal, 2008 - https://core.ac.uk/download/pdf/6726677.pdf [ბოლო ნახვა 28.06.2024]
31. Harris J. R. Todaro M, P. „Migration, unemployment and development: a two sector model, American Economic Review", #60, 1970, - https://www.aeaweb.org/aer/top20/60.1.126-142.pdf [ბოლო ნახვა 28.06.2024]
32. Huysmans J. „The European Union and Securitization of Migration", Journal of Common Market Studies, Vol 60, #2;
33. Indeo F. "The concept of a "Greater Central Asia": perspectives of a regional approach", Central Asian Studies Institute, 2011;

34. Kaldor M. “New and Old Wars Organized Violence in a Global Era”, Stanford University Press; Stanford, California, 2012
35. Knight M. Chernova A. Tarasova D. "ISIS claims responsibility for attack at Moscow-area concert venue that left at least 60 dead", CNN, 2024 - https://edition.cnn.com/2024/03/22/europe/crocus-moscow-shooting/index.html [ბოლო ნახვა 28.06.2024]
36. Khurtsidze A. “Circular Labor Migration and Georgia: Experiences and Challenges”, Scientific Journal of Georgian National University SEU “Vectors of social Sciences”, #5, Tbilisi, 2023;
37. Kumar V. "Central Asia, the new corridor", Gateway House, 2023 - https://www.gatewayhouse.in/central-asia-the-new-corridor/#_ftn1 [ბოლო ნახვა 28.06.2024]
38. Koigeldiev M. “The Alash Movement and the Soviet Government: A Difference of Positions”, Empire, Islam, and Politics in Central Eurasia, Slavic Research Center, #14, 2007; https://src-h.slav.hokudai.ac.jp/coe21/publish/no14_ses/06_koigeldiev.pdf [ბოლო ნახვა 28.06.2024]
39. Laruelle M. „Russia’s Central Asia Policy and the Role of Russian Nationalism“, Central Asia-Caucasus Institute & Silk Road Studies Program, Washington, 2008
40. Laruelle M. „NEW VOICES FROM CENTRAL ASIA: Political, Economic, and Societal Challenges and Opportunities“, The George Washington University: Central Asia Program, VOL. 1, 2017
41. Lee E.S. “A Theory of Migration, Demography”, Vol. 3(1), 1966, pg. 47-57 - https://emigratecaportuguesa.wordpress.com/wp-content/uploads/2015/04/1966-a-theory-of-migration.pdf [ბოლო ნახვა 28.06.2024]
42. Makaryan S. Chobanyan H. - „Institutionalization of migration policy frameworks in Armenia, Azerbaijan and Georgia“, Journal “International Migration” (IOM), Volume #52, Issue #5, 2014;
43. Massey D.S. "Why Does Immigration Occur? A Theoretical Synthesis", The Handbook of International Migration: The American Experience, Russell Sage Foundation, New York, 1999

44. Maisaia V. "Three “Giants” Geoeconomic Wargame Over “Middle Transit Corridor”, Azerbaijan Today, 2024 - https://azerbaijantoday.az/2024/06/07/three-giants-geoeconomic-wargame-over-middle-transit-corridor/?fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTEAAR0_t4KNjB4k3M-TKpajfsSw_96WKB5rE3GsP_hA7nD9ZQuzdhYVw2C-qRg_aem_Aa4bZrRzQHR044v7HXzSTIw5xmQtsZur6R0ZzgAkLVBHp7h5mtJsWXT9Jv5MAuz8Y57fdqexr4lQeE437z9AmACU [ბოლო ნახვა 28.06.2024]
45. Mayer S. „Between Strategic And Material Interest Kazakhstan As A Stability Provider in Afghanistan“, Kazakhstan Journal of Foreign Studies, #1–2 (3–4), 2022, Pg. 20-31
46. Nyiri P. "The New Immigrant: State and Market Constructions of Modernity and Patriotism", 2004
47. Piore M. J. "Birds of Passage: Migrant Labor and Industrial Societies", Cambridge University Press, New York, 1979 - https://beckassets.blob.core.windows.net/product/readingsample/464593/9780521280587_excerpt_001.pdf [ბოლო ნახვა 28.06.2024]
48. Polk R.B. "Fourth Generation Warfare and Its Impact on the Army", School of Advanced Military Studies United States Army Command and General Staff College Fort Leavenworth, 2000 - https://apps.dtic.mil/sti/tr/pdf/ADA381853.pdf [ბოლო ნახვა 28.06.2024]
49. Ray J. “Taliban returns, majority of afghans seek an exit“, Gallup News, 2022 - https://news.gallup.com/poll/391499/talibanreturns-majority-afghans-seek-exit.aspx [ბოლო ნახვა 28.06.2024]
50. Rotberg R.I. "Failed States, Collapsed States, Weak States: Causes and Indicators", Causes and Indicators, World Peace Foundation, 2003;
51. Rosset D. Svarin D. - "The Constraints of the Past and the Failure of Central Asian Regionalism, 1991–2004", Slavica Publishers, Journal “Region Regional Studies of Russia Eastern Europe and Central Asia”, Volume 3, Number 2, 2014;
52. Rosenblum M.S. „US Immigration Policy Since 9/11: Understanding the Stalemate over Comprehensive Immigration Reform“, Migration Policy Institute, 2011;
53. Sagona A. G. „Archaeology at the North-East Anatolian Frontier“, Ancient Near Eastern studies #14, , Louvain [Belgium], Peeters Press, 2004;

54. Stark O. Taylor J.E. „Migration Incentives, Migration Types: The Role of Relative Deprivation“, The Economic Journal, Blackwell Publishing for the Royal Economic Society, Vol. 101, #408, 1991, - https://newdoc.nccu.edu.tw/teasyllabus/1102265813001/6_TheRoleOfRelativeDeprivationInMigration.pdf [ბოლო ნახვა 28.06.2024]
55. Tukumov Y. Abdreshev A. - „Intensification of Migration Processes in Afghanistan Under the New Taliban Regime“, Kazakhstan Journal of Foreign Studies, #1–2 (3–4), 2022;
56. Urda M. Shevelyova S. - "Migration policy and national security challenges in globalization conditions", Economic Annals – XXI (Економічний часопис – XXI): Volume 157, Issue 3-4(1), 2016;
57. Zlotnik H. "Emperical identification of International Migration Systems", International Migration: A Global Approach, Clarendon Press, 1992;
58. Брегель Ю. Э. „Хорезмские туркмены в XIX веке“, Издательство восточной литературы, Москва, 1961;
59. Дергачев В.А. „ГЕОПОЛИТИКА“, Издательство ВИРА-Р, Киев, 2000
60. ГИНИЯТОВ Ф.М. "ГЕОПОЛИТИКА", КАЗАНСКИЙ ФЕДЕРАЛЬНЫЙ УНИВЕРСИТЕТ, Казань, 2012;
61. Исамиддинов М. Х. „К вопросу о возникновении древнего города на Афрасиабе/Роль Самарканда в истории мирового культурного развития“, Ташкент-Самарканд, 2007;
62. Петрушевский И. П. „Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении“, Ленинград, 1949;
63. Хакимов У. "Зачем нужен пояс безопасности вокруг Афганистана?", Central Asian Bureau for Analytical Reporting, 2022 - https://cabar.asia/ru/zachem-nuzhen-poyas-bezopasnosti-vokrug-afganistana [ბოლო ნახვა 28.06.2024]

## ინტერნეტ რესურსები

- "Air Flights Increase and Trans-Caspian International Transport Route Development: 10 Documents Signed during Visit of Alikhan Smailov to Azerbaijan." Official Information Source of the Prime Minister of the Republic of Kazakhstan, 2023.

https://primeminister.kz/en/news/air-flights-increase-and-trans-caspian-international-transport-route-development-10-documents-signed-during-visit-of-alikhan-smailov-to-azerbaijan-24512. [ბოლო ნახვა 28.06.2024]

- „Belarus border crisis: How are migrants getting there?“, BBC News, 2021 - https://www.bbc.com/news/59233244 [ბოლო ნახვა 28.06.2024]
- Convention (1951) and Protocol (1967) Relating to the Status of Refugees, UNHCR - https://www.unhcr.org/media/convention-and-protocol-relating-status-refugees [ბოლო ნახვა 28.06.2024]
- „Guidelines for Integrated Border Management in European Commission External Cooperation“, ICMPD, 2015 - https://www.icmpd.org/file/download/48352/file/Guidelines%2520for%25 [ბოლო ნახვა 28.06.2024]
- Migration Outlook Eastern Europe and Central Asia, ICMPD, 2024 - https://www.icmpd.org/file/download/60848/file/ICMPD%2520Migration%2520Outlook%2520EECA%25202024.pdf [ბოლო ნახვა 28.06.2024]
- RFE/RL's Radio „Moscow's 'Little Kabul'“, 2017 - https://www.rferl.org/a/russia-afghan-community/28926962.html [ბოლო ნახვა 28.06.2024]
- The Treaty of Sèvres, 1920 (The Treaty of Peace between the Allied and Associated Powers and Turkey Signed at Sèvres August 10, 1920). https://www.dipublico.org/100760/the-treaty-of-sevres-  1920-the-treaty-of-peace-between-the-allied-and-associatedpowers-  and-turkey-signed-at-sevres-august-10-1920 [ბოლო ნახვა 28.06.2024]
- UN Office for the Coordination of Humanitarian Affairs (OCHA), Humanitarian needs overview - https://afghanistan.un.org/en/167753-afghanistan-humanitarian-needs-overview-2022 [ბოლო ნახვა 28.06.2024]
- What are six major economic corridors under Belt and Road Initiative?, Xinhua Silk Road Information Service, 2020 - https://en.imsilkroad.com/p/312741.html [ბოლო ნახვა 28.06.2024]

# დანართი

## დანართი #1. ეთნო-ლინგვისტური ჯგუფები კავკასიის რეგიონში




## დანართი #2. ეთნო-ლინგვისტური ჯგუფები ცენტრალური აზიის რეგიონში



## დანართი #3. ბერძნული კოლონიზაცია - ძვ. წ. VIII და VI საუკუნეებში




## დანართი #4. მონღოლთა შემოსევების მარშრუტები სამხ. ევრაზიაში



დანართი #5. სამხ. ევრაზია: მიგრაცია და უსაფრთხოება: SWOT Analysis




## #6. ინტერვიუ დარგის სპეციალისტებთან

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე განსახორციელებულ იქნა ინტერვიუები დარგის სპეციალისტებთან. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ დარგის სპეციალისტები, რომლებსაც გააჩნიათ აკადემიური და პრაქტიკული გამოცდილება მიგრაციის საკითხებთან და ასევე მუშაობენ საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების მიმართულებით. ასევე აქვთ საერთაშორისო პროექტებსა და კონფერენციებში მონაწილეობის გამოცდილება.

1) ინტერვიუ ეკა ბერაიასთან (ჩაწერილია 2024 წლის ივნისში)
2) ინტერვიუ ციური ანთაძესთან (ჩაწერილია 2024 წლის ივნისში)
3) ინტერვიუ ნიკოლა პოპოვიცთან (Nicola Popovic) (ჩაწერილია 2024 წლის ივნისში)

ინტერვიუს ფარგლებში დასმული შეკითხვები:

1. How have historical and geopolitical changes affected the formation of illegal migration patterns and their driving factors in the South Eurasian region? (როგორ

იმოქმედა ისტორიულმა და გეოპოლიტიკურმა ძვრებმა, სამხრეთ ევრაზიის რეგიონში არალეგალური მიგრაციის მოდელებისა და მათი მამოძრავებელი ფაქტორების ჩამოყალიბებაზე?)

2. What are the current trends of illegal migration in South Eurasia, and what is their role and impact on regional security? (როგორია არალეგალური მიგრაციის მიმდინარე ტენდენციები სამხ. ევრაზიაში, როგორია მათი როლი და გავლენა რეგიონულ უსაფრთხოებაზე?)

3. How effective are the existing models of regional integration of South Eurasia in solving the challenges of illegal migration and what is the role of regional cooperation in it? (რამდენად ეფექტურია სამხ. ევრაზიის რეგიონალური ინტეგრაციის არსებული მოდელები არალეგალური მიგრაციის გამოწვევების გადასაჭრელად და როგორია მასში რეგიონული თანამშრომლობის როლი?)

4. How does the Afghanistan factor play a role in the regional security of South Eurasia? (როგორია ავღანეთის ფაქტორი და მისი როლი სამხ. ევრაზიის რეგიონულ უსაფრთხოებაში?)

დანართი #7: ინტერვიუ ეკა ბერაიასთან

ეკა ბერაია - *ამერიკული კვლევების ასოცირებული პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი. 2018 წელს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში დაიცვა დისერტაცია თემაზე - „აშშ-ს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები ცივი ომის შემდგომ პერიოდში (1990-2016) აშშ-საქართველოს ურთიერთობების მაგალითზე: ტრანსნაციონალური საფრთხეებიდან (მათ შორის მიგრაცია) ინსტიტუციონალური ტრანსფორმაციის გაძლიერებამდე".*

- ✓ კითხვა/პასუხი I - ისტორიულ-გეოპოლიტიკურმა ცვლილებებმა სამხ. ევრაზიის რეგიონში საკმაოდ დიდი ცვილლებები გამოიწვია, ეს შესამჩნევად აისახა მიგრაციაზე, რადგან მოხდა არალეგალური მიგრაციის დამკვიდრება, ისევე როგორც მათი გამომწვევი ფაქტორების ჩამოყალიბება. საბჭოთა კავშირის დაშლამ, რეგიონში ეკონომიკურმა კრიზისმა, პოლიტიკური სიტუაციის არასტაბილურობამ, სიღარიბემ, შიდა არეულობებმა, კონფლიქტებმა არამარტო უფრო მეტად წაახალისა და გააძლიერა მიგრაცია, არამედ მის მამოძრავებელ

ძალადაც იქცა. ეს პროცესები ცენტრალური აზიის, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის მაგალითზე კიდევ უფრო მეტად შესამჩნევი გახდა პოსტ ცივი ომის პერიოდში. მიგრაცია, რომელიც ტრანსაციონალური საფრთხის ერთ-ერთ ღერძად ითვლება, კიდევ უფრო გაამდიდრა ასიმეტრიული საფრთხეები. გამოიკვეთა ადამიანთა ტრეფიკინგისა და არალეგალური მიგრაციის მეტი გზა, მეტი შემთხვევები, რადგან ამ გზით მიგრანტებს უკეთესი ცხოვრების შანსი უფრო ადვილად ეძლეოდათ.

- ✓ **კითხვა/პასუხი II - სამხ. ევრაზიაში არალეგალური მიგრაციის მიმდინარე სურათი გვაჩვენებს ტენდენციას მიგრანტთა მუდმივი და მზარდი ნაკადისა.** რასაკვირველია ეს გამოწვეულია ეკონომიკური სირთულეებითა და კონფლიქტების სიმძაფრისაგან, რომლებიც სხვადასხვა ტიპის დისკრიმინაციით არის განპირობებული. მიგრაციის ასეთი აღზევება ზრდის კრიმინალური შემთხევების ზრდას, აფართოებს მათ ქსელებს, ხელს უწყობის ტრეფიკინგის ფართოდ გავრცელებას. რეგიონალური თვალსაზრისით, ასეთი ტენდენციები საწინდარი ხდება სოციალური დაძაბულობის, ტერორიზმის შემთხვევების გამოვლინების, ორგანიზებული დანაშაულების საფრთხის არსებობისა და ეკონომიკურ-პოლიტიკური სტაბილურობის რყევით პროცესების განვითრებისა, ისევე როგორც მიგრანტთა ინტეგრაციის ნაკლებობა - რომელიც დამატებით გამოწვევად შემიძლია დავასახელო, რაც რეგიონალური უსაფრთხოების მხრივ საკმაოდ დიდ პრობლემად მეჩვენება.
- ✓ **კითხვა/პასუხი III** - ალბათ შემიძლია თქვა რომ არსებული მოდელები არალეგალური მიგრაციის საკითხთან დაკავშირებულ პრობლემებს **სრულად ვერ გადაჭრის** - ნაკლებ ეფექტურად მეჩვენება. მიუხედავად საერთაშორისო ორგანიზციების მჭიდრო თანამშრომლობისა რეგიონალურ ორგანიზაციებთან, ასეთი მცდელობაც კი ვერ შეიძლება აღქმულ იქნას ეფექტურად, რადგან მიგრაციის მართვის ბერკეტები ფაქტიურად არ არსებობს ან ძალზედ რთულია. რეგიონალურ ორგანიზაციბის როლი ძალზედ მნიშვნელოვანია ამ ნაწილში, რადგან ინფორმაციის გაზიარება, სასაზღვრო ტერიტორიების კონტროლის გაზლიერებისა და უსაფრთხოების ზომების დახვეწის საქმეში დიდი წვლილი შეაქვთ. თუმცა ცალკეული ქვეყნების განსხვავებული ხედვები და ინტერესები, ისევე როგორც კრიზისის მართვის განსხვავებული ბერკეტები კიდევ უფრო

ართულებს საქმეს. ვფიქრობ, ერთიანი პლატფორმის შექმნა, გაუმჯობესებული კოორდინაცია უსაფრთხოების გაძლიერებას მნიშვნელოვნად განავითარებს.

- ✓ **კითხვა/პასუხი IV - ავღანეთის ფაქტორი პირდაპირ კავშირშია სამხ, ევრაზიის უსაფრთხოების საკითხებზე.** ქვეყანაში არსებული შიდა კონფლიქტები, ტერორისტული დაჯგუფებები და მათი საქმიანობა, პოლიტიკურ-ეკონომიკური არასტაბილურობა კიდევ უფრო ამძაფრებს უსაფრხოების რისკების არსებობას მეზობელ ქვეყნებში. ამ ქვეყნიდან მომავალი საფრთხეები ასევე უკავშირდება მიგრაციის ფართო მასშტაბებსა და ნარკოტრეფიგინგს, რაც უმნიშვნელოვანეს ფაქტორად მიმაჩნია, რადგან ისინი პირდაპირ ახალისებენ კრიმინალურ მოძრაობებს და ხელს უწყობენ მათი ქსელების გაფართოვებას. ამიტომ კიდევ ერთხელ ვიმეორებ რეგიონალური თანამშრომლობისა და კოლაბორაციის გამძლავრება სამხ. ევრაზიის უსაფრხოების საკითხების დარგულირების ბერკეტად მიმაჩნია.

დანართი #8: ინტერვიუ ციური ანთაძესთან

**ციური ანთაძე** - *ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) ყოფილი ექსპერტ/ტრენერი მიგრაციის საკითხებში, მიგრაციის სფეროს დამოუკიდებელი ექსპერტი.*

- ✓ **კითხვა/პასუხი I** - სამხრეთ ევრაზიის რეგიონში ისტორიულად და გეოპოლიტიკურად განპირობებული ხშირი კონფლიქტები და არასტაბილური პოლიტიკური სიტუაცია, ცხადია, გავლენას ახდენს მოსახლეობის ტერიტორიულ გადაადგილებაზე და ზრდის მიგრაციის ინტენსივობას. საომარი მოქმედებები თუ პოლიტიკური არასტაბილურობა განაპირობებს იძულებით, სტიქიურ მიგრაციას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე რეგიონისა და საერთაშორისო მასშტაბით. ამასთან, მიგრაცია ხდება არამარტო თავშესაფრის მიღების მიზნით, არამედ საარსებო წყაროების მოპოვების მიზნითაც. ეს უკანასკნელი განპირობებულია იმით, რომ საომარი თუ პოლიტიკური პროცესების გამო, როგორც წესი, მკვეთრად უარესდება კონკრეტულ ქვეყანასა და რეგიონში არსებული ეკონომიკური გარემოც, რაც ხელს უწყობს არალეგალური შრომითი მიგრაციის გაზრდას.

- **კითხვა/პასუხი** II - როგორც ავღნიშნე, სამხრეთ ევრაზიის რეგიონში არსებული არასტაბილური გარემო ხელს უწყობს მოსახლეობის მიგრაციას როგორც რეგიონის, ისე საერთაშორისო მასშტაბებით და იგი ძირითადად არალეგალური ხასიათისაა, ვინაიდან რეგიონში ნაკლებად არის განვითარებული ლეგალური მიგრაციის სქემები და შესაძლებლობები. რაც შეეხება მიგრაციის გავლენას რეგიონულ უსაფრთხოებაზე, ცხადია, კონკრეტული ქვეყნების დონეზე ეს უკავშირდება როგორც არალეგალური მიგრაციასთან დაკავშირებულ რისკებს, ასევე ზრდის ტერორიზმის მხარდამჭერი ორგანიზაციებისა და აგენტურის ტერიტორიული განვრცობის რისკებსაც, რაც სერიოზული გამოწვევაა როგორც რეგიონის, ისე საერთაშორისო მასშტაბით.
- **კითხვა/პასუხი** III - „არალეგალური მიგრაციისა და მასთან დაკავშირებული რისკების შემცირების თვალსაზრისით ძალზედ მნიშვნელოვანია სამხრეთ ევრაზიის რეგიონალური ინტეგრაციის მიზნით შემუშავებული ინიციატივები (მაგ: კავკასიის რეგიონული თანამშრომლობის იდეა „3+3"; ცენტრალური აზიის "უსაფრთხოების ქამარი", რომელიც ავღანეთის "შემოღობვას" და სრულ იზოლაციას გულისხმობს; „TRACECA"; ტრანს-კასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტი (TITR); "ახალი აბრეშუმის გზა" და სხვ.), თუმცა რამდენად ეფექტიანია ეს ინიციატივები, ამის შეფასებას სპეციალური კვლევები სჭირდება. ერთი რამ შეიძლება ჰიპოთეტურ დონეზეც ითქვას: პრაქტიკა ადასტურებს, რომ ადმინისტრაციულ და ძალისმიერ მეთოდებთან შედარებით უფრო მეტი ეფექტის მიღწევაა შესაძლებელი ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით, ვინაიდან, როგორც წესი, იგი ეფუძნება თანამშრომლობას ურთიერთსარგებლიანობის პრონციპს, თან ახლავს ადამიანებს შორის არა მარტო ეკონომიკური, არამედ სოციალური და კულტურული კავშირების განვითარება.
- **კითხვა/პასუხი** IV - ავღანეთის ფაქტორი საკმაოდ მძიმე და მრავალასპექტიანია. შესაბამისად, ამ ფაქტორის დადებითი პოტენციალის განსაზღვრა და გამოყენების შესაძლებლობების გაძლიერება უნდა იყოს როგორც რეგიონის, ისე საერთაშორისო მასშტაბით ზრუნვის ობიექტი. საჭიროა არა მისი იზოლაცია, არამედ მასთან ეკონომიკური თანამშრომლობის შესაძლებლობების გაზრდა, საგანმანათლებლო და ჰუმანიტარულ პროცესებში ავღანელების ჩართვა,

დანარჩენ მსოფლიოსთან მათი ინტეგრაციის გაძლიერება. ვფიქრობ, ეს ყველაზე ეფექტიანი გზა იქნება იმ რისკების შესამცირებლად, რაც ე.წ. „ავღანეთის ფაქტორს“ უკავშირდება.“

დანართი #9: ინტერვიუ ნიკოლა პოპოვიცთან (Nicola Popovic)

**ნიკოლა პოპოვიცი** - *ბელგრადის უნივერსიტეტი იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, მიგრაციის საკითხთა ექსპერტი, წლების განმავლობაში მუშაობდა სერბეთის არალეგალური მიგრაციის საწინააღმდეგო საველე ჯგუფში.*

- ✓ **კითხვა/პასუხი I** - What is now considered a territory of the Republic of Serbia, but also the Balkan region as a whole has been affected by the migration for many centuries. This region was, due to its geopolitical and strategic importance between Asia and Europe, always a meeting spot for larger cultures i.e., the Ottoman Empire, Austrian-Hungarian Empire, and if we go even further into the past Byzantium Empire, etc. Belgrade, a capital city of Serbia, give or take a hundred kilometers through the period of time has been a border between the Ottoman and Austrian-Hungarian empires, and due to frequent skirmishes, but also wars between the two countries, this region was frequently affected by migration flows. Additionally, Serbia had several larger emigration waves, WW2 people who opposed communism fled the country, then during the 1960s and 1970s a lot of people left Serbia (and Yugoslavia in general) for Germany and other Western European countries, then during the 90s due to the conflict in the region, and lastly in the early 2000s due to poor conditions and global sanctions. Now to put things more into the current perspective and in the context of irregular migration – the outbreak of the war in Syria and the creation of the so-called Balkan Route put Serbia, and other Balkan countries in the spotlight of irregular migration. Through Turkey, Greece, N. Macedonia, Albania, and Bulgaria, people on the move have been reaching Serbia. Serbia was not their destination country, just a transit one, but an important one since it was the last step before they could get their countries of destination – most often Austria and Germany. However, between Serbia and Austria, the Hungarian, Romanian, and Croatian border controls were often very harsh, sometimes even impossible to pass by without the assistance of the smugglers, which

created such an environment where smuggling (even though occasionally overlapping, but considerably different than human trafficking) kept creating various patterns of irregular migration through Serbia. As challenges became more visible – such as the fence between Serbia and Hungary, border police violence was on the rise, and people on the move kept trying to reach Western European countries via various routes.

- ✓ კითხვა/პასუხი II - I haven't been actively involved in the topic of irregular migration for well over a year at the moment, however, to my knowledge – irregular migration in Serbia has been decreasing significantly for the last year and a half. There are still people on the move who are transiting through Serbia, but due to increased border violence, and border controls, the numbers have started decreasing. Additionally, Serbia, even though welcoming for the people on the move in the beginning, gradually became less welcoming, as the time spent in Serbia on average started increasing, and as the border controls in the EU became more severe and harsh towards the people on the move. This created an environment where a lot of criminal organizations placed their business on the border between Serbia and the EU countries (HU, CRO, RO) and started profiting off of the smuggling of humans. Oftentimes, the smuggling of humans involves the smuggling of narcotics and weapons. As for regional security, it's never a good thing to have such a strong presence of very influential criminal organizations who run very profitable businesses, since it can affect the security in various ways. Serbia and Hungary, but also other neighboring countries have frequently discussed and negotiated regarding the unofficial settlements in the bordering areas, and last year, after several incidents that involved hours-long shooting and required intervention from Serbian security forces, these unofficial settlements were dismantled, members of criminal organizations were arrested, and the people were placed in official state-run institutions for accommodation of people on the move. Gradually, the numbers started decreasing, as it became more difficult to reach EU countries via Serbia. State-run accommodation centers (Transit and asylum centers) are still available for people on the move in Serbia and are free of charge, but the lack of options when it comes to how to continue towards the EU countries has impacted the number of people on the move willing to use this route as a way towards their country of destination.

- ✓ კითხვა/პასუხი III - When the war in Syria broke out, a lot of refugees reached Turkey. Turkey, due to its law regulations allowed them to stay, but not many people were actually able to seek asylum and be officially recognized and protected as refugees. Turkey hosted a vast number of refugees, but still, a number of them wanted to move to countries where they would be more welcome. During 2015 and 2016, Serbia was on a route towards the Western European countries (namely Austria and Hungary), but Hungary and Croatia through various ways were welcoming people and allowing them to transit through their countries to reach the other countries. After the initial hospitality, Serbia and the EU have been working together in suppressing the irregular migration in the border areas. After the agreement between Turkey and the EU, the Balkan Route was officially closed, however, in practice, it remained actively used for irregular migration for several years. As of the latest, FRONTEX was present last year in the border areas of Serbia, patrolling, and Serbia had bilateral agreements with certain countries when it comes to cooperation within the police departments since German, Hungarian, and Italian police officers were seen jointly patrolling with Serbian police officers in Serbia in the border areas. As for the expulsion of the people from Hungary to Serbia who previously irregularly entered the country from Serbia, Serbian and Hungarian police officers also cooperated – as in, Hungarian police officers would expel the people and hand them over to the Serbian authorities. However, that was not always the case, since the fence between the two countries had gates that were not considered an official border crossing, and according to the witnessing accounts of the expelled people, they said these unofficial ways were used and people were expelled to Serbian territories, without the presence of the Serbian authorities. Cross-border meetings between the countries were frequent at the height of the so-called Balkan Route.
- ✓ კითხვა/პასუხი IV - Afghan refugees have been present in Serbia for almost a decade now. They usually were more sticking together and were separated from the migrants and refugees from the Arabic-speaking countries. Even in the sense of criminal organizations, Afghan smugglers and smugglers from Syria or Morocco often battled for the territory, which resulted in numerous shooting incidents in the border areas, even resulting in death tolls. Among Afghan refugees, there were a lot of unaccompanied and separated children (minors without any parental, or any other supervision), which

would place them at extremely high risks of various forms of exploitation – physical, sexual, forced to become smugglers, etc. There have been some very successful stories of Afghan refugees being integrated into Serbian society since some of these minors, who decided to seek asylum in Serbia, very successfully integrated into the country – started their businesses, went to University, graduated from schools, etc. However, these numbers aren't very high, since in practice, the majority of Afghans, but also other refugees from the Middle-east region actually only saw Serbia as a transit country and thus have not even applied for asylum in Serbia and went completely unnoticed, or just relatively noticed through their presence in the asylum and reception centers. The reasons they mostly noted as why they do not consider Serbia a country where they can stay long-term varied, but it was mostly due to them already having family members in some other countries, better living conditions, larger Afghan communities, very rarely stating that they felt unwelcome or threatened in Serbia.

*<u>თარგმანი:</u>*

- ✓ **კითხვა/პასუხი** I - ის, რაც ახლა განიხილება სერბეთის რესპუბლიკის ტერიტორიად, ისევე როგორც მთლიანად ბალკანეთის რეგიონი, მრავალი საუკუნის განმავლობაში განიცდიდა მიგრაციის პროცესს. ეს რეგიონი თავისი გეოპოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე აზიასა და ევროპას შორის ყოველთვის იყო უფრო დიდი კულტურების შეხვედრის ადგილი, ისეთებისა როგორიცაა ოსმალეთის და ავსტრია-უნგრეთის იმპერია, თუ კიდევ უფრო შორს წავალთ ბიზანტიის იმპერიისა და ა.შ. ბელგრადი, სერბეთის დედაქალაქი, დიდი პერიოდის მანძილზე წარმოადგენდა საზღვარს და ხშირი შეტაკებების მიზეზს ოსმალეთისა და ავსტრია-უნგრეთის იმპერიებს შორის. ამ ორ ქვეყანას შორის ომების გამო, ეს რეგიონი ხშირად განიცდიდა მიგრაციული ნაკადების გავლენას. გარდა ამისა, სერბეთს ჰქონდა რამდენიმე დიდი ემიგრაციის ტალღა: მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, ადამიანები რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ კომუნიზმს გაიქცნენ ქვეყნიდან; 1960-იან და 1970-იან წლებში უამრავმა ადამიანმა დატოვა სერბეთი (და ზოგადად იუგოსლავია) და გადავიდა გერმანიაში და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყანაში; 90-იან წლებში რეგიონში გადვითარებული კონფლიქტების გამო; ბოლოს 2000-

იანი წლების დასაწყისში მძიმე საცხოვრებელი პირობებისა და გლობალური სანქციების გამო. ახლა უფრო მეტად წარმოვაჩინოთ არსებული პერსპექტივა არალეგალური მიგრაციის კონტექსტში - სირიაში ომის დაწყებამ და ე.წ. **„ბალკანური მარშრუტის“** შექმნამ სერბეთი და ბალკანეთის სხვა ქვეყნები არალეგალური მიგრაციის ყურადღების ცენტრში მოაქცია. თურქეთის, საბერძნეთის, ჩრდილო მაკედონიის, ალბანეთისა და ბულგარეთის გავლით ადამიანთა გადაადგილდებოდნენ სერბეთში, თუმცა ის არ ყოფილა მათი დანიშნულების ქვეყანა. ის უბრალოდ უკანასკნელი სატრანზიტო ზღვარი, ბოლო ნაბიჯი იყო დანიშნულების ქვეყნებამდე - ყველაზე ხშირად ავსტრიასა და გერმანიაში. თუმცა, სერბეთსა და ავსტრიას შორის, უნგრეთის, რუმინეთისა და ხორვატიის სასაზღვრო კონტროლი ხშირად იყო ძალიან მკაცრი. ზოგჯერ კონტრაბანდისტების დახმარების გარეშე გავლა შეუძლებელი იყო, რამაც შექმნა ისეთი გარემო, სადაც კონტრაბანდა (თუმცა ხანდახან გადაფარვითი, მაგრამ მნიშვნელოვნად განსხვავდება ადამიანებით ვაჭრობისგან) აგრძელებდა არალეგალური მიგრაციის სხვადასხვა გზების შექმნას სერბეთის გავლით. როდესაც გამოწვევები უფრო თვალსაჩინო ხდებოდა - მაგალითად, როდესაც სასაზღვრო პოლიციის ძალადობა მატულობდა სერბეთსა და უნგრეთს შორის საზღვარზე, მოძრაობაში მყოფი ხალხი ცდილობდნენ სხვა მარშრუტებით დასავლეთ ევროპის ქვეყნებში გადასვლას.

- ✓ **კითხვა/პასუხი** II - არალეგალური მიგრაციის თემაში უკვე წელიწადზე მეტია აქტიურად არ ვარ ჩართული, თუმცა, როგორც ვიცი - არალეგალური მიგრაცია სერბეთში ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში საგრძნობლად იკლებს. ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც გადაადგილდებიან სერბეთის გავლით, მაგრამ გაზრდილი სასაზღვრო ძალადობისა და სასაზღვრო კონტროლის გამო, რაოდენობამ კლება დაიწყო. სერბეთი, მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად მიესალმებოდა კიდეც მოძრაობაში მყოფ ხალხს, თანდათანობით მათი განწყობები შეიცვალა. ამის მიზეზი გახდა ის, რომ ევროკავშირში სასაზღვრო კონტროლის მუდმივი გამკაცრების ფონზე, გაიზარდა მათი სერბეთში ყოფნის დრო/პერიოდი. ამან შექმნა გარემო, სადაც ბევრმა კრიმინალურმა ორგანიზაციამ გადმოიტანა თავისი ბიზნესი სერბეთსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის საზღვარზე (HU, CRO, RO). დაიწყო

ადამიანების კონტრაბანდისგან სარგებლობის მიღება. ხშირად ადამიანების კონტრაბანდა გულისხმობს ნარკოტიკების და იარაღის კონტრაბანდასაც. რაც შეეხება რეგიონულ უსაფრთხოებას, არასდროს არ არის სასარგებლო ძალიან მძლავრი და გავლენიანი კრიმინალური ორგანიზაციების არსებობა ქვეყნებში, რომლებიც მართავენ მომგებიან ბიზნესს. ამ სიტუაციამ სხვადასხვა გზით შეიძლება მოახდინოს გავლენა უსაფრთხოებაზე. სერბეთი და უნგრეთი, ისევე როგორც სხვა მეზობელი ქვეყნები ხშირად განიხილავდნენ და აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს მოსაზღვრე რაიონებში არაოფიციალურ დასახლებებთან დაკავშირებით და გასულ წელს, რამდენიმე ინციდენტის შემდეგ, რომელიც მოიცავდა საათობით სროლას და საჭიროებდა სერბეთის უსაფრთხოების ძალების ჩარევას, ეს არაოფიციალური დასახლებები დაიშალა. დააკავეს კრიმინალური ორგანიზაციების წევრები და გადაადგილებულები გადაიყვანეს სახელმწიფო ოფიციალურ დაწესებულებებში შემდგომი გადაადგილების მიზნით. რადგან სერბეთის გავლით ევროკავშირის ქვეყნებში გადასვლა გართულდა, სატრანზიტო მიგრანტთა ჯგუფებმა თანდათანობით კლება დაიწყეს. სახელმწიფო განსახლების ცენტრები (ტრანზიტისა და თავშესაფრის ცენტრები) ჯერ კიდევ ხელმისაწვდომია სერბეთში გადაადგილებული ადამიანებისთვის და არის უფასო. მაგრამ ვარიანტების ნაკლებობის გამო, როდესაც საქმე ეხება ევროკავშირის ქვეყნებისკენ სწრაფვას, მაინც რჩება ადამიანთა გარკვეული რაოდენობა, რომლებსაც სურთ გამოიყენონ ეს მარშრუტი, როგორც დანიშნულების ქვეყნისკენ გზა.

- ✓ **კითხვა/პასუხი** III - როდესაც სირიაში ომი დაიწყო, უამრავმა ლტოლვილმა მიაღწია თურქეთს. თურქეთმა, თავისი კანონმდებლობის გამო, მათ დარჩენის უფლება მისცა, მაგრამ რეალურად ბევრმა ვერ შეძლო თავშესაფრის მოპოვება და ლტოლვილის სტატუსის დაცვის ქვეშ მოქცევის ოფიციალურად აღიარება. თურქეთი მასპინძლობდა ლტოლვილთა დიდ რაოდენობას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ ნაწილს სურდათ გადასულიყვნენ უფრო სასურველ ქვეყნებში, სადაც მათი ცხოვრების პირობები უკეთესი იქნებოდა. 2015 და 2016 წლებში სერბეთი დასავლეთ ევროპის ქვეყნებისკენ (კერძოდ ავსტრიისა და უნგრეთის) მიმავალ გზაზე მდებარეობდა, მაგრამ უნგრეთი და ხორვატია სხვადასხვა გზებით ახერხებდნენ ამ ხალხისთვის, სხვა ქვეყნებში

გადასასვლელად სატრანზიტო საშუალების მიწოდებას თავიანთი ქვეყნების გავლით. თავდაპირველი მასპინძლობის შემდეგ, სერბეთი და ევროკავშირი ერთად მუშაობენ სასაზღვრო რაიონებში არალეგალური მიგრაციის აღკვეთაზე. თურქეთსა და ევროკავშირს შორის შეთანხმების შემდეგ, ბალკანეთის მარშრუტი ოფიციალურად დაიხურა, თუმცა, პრაქტიკაში, რამდენიმე წლის განმავლობაში იგი აქტიურად გამოიყენებოდა არალეგალური მიგრაციისთვის. ბოლო მონაცემებით, შარშან FRONTEX[i] იმყოფებოდა სერბეთის სასაზღვრო რაიონებში და პატრულირებდა. სერბეთს ჰქონდა ორმხრივი შეთანხმებები გარკვეულ ქვეყნებთან, როდესაც საქმე ეხებოდა პოლიციის განყოფილებებს შორის თანამშრომლობას, ვინაიდან გერმანელი, უნგრელი და იტალიელი პოლიციელები სერბეთის პოლიციის თანამშრომლები ერთად პატრულირებდნენ სერბეთის სასაზღვრო რაიონებში. რაც შეეხება უნგრეთიდან სერბეთში და პირიქით იმ ადამიანების გაძევებას, რომლებიც ადრე არარეგულარულად შემოდიოდნენ ქვეყანაში, სერბი და უნგრელი პოლიციის ოფიცრებიც ახორციელებდნენ მუდმივ თანამშრომლობას. თუმცა ეს ყოველთვის ასე არ იყო, რადგან ორ ქვეყანას შორის არსებულ სასაზღვრო გალავანს ჰქონდა კარიბჭეები, რომლებიც არ ითვლებოდა ოფიციალურ საზღვრის გადაკვეთად. განდევნილ მოწმეთა ცნობების მიხედვით მოხდა ამ არაოფიციალური გზების გამოყენება ხალხის სერბეთის ტერიტორიაზე გაძევებისთვის, სერბეთის ხელისუფლებასთან შეთანხმების გარეშე. ქვეყნებს შორის საზღვრისპირა შეხვედრები ხშირი იყო ე.წ. ბალკანური მარშრუტის სიმაღლეზე.

- ✓ **კითხვა/პასუხი** IV - ავღანელი ლტოლვილები სერბეთში უკვე თითქმის ათი წელია იმყოფებიან. ისინი, როგორც წესი ისინი იკვრებოდნენ ერთად, იმყოფებოდნენ განცალკევებულად სხვა არაბულენოვანი ქვეყნებიდან მიგრანტებისგან/ლტოლვილებისგან. ავღანელი კონტრაბანდისტები და კონტრაბანდისტები სირიიდან ან მაროკოდან ხშირად იბრძოდნენ ტერიტორიისთვის, რასაც მოჰყვა მრავალი შეიარაღებული დაპირისპირების ინციდენტი მოყვა სასაზღვრო რაიონებში. იყვნენ ასევე დაღუპულებიც. ავღანელ ლტოლვილებს შორის იყო უამრავი უპატრონო და მიტოვებული ბავშვი (არასრულწლოვნები მშობლის ან სხვა მეთვალყურეობის გარეშე), რაც მათ სხვადასხვა ფორმის და ტიპის ექსპლუატაციის უკიდურესად მაღალი რისკის

ქვეშ აყენებდა (ფიზიკური, სექსუალური, იძულებითი კონტრაბანდისტებიდა ა.შ.) იყო რამდენიმე ძალიან წარმატებული შემთხვევა ავღანელი ლტოლვილების სერბეთის საზოგადოებაში ინტეგრირების შესახებ. ზოგიერთმა ამ არასრულწლოვანმა, რომლებმაც გადაწყვიტეს თავშესაფარი მიეღოთ სერბეთში, ძალიან წარმატებით ინტეგრირდნენ ქვეყანაში (დაიწყეს საკუთრი ბიზნესი, ჩააბარეს უნივერსიტეტში, დაამთავრეს სკოლები და ა.შ.), თუმცა, მათი რიცხვები არც ისე დიდია. ამის მიზეზი კვლავაც არის ის, რომ პრაქტიკაში, ავღანელების უმეტესობა, ისევე როგორც სხვა ლტოლვილები ახლო აღმოსავლეთის რეგიონიდან, რეალურად სერბეთს აღიქვამდნენ მხოლოდ, როგორც სატრანზიტო ქვეყნად. ამდენად მათ უმეტესობას არც კი მიუმართავს სერბეთის მთავრობისთვის თავშესაფრის მიღების მოთხოვნით. ისინი თითქმის სრული შემადგენლობით ტოვენდნენ ქვეყანას. განსხვავებული იყო მიზეზები, რომლებიც იმასთან დაკავშირებით თუ რატომ არ თვლიდნენ ისინი სერბეთს ისეთ ქვეყნად, რომელშიც დიდხანს დარჩენა შეეძლოთ და მის დატოვებაზე ფიქრობდნენ, მაგრამ ძირითადად მათი მსგავსი მიდგომები გამოწვეული იყო იმით, რომ მათ უკვე ჰყავდათ ოჯახის წევრები ზოგიერთ სხვა ქვეყანაში, უკეთესი საცხოვრებელი პირობებითა და უფრო დიდი ავღანური თემებით. აქვე უნდა აღინიშნოს იმის შესახებ, რომ ძალიან მცირე განაცხადები ფიქსირდება სერბეთში მათ მიმართ არასასურველი ან მუქარის შემცველი დამოკიდებულებების შესახებ.

---

[i] FRONTEX (European Border and Coast Guard Agency) - ევროპის სასაზღვრო და სანაპირო დაცვის სააგენტო, რომელიც მხარს უჭერს ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და შენგენთან ასოცირებულ ქვეყნებს ევროკავშირის საგარეო საზღვრების მართვასა და ტრანსსასაზღვრო დანაშაულთან ბრძოლაში - https://www.frontex.europa.eu/ [ბოლო ნახვა 08.07.2024]